


9

სახვითი ხელოვნება



სახელმძღვანელო





AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

**Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.**

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırlız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayraqınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayraqını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



ՀԵՅՋԱՆ ԱԼԻՅԵՎ

ԱԽԹԱՋԱԾԱԳՈՒՅԹ ԿԱՂԿՈՒ ՍԱՄԹՈՐ ԱԿՐՈՑԵՐՈ ՀՊԴԵՐՈ

სახვითი ხელოვნება

9

სახელმძღვანელო

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9 კლასის
მოსწავლეთათვის

დამტკიცებულია
აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ
(ბრძანება №369, 03.06.2016 წ.).

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო – 2017.

საავტორო უფლებები დაცულია. ამ გამოცემის ან მისი რომელიმე ნაწილის
გადაბეჭდვა, კოპირება და ინფორმაციის ელექტრონული საშუალებებით
გავრცელება სპეციალური ნებართვის გარეშე კანონსაწინააღმდეგოა.

გამომცემლობა „Yaz“

სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული მოსაზრებები, შენიშვნები და
წინადადებები გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:
yazneshr@mail.ru და derslik@edu.gov.az.
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის!

შინაარსი

1. XX საუკუნის სახვითი ხელოვნება

1-2.	პოლ სეზანი: კომპოზიცია, ფორმა და ფერი	8
3-4.	პაბლო პიკასო: სხვადასხვა სტილის მხატვარი	13
5.	ვასილი კანდინსკი: ძიება აბსტრაქციონიზმში	21
6.	ჰენრი სპენსერ მური: ბუნების ფილოსოფია სკულპტურაში	27
7.	პაულ კლეე: ხაზთა მოძრაობა ფერწერაში	31
8.	ნაუმ გაბო: ხაზთა გეომეტრია სკულპტურაში	35
9-10.	სალვადორ დალი: სამყაროს სიურრეალისტური გენია	39
11.	ხოან მირო: რეალიზმიდან ნიშან-სიმბოლოებით ხატვამდე	44
12.	ალბერტო ჯაკომეტი: სკულპტურის თხელი სილუეტი	49

2. თანამედროვეობის ანარეპლი აზერბაიჯანის სახვით ხელოვნებაში

13.	მიქაელ უსეინოვი: კონსტრუქტივიზმის პრინციპები არქიტექტურაში	58
14.	მირჯავად მირჯავადოვი: მასშტაბი, ფერი და ფორმა	63
15.	ომარ ელდაროვი: სილამაზე და ჰარმონია	67
16.	ტაირ სალახოვი: ნავთობის თემა	71
17.	ფაზილ ნაჯაფოვი: ფორმის ძიება ადამიანის გამოსახულებაში	75
18.	არიფ ჰესეინოვი: აზერბაიჯანული ზღაპარი	79
19.	ფერპად ხალილოვი: აფშერონის მოტივები	83
20.	საკიტ მამედოვი: კლასიკური და თანამედოვე სტილების სინთეზი	86

3. მხატვართა ქმნილებასი ჩვენ იღგვლივ

21.	მხატვარი და თეატრალური ხელოვნება.....	94
22.	ნახატიდან ფოტოსურათამდე	100
23.	ფოტოგრაფია და კომპიუტერი.....	106
24.	მხატვარი და კინოხელოვნება	110
25.	ანიმაციის ხელოვნება.....	116
26.	კარიკატურა და შარჟი: მოთხრობები ნახატებში	122
27.	ტელევიზია: მხატვარი და ეკრანი	129

გათაცით სახელმძღვანელოს


სახელმძღვანელოში ყოველი თემის სასწავლო მასალა წარმოდგენილია რუბრიკებში, რომლებიც შემდეგი შინაარსისაა:

1. „დიალოგი ხელოვნების შესახებ“ და „გაიხსენეთ“. დასმულია შეკითხვები, მოცემულია ნახატები, ცნებები, რომლებიც წინა კლასებში შეძენილ ცოდნას ეფუძნება და თემისადმი ინტერესის გაღვიძებას ემსახურება.
2. „გაეცანით“. გთავაზობთ დამოუკიდებელი კითხვისა და მსჯელობისთვის განკუთვნილ მასალას. გაგაცნობთ ინფორმაციას სახვითი ხელოვნების ისტორიის, საზოგადოებაში მისი როლის შესახებ, სხვადასხვას სქემასა და ცხრილს.
3. „დიდი მხატვრები“. წარმოდგენილი მასალა მოგითხრობთ აზერბაიჯანისა და მთელი მსოფლიოს გამოჩენილი მხატვრების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.
4. „სახვითი ხელოვნების გაღერეა“. გაგაცნობთ აზერბაიჯანისა და მსოფლიოს მხატვრების გრაფიკულ, ფერწერულ ნამუშევრებს, ქანდაკებებს, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს.
5. „დაფიქრდით და ახსენით“. გთავაზობთ ინფორმაციასა და შეკითხვებს თეორიულ მასალაზე მსჯელობის, დისკუსიისა და ანალიზისათვის.
6. „ეს საინტერესოა“ და „იცით თუ არა, რომ“. მოყვანილია თემასთან დაკავშრებული საგულისხმო ფაქტები და მოვლენები, რომლებიც თვალსაწიერს გაგიფართოებთ.
7. „ოსტატის რჩევები“. შეგასწავლით ხერხებს, რომლებიც აუცილებელია შემოქმედებითი დავალების შესრულებისათვის, გთავაზობთ ახალ ინფორმაციას შემოქმედებისათვის.
8. „დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის“. მოცემულია დავალებები ახალშეძენილი ცოდნისა და უნარების განმტკიცებისა და გამოყენებისათვის; შემოთავაზებულია დამსმარე მეთოდიკა გამოსახულების შესაქმნელად.
9. „განსაზღვრეთ“ და „შემოქმედებითი საქმიანობა“. გთავაზობთ დავალებებს დამოუკიდებელი მუშაობისათვის საკუთარი არჩევანის საფუძველზე.
10. „შეამოწმეთ თქვენი ცოდნა“ და „შემაჯამებელი დავალებები“. მოცემულია კითხვები და დავალებები, რომლებიც განკუთვნილია დამოუკიდებელი თვითშეფასებისა და დაგროვილი ცოდნის შეჯამებისათვის.

1

XX საუკუნის სახვითი ხელოვნება

XX საუკუნის სახვითი ხელოვნება სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა: ფოვიზმი, კუბიზმი, აბსტრაქციონიზმი, სიურ-რეალიზმი... მაგრამ არც ერთი სტილი არ გამომდინარეობდა მეორიდან, არც ერთი მეთოდი არ გამხდარა ახლის აღმოცენების მიზეზი, სტილის არც ერთ მიმართულებას არ მოუცავს ხელოვნების განვითარება მთლიანობაში. თითოეულ სტილს განსხვავებული ბედილბალი აღმოაჩნდა და მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში შექმნეს მათ XX საუკუნის ხელოვნების ისტორია.



დიალოგი ხელოვნებაზე

რა ძირითადი თავის ებურებები ახასითებს პოსტიმპრესიონისტების შემოქმედებას? რომელ ცნობილ მხატვრებს მიაკუთვნებენ პოსტიმპრესიონისტებს?

გაიხსენეთ

რატომ არ ამახვილებდნენ პოსტიმპრესიონისტები ყურადღებას დეტალებზე და რატომ ცდილობდნენ, გადმოეცათ თავიანთი შთაბეჭდილებები ადამიანისა თუ ბუნების განზოგადებული ხატის შესახებ?

გაეცანით

XX საუკუნის სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავი-სებურება მისი მრავალსახეობა და მხატვრის შემოქმედებითი ძიების კონტრასტულობაა. პოსტიმპრესიონიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფრანგი მხატვარი პოლ სეზანიც გამუდმებით ახალი ფორმებისა და მხატვრული სახეების ძიებაში იყო. თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში იგი იმპრესიონისტების გამოფენებში მონანილეობდა და ბევრი რამ გადაიღო კიდეც მათი მუშაობის მანერიდან. თუმცა, იმპრესიონისტების საპირისპიროდ, სეზანი ცდილობდა, გამოსახულებისათვის განზოგადებული ხასიათი მიეცა.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ფერთა სიხალასე და ფორმების განზოგადებულობა პოლ სეზანის ნაწარმოებებში



„ატმები და მსხლები“. 1880-იანი წლების მინუ-რული. ა. ს. პუშკინის სახელმისამართის სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი, რუსეთი

„მარნის სანაპირო“. 1888. ერმიტაჟი. სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი

სეზანი ხატავდა პეიზაჟებს, პორტრეტებს, სხვადასხვა ცხოვრებისეულ სცენას, თუმცა ყველაზე სრულად მისი შემოქმედებითი პრინციპები ნატურ-მორტებში იხსნება. მხატვარი ცდილობდა, სუფთა ფერის¹ გრადაციისა და მდგრადი კომპოზიციური აგების მეშვეობით ბუნების სიღიადე და მისი ორგანული ორგანული ერთიანობა გადმოეცა.

¹ სუფთა ფერი – ფერების რგოლის ყველა ძირითადი ფერი და მათი ელფერები.

პოლ სეზანის შემოქმედებას რამდენიმე ეტაპად ყოფენ

რომანტიკული პერიოდი (1860-1872)

ადრეულ შემოქმედებით პერიოდში სეზანის ფერწერა მუქი და ძავი ფერით იყო გაჯერებული. მხატვარი ცდილობდა, გამოეხატა თავისი ვწებები, განცდები, მძიმე და პირქუში აზრები, მაგრამ ვერ გადმოსცემდა იმას, რაც სურდა, ვინაიდან ჯერ კიდევ ვერ ფლობდა ვერც ფერს, ვერც სინათლეს, ვერც ფორმას და ვერც ფუნჯის მოსმის ხელოვნებას.



„გოგონა პიანინოსთან“. 1868. მხატვრის დის, მარის, და დედის პორტრეტი. ერმიტაჟი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი

ამ პერიოდში შექმნილი ნამუშევრები დეფორმირებული ფიგურებითა და არამდეგრადი წონასწორობით გამოირჩევა.

იმპრესიონისტული პერიოდი (1872-1879)

სეზანი ეცნობა იმპრესიონისტების შემოქმედებას და მის სურთებში ფერთა სისალასე, რბილი გადასვლები ჩნდება. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ჰაერისა და სინათლის ფაქტიზი გადმოცემა და შედარებით ნათელი ფერთა გამა. ნამუშევრები ჯერ კიდევ არ არის რთული საგანთა ურთიერთგანლაგების თვალსაზრისით, თუმცა უკვე იგრძნობა განუმეორებელი ფერთა გამის, მომტრედისფრო-ცისფერი და ყვითელ-ნარინჯისფერი ტონების შეხამების, გამომუშავება.



„ყვავილების თაიგული ლარნაკში“. 1873-1875. ერმიტაჟი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი

კონსტრუქციული პერიოდი (1879-1888)

სეზანის შემოქმედების გვიანი პერიოდი მისი მხატვრული ოსტატობის მწვერვალია, რომელიც მასიური ფორმებისა და მკაცრი კომპოზიციის ჰარმონიული შეხამებით გამოირჩევა. მხატვარი ფერწერის ერთ-ერთი უდიდესი კონსტრუქტორი გახდა და თავის ნამუშევრებში სულ უფრო ხშირად იყენებდა გეომეტრიულ ფორმებს, რითაც ხაზს უსვამდა ჰარმონიის საზრისს.



„ვაშლები, მსხლები და ყურძენი“. 1879-1880. ერმიტაჟი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი

სიცოხვრი პერიოდი

(1888-1899)

პეიზაჟი და ნატურმორტი მას გაცილებით მეტად იზიდავს, ვიდრე გამოგონილი სიუჟეტები. სეზანის ნატურმორტები რთულდება, ისინი სხვადასხვა მასშტაბის ჭურჭლითა და ხილითაა დატვირთული.

„ნატურმორტი ფარდითა და დოქით“. 1899. ერმიტაჟი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი



სპონტანური ფერწერის

პერიოდი (1900-იანი წლები)

სურათის კომპოზიცია წინასწარი მოფიქრების გარეშე, თითქოს თავისთავად იქმნება მუშაობის პროცესში. მხატვრის პირქუში, მკაცრი პალიტრა თანდათანობით ლირიკულ ელფერს იძენს.



„ცისფერი პეიზაჟი“. 1900. ერმიტაჟი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი

სეზანი საკუთარი სამყაროს კონსტრუირებას ცდილობდა. მას არ აინტერესებდა გარემომცველი სამყაროს დინამიკა, ფერთა ცვალებადობა ატმოსფეროში, სივრცული პლანი. აბსოლუტურად სწორი ხაზები მის ნაწარმოებებში იშვიათია: ისინი ხან დაკლაკნილია, ხან – დახრილი. სეზანის ფერები სამი ფერის – მწვანის, ცისფრისა და უანგისფრის – და, ბუნებრივია, თეთრის, გრადაციაა.

იცით თუ არა?

საგნები, რომლებსაც სეზანი თავის ნატურმორტებში იყენებდა, არც მრავალ-ფეროვანი იყო და არც მდიდრული. ძვირფასეულობა, სამშვენისები, მშვენიერი აბრეშუმი მას არ იზიდავდა. ის ხატავდა ხილს, ბოსტნეულს, ჭურჭელს. სეზანმა ნატურმორტის უანრის 200-მდე სურათი შექმნა.

სეზანის გავლენით ფრანგული სახვითი ხელოვნება თანდათანობით გაემიჯნა პეიზაჟს, XIX საუკუნის ფერწერის ძირითად უანრს, და ნატურმორტისკენ გადაიხარა.

დიდი მხატვრები



P.Cezanne

პოლ სეზანი (Paul Cézanne)

ცხოვრების ქრონოლოგია


ცხოვრების წლები	19.01. 1839 – 22.10.1906
დაბადების ადგილი	ექს-ან პროვანსი, სამხრეთი საფრანგეთი
განათლება	ექს-ან პროვანსის მუნიციპალური სამხატვრო სკოლა (1858-1860), სუისის აკადემია პარიზში
სტილი და ტექნიკა	პოსტიმპრესიონიზმი; ფერწერა
ქმნილებების თემები	პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი
ცნობილი ნაწარმოებები	„ვიქტორ შოკეს პორტრეტი (1875), „სახლები ქუჩის გასწვრივ“ (1881), „ესტაკის ყურე“ (1886), „წითელყილეტიანი ბიჭი“ (1890), „ბანქოს მოთამაშეები“ (1890-1892), „დიდი ფიჭვი“ (1892-1896) და სხვ.
გამონათქვამები	„არც ხაზი არსებობს და არც ფორმა, არის მხოლოდ კონტრასტები. ამ კონტრასტებს თეთრი და შავი კი არა, ფერთა შეგრძება ბადებს. ფორმას ტონების ზუსტი შეხამება ქმნის. როცა ტონები ჰარმონიულად, დაუდევრობის გარეშეა შეხამებული, სურათი თავისთავად იქმნება.“.



საიტი პოლ სეზანის შემოქმედების შესახებ:
<http://paulcezanne.tumblr.com/>

ეს საინტერესოა

სეზანმა შეიმუშავა ერთგვაროვანი მართვულია მონასტების თავისებური სისტემა: მისი მონასტები ტილოზე დაგრძნალურად ეშვება, მარჯვენა ზედა კუთხიდან მარცხნა ქვედა კუთხემდე, და მთელ ტილოს ფორაც. ზოგჯერ ის ცვლიდა მონასტების მიმართულებას არა მარტო სხვადასხვა ნამუშევარში, არამედ ერთი და იმავე სურათის სხვადასხვა ნანილში, თუმცა ყოველთვის მყაცრად ადენებდა თვალყურს, რომ თითოეული ნანილის ფარგლებში მონასტებს ერთნაირი ფორმა ჰქონოდა და ზუსტად ერთმანეთის ჰარალელურად დალაგებულიყო. ეს განელოლი მონასტები სეზანის ფერწერას ქსოვლის, ზოგჯერ კი სალიჩის ზედაპირს ამსგანებს და ერთგვარი რიტმული მოძრაობის შეგრძებას ქმნის, რაც განსაკუთრებით ისეთ ნანარმოებში იგრძნობა, როგორიცაა „მედანის კოშკი“.



„მედანის კოშკი“. 1881. კუნსტჰაუსის მუზეუმი. ციურის, შვეიცარია

დაფიქრდით და ახსენით

რომელი პოსტიმპრესიონისტი მხატვარი ფლობდა ფუნჯის მონასმის თავისებურ სისტემას? იგრძნობა თუ არა ეს მის ნამუშევრებში?

სეზანს თავისი თანამედროვე მხატვრებისგან ფერწერაზე განსაკუთრებული შეხედულება გამოარჩევს. მან ერთგვარი ხიდი გადო XIX საუკუნის ბოლოს იმპრესიონიზმისა და XX საუკუნის დასაწყისის ახალ მხატვრულ მიმდინარეობას, კუბიზმს², შორის. მისი, როგორც ახალი ხელოვნების ფუძემდებლის, ღვაწლი ჯეროვნად დააფასეს მხატვართა შემდგომმა თაობებმა.

პოლ სეზანი იყო არა მარტო კომპოზიციის დიდოსტატი, არამედ დიდი კოლორისტიც. მან, ღრმად ჩანვდა რა კლასიციზმისა და რომანტიზმის ტრადიციებს, შეძლო მათი საბოლოო ერთიანობამდე მიყვანა და ამით მთელი ეპოქა დაასრულა. მომდევნო თაობები უპირობოდ აღიარებდნენ, რომ გზა ახალი ხელოვნების სამყაროსაკენ სწორედ სეზანმა გაკვალა.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: პასტელის ცარცები, გუაში, აკვარელი

განსაზღვრეთ

- რა ძირითადი თავისებურებები ახასიათებს სეზანის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდს?

შემოქმედებითი საქმიანობა

- შეეცადეთ, დახატოთ სეზანის ერთ-ერთი ნატურმორტი.

ოსტატის რჩევები

სეზანის ნამუშევრის გადახატვისას ჯერ უბრალო ფანქრით გააკეთეთ სურათის ესკიზი. ხილისა და დოქის გაფერადებისას გამოიყენეთ სუფთა ფერები.



1. ფანქრით გაკეთებული მონახაზი



2. გაფერადება

- შეაგროვეთ და ნარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია სეზანის შემოქმედების შესახებ.

შეამონეთ თქვენი თავი

- რით განსხვავდება სეზანის ნამუშევრები იმპრესიონისტების ნახატებისაგან?
- რა როლი შეასრულა სეზანის შემოქმედებამ სახვითი ხელოვნების განვითარებაში?

² კუბიზმი (ფრ. cubism, სიტყვა *cube*-დან – „კუბი“) – XX საუკუნის დასახურის პირველი მსხვილი ფორმალისტური მიმდინარეობა. კუბიზმის წარმოშობა დიდად განაპირობა იმან, რომ კლასიკური ხელოვნება კრიზისს განიცდიდა. მხატვრები იმ იდეიდან გამოდიოდნენ, რომ ნატურას საფუძლად გეომეტრიული ფორმები უდევს.

დიალოგი ხელოვნებაზე

რა შეიძლება ითქვას პრიმიტივიზმის სტილის ნაწარმოებების შესახებ? რა არის ამ მიმართულების ძირითადი იდეა?

გაიხსენეთ

რომელ სტილს ახასიათებს საგნების შეცვლილი ფორმები, მათი გასადავება, გეომეტრიული ფიგურებისგან შექმნილი კომპოზიციები?

გაეცანით

პრიმიტივიზმი, რომელიც სამყაროს გეომეტრიული ფიგურების ფორმებით აღიქვამს, არსობრივად ნამდვილი კუბიზმია. ამ სტილის საწყისი მხოლოდ პოლ სეზანის შემოქმედებაში როდი უნდა ვეძებოთ. კუბიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნარმომადგენელია დიდი ესპანელი მხატვარი პაბლო პიკასო. სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის კომბინაციის მეშვეობით ის ხელოვნების სრულიად ახლებურ და უჩვეულო ნაწარმოებებს ქმნიდა.

პიკასოს შემოქმედებითი ბიოგრაფია ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანია. მან მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში კუბიზმის ფუძემდებლის სახელი დაიმკვიდრა, თუმცა კუბიზმი, მისი შემოქმედების მხოლოდ ერთ-ერთი პერიოდი იყო, რომელიც სულ ერთ ათწლეულს გრძელდებოდა.

სახვითი ხელოვნების გალერეა

მარტივი გეომეტრიული ფორმები პიკასოს შემოქმედებაში



„ქალი მარაოთი“. 1907. ერმიტაჟი, სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი



„პური და ხილიანი ლანგარი მაგიდაზე“. 1908. სამხატვრო მუზეუმი. პაზელი, შვეიცარია



„დედოფალი იზაბო“ 1909. ა. პუშკინის სახლობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი, რუსეთი

არ არსებობს ფერწერის არც ერთი უანრი, რომელშიც პიკასოს ძალები არ მოესინჯოს, და მისი ნაწარმოებების უანრებად დაყოფაც ერთობ პირობითია. პიკასოს ნამუშევრებს ერთმანეთისგან განასხვავებს არა უანრი, არამედ სტილი, რომელიც მხატვრის შემოქმედების ამა თუ იმ პერიოდს განსაზღვრავს.

ტრადიციულად მიღებულია პიკასოს შემოქმედების 11 პერიოდად დაყოფა.

ადრეული ცლეპი (1899–1901)

პატარა პაბლომ მხატვრობისადმი სიყვარული ჯერ კიდევ სამი წლის ასაკში გამოავლინა. „ყვითელი პიკადორი“ ითვლება პიკასოს ერთ-ერთ პირველ სურათად, რომელიც ბიჭუნამ ზეთის საღებავებით ხარების ბრძოლის შთაბეჭდილების შედეგად დახატა.



„ყვითელი პიკადორი“. 1899 (8 წლის).
მხატვრის ვაჟიშვილის, კლოდ პიკასოს,
კერძო კოლექციიდან

ცისფერი პერიოდი (1901–1904)

1901 წლის შემოდგომაზე პიკასომ თავის ინდივიდუალურ სტილს მიაგნო. მანამდე ის მხოლოდ იმპრესიონისტების ნიჭიერი მოწაფე და მიმდევარი იყო. 1901 წლიდან დაიწყო ცისფერი პერიოდი.




„დედა-შვილი“. 1901 (20 წლის). ფოგის მუზეუმი. პარვარდის სამხატვრო მუზეუმი, აშშ

ვარდისფერი პერიოდი (1905–1906)

ვარდისფერ პერიოდს ცირკის პერიოდ-საც უწოდებენ. პიკასოს ფერწერის ერთ-ერთ ამოჩემებულ მოტივად იქცა ცირკის თემა. ის უამრავ არლეკინსა და აკრობატს ხატავს.

„გოგონა ბურთზე“. 1905 (24 წლის). ა. ს. პუშკინის
სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.
მოსკოვი, რუსეთი



აფრიკული არიოზი (1907-1909)

ამ პერიოდში პიტასომ აფრიკის არქაული ხელოვნება აღმოაჩინა და მისი გავლენით საკუთარი შემოქმედებითი მეთოდის შეცვლის აუცილებლობა იგრძნო. ხატვისას იგი სავნების ფორმის გამარტივებას იწყებს და უფრო მეტყველ და მონუმენტურ გამოსახულებებს ქმნის.

ამ ხანძოკლე პერიოდს ზოგჯერ სეზანის უწოდებენ, რადგან პიტასო ამ დროს სეზანის მეთოდის გავლენის ქვეშ მოექცა – ის საგნის ფორმას ამარტივებს და მას სფეროს, ცილინდრის, კონუსის მეშვეობით გამოსახავს. აფრიკულმა პერიოდმა კუბიზმის წარმოშობა განაპირობა.



„ავინიონელი ქალიშვილები“. 1907 (26 წლის). თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. ნიუ-იორკი, აშშ

ანალიტიკური კუბიზმი (1909-1912)

ანალიტიკური კუბიზმის პერიოდის ფერნერის დამახასიათებელი ნიშნებიდან პირველი იყო მონოქრომულობა¹, მეორე – თითოეული დეტალის გულდასმით გამოსახვის უარყოფა, მესამე კი – პერსპექტივის გაქრობა. მხოლოდ ცალკეული დეტალებით (მინიშნებებით) შეიძლება მივხვდეთ, რა არის ნახატზე გამოსახული. პიტასო მათ ატრიბუტებს უწოდებდა.

მხატვრებს სურდათ, გაეგოთ, გაენალიზებინათ (აქედან – ანალიტიკური კუბიზმი), როგორ არის სამყარო მოწყობილი და არა ის, თუ როგორ გამოიყურება იგი.



„ქალიშვილი მანდოლინით“. 1910 (29 წლის). თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. ნიუ-იორკი, აშშ

სინთეტიკური კუბიზმი (1912-1917)

კუბიზმის ამ პერიოდს სახელი სინთეტიკური შემთხვევით არ დარქმევია: პიტასო თითქოს მხატვრული სახეების სინთეზს ახდენს თავისი დეკორატიული კოლაჟი² შექმნისას. კომპოზიცია ფერადოვანი და დეკორატული ხდება. ამავე პერიოდში ჩნდება მის სურათებში შრიფტები და ცალკეული ასოები.



„ნატურმორტი ხილით“. 1915 (34 წლის). კოლუმბუსის ხელოვნების მუზეუმი. აშშ

¹ მონოქრომულობა (ბერძნ. – „ერთფეროვანი“) – ერთ ფერში შესრულებული; ერთი ფერის გამოსხივებელი.

² კოლაჟი (ფრანგ. სიტყვა *collage*-დან) – სახვითი ხელოვნების ხერხი და ტექნიკა: რაიმე საფუძველზე ანებებენ მასალებს, რომელც მისგან ფერითა და ფატურით განსხვავდება.

კლასიციზმის პერიოდი (1917–1925)

კლასიციზმი პიკასოს შემოქმედების ყველაზე ნათელი და დატვირთული პერიოდია. 10 წლის განმავლობაში მან მონაწილეობა მიიღო ექვსი რუსული საბალეტო დადგმის გაფორმებაში. მთელი ეს გარემო – კლასიკური ბალეტი და მასთან ერთად, რომის არქიტექტურული კლასიკა – განსაზღვრავს მისი ნამუშევრების სტილისტიკას. პიკასომ კლასიკის საკუთარი, მყისიერად საცნაური და ყველასგან განსხვავებული, ვარიანტი შექმნა.

„პორტრეტი – ოლგა სავარძელში“. 1917 (36 წლის). პიკასოს მუზეუმი. პარიზი, საფრანგეთი



სიურრეალიზმი³ პერიოდი (1925–1937)

პიკასოს შემოქმედებაში სიურრეალისტურმა სიომ დაპტერა. ის ხატავს რამდენიმე ტილოს ქალების გამოსახულებებით, რომელთა გააზრებისას კუბიზმის გეომეტრიულ მანერას ცხოვრებისეულ ელემენტებს უხამებს. ის აქტიურად მუშაობს სკულპტურაზე აფრიკული სკულპტურის შთაბეჭდილებების კუბიზმისა და სიურრეალიზმის ხერხებთან შერწყმის საფუძველზე.

„კიოთხვა“. 1932 (51 წლის). პიკასოს მუზეუმი. პარიზი, საფრანგეთი



30-იანების დასასრული და ომი (1937–1945)

მტირალი ქალების ბევრი პორტრეტი დახატა პიკასომ 1930-იანი წლების დასასრულს, მეორე მსოფლიო ომის კარიბჭესთან, ასევე მის მშობლიურ ესპანეთში უკვე დაწყებული ომის დროს, რომელმაც სულის სილრმემდე შეძრა ხელოვანი.

„მტირალი ქალი“. 1937 (56 წლის). ტეიტის გალერეა, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი



³ სიურრეალიზმი (ფრანგ. სიტყვა surrealisme-დან – „ზერეალიზმი“) – მხატვრული მიმდინარეობა XX საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო ხელოვნებაში. სიურრეალიზმისთვის დამახსიათებელია სწრაფვა ყოველივე უცნაურის, უწვეულოს, ირაციონალურის, საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებთან შეუსაბამოსადმი. თავად მოძრაობა ნაირგვარი იყო, თუმცა საერთო მიზანს ქვეცნობიერის შემოქმედებითი ძალების გათავისუფლება და გონიერაზე მისი ბატონობის დემონსტრირება წარმოადგენდა.

ომისშემდგომი პერიოდი (1945-1954)

ეს სიცოცხლითა და სიხალისით სავსე სურათი იმ წელს დაიხატა, როდე-საც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. პარიზის ხან-გრძლივი ოკუპაციის შემდეგ პიკასო კვლავ თავის სიმაღლეზეა.



„სიცოცხლის სიხარული“. 1907 (65 წლის). პიკასოს მუ-ზეუმი. ანტიბი, საფრანგეთი

პიკასო პერიოდი (1954-1973)

პიკასო ხვეწს მომავალი კუბიზ-მის საფუძვლებს. ფორმები უკვე ნაწევრდება, სიბრტყეებად იშლება. მხატვარი ნამუშევრებს ნაწილობრივ სეზანის, ნაწილობრივ კი უძველესი აფრიკული და იბერიული ხელოვნების გავლენით ქმნის, რომელიც ლუვრში შეისწავლა.



„მუშკეტერი ჩიბუხით“ (ფრაგმენტი).
1968 (87 წლის). კერძო კოლექცია

იცით თუ არა?

პიკასოს ნაწარმოებებს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. 1937 წლის აპრილში გერმანულმა ავიაციიმ ესპანეთის ჩრდილოეთში მდებარე მშვიდობიანი ქალაქი გერნიკა გაანადგურა. დაშავდა რამდენიმე ათასი მოქალაქე, დაიღუპა დაახლოებით ორი ათასამდე ადამიანი. ამ ტრაგედიის შემდეგ მხატვარი ქმნის XX ასწლეულის უძლიერეს



„გერნიკა“. 1937. ზომა: 4X8 მ. დედოფლის სოფიას მუზეუმი. მადრიდი, ესპანეთი

მხატვრულ-პოლიტიკურ ნაწარმოებს. ვერც პიკასომდე და ვერც მის შემდეგ ვერავინ შეძლო მსოფლიოსთვის ასეთი ძალის სიტყვა ეთქვა ომის საშინელების შესახებ.

1949 წელს ჩნდება სახელგანთქმული „მშვიდობის მტრედი“, რომელიც პიკასომ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის პლაკატზე დახატა პარიზში. ამ მტრედმა მთელი დედამიწა „შემოიფრინა“ და კაცბრიობისთვის მშვიდობის სიმბოლოდ იქცა.



დიდი მხატვარი



Picasso

პატლო პიკასო (Pablo Picasso)

ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	25.10.1851-08.04.1973
დაბადების ადგილი	მალაგა, ესპანეთი
განათლება	სან-ფერნანდოს ნატიფი ხელოვნების სამეცნ აკადემია
წოდებები და ჯილდოება	მშვიდობის საერთაშორისო პრემია (1950), საერთაშორისო ლენინური პრემია (1962)
სტილი და ტექნიკა	პოსტიმპრესიონიზმი, კუბიზმი, სიურრეალიზმი; ფერმწერი, სკულპტორი, გრაფიკოსი, თეატრალური მხატვარი, კერამიკოსი და დიზაინერი
ქმნილებების თემები	პორტრეტი, ნატურმორტი, სიუჟეტური ნაწარმოებები, პეიზაჟი
ცნობილი ნაწარმოებები	„ჯორი“ (1898), „ბიჭი ჩიბუხით“ (1905), „ნატურმორტი დანწული სკამით“ (1912), „სამი მუსიკოსი“ (1921), „ორი ქალი პლაჟზე“ (1922), „შიშველი ქალი, მწვანე ფოთლები და ბიუსტი“ (1932), „დორა მაარის პორტრეტი“ (1937), „ბალში მჯდომი ქალი“ (1938), „ხმელთაშუა ზღვის პეიზაჟი“ (1952) და სხვ.
გამონათქვამები	„როცა ბავშვი ვიყავი, რაფაელივით ვხატავდი, მაგრამ მთელი ცხოვრება დამჭირდა იმისათვის, რომ ბავშვივით ხატვა მესწავლა“.



საიტი პაბლო პიკასოს შემოქმედების შესახებ:

<http://www.picasso.fr/>; <http://www.picasso-pablo.ru/>

დაფიქრდით და ახსენით

რა განაპირობებს მხატვრული ნაწარმოების შექმნას? რაზე მოგვითხრობს სურათები, რომლებზე ასახული მოვლენების მოწმეც თავად მხატვარი იყო?

კუბიზმის მიმდევრები განგებ არიდებდნენ თავს ფერთა პალიტრის გამოყენებას. როდესაც კუბისტურ ტილოებს ვუყურებთ, ისინი თითქოს ერთი ტონით დახატულად გვეჩვენება, ვინაიდან სურათებში მხოლოდ რუხი, შავი და ყავისფერი ტონებია ნახმარი.

კუბიზმი ფერწერაში მხოლოდ ობიექტის გამოსახვას როდი ნიშნავს. ეს არის გამოსახულება საგნისა, რომელიც ჯერ ნაწილებად იშლება მხატვრის წარმოსახვაში და შემდეგ ხელმეორედ იქმნება მის გონიერაში.

კუბიზმის სტილმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ფერწერის განვითარებაზე, შეცვალა მხატვრების წარმოდგენა სივრცეში ფაქტურისა და მოცულობის გადმოცემის ხერხებზე. სწორედ კუბიზმმა გაუკვალა გზა ხელოვნების სხვა დარგებს, საშუალება მისცა მნახველებს, თავად გაიაზრონ სურათებზე გამოსახული სიმბოლოები.

ამგვარად, კუბიზმმა დაისახა არა გამომსახველობითი, არამედ ფილოსოფიური ამოცანა: კონკრეტული საგნის დახატვა უფრო ადვილია, ვიდრე ამ საგნის არსის გადმოცემა.

ეს საინტერესოა

კუბიზმის განვითარებამ სამი პერიოდი განვლო: სეზანისეული (პოლ სეზანის შემოქმედება 1909 წლამდე), ანალიტიკური და სინთეტიკური (პაბლო პიკასოს შემოქმედება).

სეზანისეული პერიოდისთვის დამახასიათებელია მასიური, თითქმის უხეში ფორმები. მეორე პერიოდი (1909-1912) გამოსახული საგნის მეტი დეტალიზებით გამოიჩინა, სინთეტიკური პერიოდის (1913-1914) ძირითად ხერხი კი კოლაჟი გახდა.

პიკასოს პირველი ნაწარმოები კუბიზმის სტილში „ავინიონელი ქალიშვილები“ იყო. ამ სურათის შექმნისას მან უარი თქვა ნატურის რეალურობაზე, პერსპექტივასა და შუქ-ჩრდილებზე.

თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში პიკასომ 80 ათასამდე ნამუშევარი შექმნა. 1970 წელს, ჯერ კიდევ მხატვრის სიცოცხლეში, ბარსელონაში პიკასოს მუზეუმი გაიხსნა. 1985 წელს მხატვრის შთამომავლებმა პიკასოს მუზეუმი პარიზში გახსნეს.

პიკასომ კოლოსალური გავლენა მოახდინა ყველა ქვეყნის მხატვრებზე და ხელოვნების ისტორიაში შევიდა, როგორც XX საუკუნის ხელოვნების ყველაზე გამოჩენილი ოსტატი.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცუები, გუაში.

განსაზღვრეთ

1. რით განსხვავდება ერთმანეთისგან პიკასოს შემოქმედების პერიოდები?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. კუბიზმის სტილში დახატეთ რაიმე თქვენი გარემოცვიდან, მაგალითად, ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი და ა.შ.



ოსტატის რჩევები

დასაწყისისთვის ფურცელზე რეალისტური ნახატი დახატეთ. შემდეგ სხვა-დასხვა გეომეტრიული ფორმის დახმარებით ფიგურა ნაწილებად დაყავით. შეგიძლიათ, ეს დავაღება კომპიუტერში პროგრამა **Microsoft Paint**-ში შეასრულოთ.




3. შეაგროვეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია პაბლო პიკასოს შემოქმედების შესახებ.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რით განსხვავდება პოსტიმპრესიონიზმი კუპიზმისაგან?
- ✓ რა აქვს საერთო და რით განსხვავდება ერთმანეთისგან სეზანისა და პიკასოს კუპიზმის სტილის ნაწარმოებები?

დიალოგი ხელოვნებაზე

დააკვირდით, განსხვავდება თუ არა ხაზები და ლაქები, რომლებსაც კანდინსკის ტილოზე ხედავთ, მოსწავლის ნახატისაგან? რატომ არის აპსტრაქტული ხელოვნება ასეთი იდუმალი, ამოუცნობი, ბევრისთვის გაუგებარი და ბევრისთვის ჭკუის ამ-როვიც კი?



კ. კანდინსკი, „მთა“. 1908.
ლუნბახ-ჰაუსის გალერეა
მუზეუმი, გერმანია



მოსწავლის ნახატი

გაიხსენეთ

როგორ იცვლებოდა სტილი და ტექნიკა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა უანრში შეუძლია საუკუნეებიდან დღემდე?

გაცალი

ადამიანები ოდითგანვე ცდილობდნენ თავიანთ ნამუშევრებში სამყაროს სილამაზისა და დიდებულების ასახვას. ყოველი მიმართულება ხელოვნებაში, ამა თუ იმ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების მსოფლმხედველობის შესაბამისად, განსაზღვრული მიზნის მიღწევისკენ ილტვოდა.

თუმცა არსებობს ზოგიერთი ისეთი სტილიც ფერწერასა და ქანდაკებაში, რომელიც კონკრეტული მხატვრული სახის კი არა, რაღაც უფორმოს გადმოცემას ცდილობს. ასეთი ხელოვნება ადამიანის წარმოსახვისკენაა მიმართული. ამგვარი შემოქმედების ნიმუშის ჭვრეტისას თითოეული დამთვალიერებელი რაღაც მისთვის გასაგებს ხედავთ.

1910-1913 წლებში ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად წარმოიშვა უსაგნო, უფორმო ხელოვნება – **აპსტრაქტულიზმი**¹. მისთვის ნიადაგი სახვით ხელოვნებაში მანამდე არნახულმა ექსპერიმენტებმა მოამზადა. ნაწილი მხატვრებისა რეალურ ცხოვრებაში შთაგონების წყაროს ვეღარ ხედავდა, მათ დაკარგეს რეალური საგნებისადმი ინტერესი. ამ მოვლენაში არც თუ უმნიშვნელო როლი შეასრულა ფოტოგრაფიის სწრაფმა განვითარებამ, რომელსაც მოდელის ყველა ნიუანსის ნებისმიერ მხატვარზე ბევრად უკეთესად გადმოცემა შეეძლო. ამგვარად, ფუნჯის ოსტატები გათავისუფლდნენ ზოგიერთი ისეთი ამოცანისგან, რომელსაც წარმატებით ართმევდა თავს ფოტოგრაფია.

¹ აპსტრაქტული ხელოვნება (აპსტრაქტიონიზმი), უსაგნო ხელოვნება (ლათ. *abstraction*-დან) – ფორმალისტური მიმდინარეობა XX საუკუნის სახვით ხელოვნებაში. მხატვრებმა უარყვეს რეალობის გამოსახვის ყველანაირი ნიშანი. მათ გადაჭრით აქციეს ზურგი მხატვრული შემოქმედების საზოგადოებრივ და შემცნებით ამოცანებს და ქმნიდნენ სხვადასხვაგვარი სიბრტყეების, ფერალოვანი ლაქებისა და ხაზებისგან შემდგარ კომპოზიციებს.

კუბიზმის ნიადაგზე აღმოცენებული აბსტრაქციონიზმი მის ლოგიკურ გაგრძელებად იქცა. კუბიზმმა შემოქმედებითი პროცესი საგნობრივი სამყარო-დან აბსტრაქციისკენ წაიყვანა. უსაგნო ხელოვნება სიცოცხლისა და ადამიანური შემეცნების საიდუმლოებებს ავლენდა. მხატვარი-აბსტრაქციონისტები თავიანთი კომპოზიციების აგებისას ფორმალური ელემენტებით – ხაზით, ფერადოვანი ლაქით, ფორმის განყენებული კონფიგურაციით – იფარგლებოდნენ.

კუბიზმის პრინციპების შემუშავებისას პიკასო სრულ აბსტრაქციამდე არ მისულა. მან, მართალია მცირედ, მაგრამ მაინც შეინარჩუნა კავშირი ფერწერულ გამოსახულებასა და რეალურ ობიექტებს შორის. პიკასოს ინოვაციები სისრულეში სხვა მხატვრებმა მოიყვანეს. ფერწერის ენა თანამიმდევრულად უსაგნო, დისპარმონიული და უფორმო ხდება რუსი ფერმწერისა და გრაფიკოსის, აბსტრაქტული ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის, ვასილი კანდინსკის ნაწარმოებებში.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ფერადოვანი ლაქებისა და ტეხილი ხაზების შერწყმით აგებული კომპოზიციები



„უშინაარსო“ 1911. ტრეტიაკოვის სახელ-მწიფო გალერეა. მოსკოვი, რუსეთი




„მკვეთი ხაზი“ დიუსელდორფი. 1923. ჩრდილოეთ რაინის მხარის ხელოვნების ნიმუშთა ნაკრები. ვესტფალია, გერმანია

კანდინსკი უამრავი სურათის შემქმნელი, ხელოვნებაზე დაწერილი რამდენიმე წიგნის ავტორი და დაუღალავი მკვლევარ-ეთნოგრაფი იყო. მან თავდაყირა დააყენა ფერწერაზე წარმოდგენა, როგორც თავის დროზე მიქელანჯელომ შეცვალა დამოკიდებულება ქანდაკების მიმართ. აბსტრაქციონიზმამდე კანდინსკი იმპრესიონიზმის გზის გავლით მივიდა – მისი ადრეული ნამუშევრები ამ სტილითა შესრულებული. 1910 წლიდან მოყოლებული, კანდინსკი ძირითადად წმინდა აბსტრაქტულ ტილოებს ქმნიდა. კანდინსკის ყველა აბსტრაქტული ნაწარმოები, მისივე სიტყვებით რომ ითქვას, სამ ჯგუფად – იმპრესიად, იმპროვიზაციად და კომპოზიციად – იყოფა.

თუ მისი იმპრესია გარესამყაროს მიერ შობილი უშუალო შთაბეჭდილებაა, სამაგიეროდ, იმპროვიზაცია ქვეცნობიერად გამოხატავს შინაგან შთაბეჭდილებას. დაპოლოს, კომპოზიცია აბსტრაქტული ფერწერის ყველაზე სრულყოფილი და თანამიმდევრული ფორმაა. მასში არ არის უშუალო კავშირი რეალობასთან, მის შექმნაში გონება მონანილეობს. კომპოზიცია, როგორ ცნება, ვასილი კანდინსკისთვის ნებისმიერი შემოქმედებითი პროცესის საფუძველია. ფერადოვანი ლაქები და ხა-

ზები მოძრაობის სულისშემძვრელ სტიქიას შობს. მხატვრის ზოგიერთ სურათს ინდივიდუალური სახელწოდება არ ჰქონდა, ის მათ ნომრავდა (ათი ასეთი ნამუშევრიდან დღეისათვის შვიდია შემორჩენილი).



„მოსკოვი 1“. 1916. ტრე-
ტიკოვის სახელმწიფო გა-
ლერეა. მოსკოვი, რუსეთი



იმპროვიზაცია 30 („ქვემ-
ხები“). 1913



„კომპოზიცია“ VIII. 1923. რ. გუგენ-
ჟაიმის მუზეუმი. ნიუ-იორკი, აშშ

დიდი მხატვრები



**ვასილი კანდინსკი
(Wassily Vasiliyevich Kandinsky)**
ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	16.12.1866 – 13.12.1944
დაბადების ადგილი	მოსკოვი, რუსეთი
განათლება	მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1885-1893), ანტონ აშბეს კერძო სტუდია (მიუნხენი), მიუნხენის სამხატვრო აკადემია (1900)
წოდებები და ჯილდოები	მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი; რუსეთის სამხატვრო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; კნდინსკის საპატივ-ცემულოდ მისი სახელი დაერქვა კრატერს პლანეტა მერკურზე
სტილი და ტექნიკა	აბსტრაქციონიზმი; ფერმწერი, გრაფიკოსი და სახვითი ხელოვნების თეორეტიკოსი
ქმნილებების თემები	პეიზაჟი, სიუჟეტური ნაწარმოებები
ცნობილი ნაწარმოებები	„ქველი ქალაქი II“ (1902), „ლურჯი მხედარი“ (1903), „სახლები მიუნხენში“ (1908), „მშვილდოსანი“ (1909), „პეიზაჟი ორი აღვით“ (1912), „მკვეთი ხაზი“ (1923), „პატარა ოცნება წითლებში“ (1925), „სხვადასხვა შემთხვევა“ (1941) და ა.შ.
გამონათქვამები	„ხელოვნებამ უნდა უარყოს გარეგნული სილამაზე, რათა შინაგანი მშვენიერება გამოავლინოს. მაგრამ ეს მშვენიერება მოუმზადებელ მნახველს სიმახინჯედ შეიძლება მოეჩვენოს.“.



საიტი ვასილი კანდინსკის შემოქმედების შესახებ:
<http://www.wassilykandinsky.ru/> <http://v-kandinsky.ru/>
<http://www.kandinsky-art.ru/>

დაფიქრდით და ახსენით

შეესაბამება თუ არა მოცემული აპსტრაქტული ნაწარმოებების სახელწოდებები რომელიმეს იმ ჯგუფებიდან, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი? პასუხი დაასაბუთეთ.

ნაწარმოები „კაზაკები“ დეტალებში

1910. ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა. მოსკოვი, რუსეთი

ვასილი კანდინსკის სურათი „კაზაკები“ მხატვრის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად ითვლება. გორაკების მოხაზულობა, ჰორიზონტის ხაზი, ცხენებზე ამხედრებული კაზაკების სილუეტები მთლიანად ტილოს, მისი ცალკეული ფორმების, ხაზების, ლაქების დინამიკას ერწყმის.

კანდინსკი ყოველთვის ზუსტად გრძნობდა ფერის განსაკუთრებულ სიმბოლიზმს. მისი ყველა ნამუშევარი ფერადოვან სიმბოლოებს შეიცავს: თეთრი ფერი გარდაქმნის, ახალი საწყისის სიმბოლო; შავი – კვდომის, სიცოცხლის ჩაქრობის; წითელი – სიმამაცისა და თავგანწირვის. ამ ნამუშევრებში მარტო ფერი კი არა, ხაზიც კი განსაკუთრებულ სიმბოლოდ გვევლინება.



1. მოქმედი საბრძოლო იარაღი ან ზღუდე. პარალელური ხაზები მარცხნივ შეიძლება იყოს როგორც წითელ კვამში გახვეული საბრძოლო იარაღი, რომლიდანაც ისურიან, ისე ზღუდე, გალავანი.

2. მებრძოლი მხედრები. ბრძოლაში ჩაბმული, თეთრ ცხენებზე ამხედრებული კაზაკების ამოცნობა მათი წითელი ფაფახებით, ყვითელი სახელოებითა და გრძელი ბასრი ხმლებით შეიძლება.

3. ცისარტყელა-ხიდი. ცისარტყელა სურათის მარცხენა ნაწილის უკანა პლანს აერთებს ცისფერ გორაკთან, რომელზედაც სასახლე დგას. ცისარტყელა აქ ხიდის სიმბოლოა.

4. ფრინველები. ზიგზაგები და და V-ს მსგავსი ხაზები ფრინველთა გუნდს გამოხატავს.

5. კაზაკები და შუბები. სამი წითელფაფახიანი კაზაკი ცისფერი გორაკის ფონზეა გამოსახული.

6. სასახლე გორაკის თავზე. სასახლე, რომელიც დაბალ ციხესიმაგრეს მოგვაგონებს, რამდენიმე ხაზითაა გადმოცემული.

მოგვინებით, როდესაც ძალზე ცნობილი გახდა, კანდინსკი ბევრს მოგაზაურობდა, ანყობდა გამოფენებს, რომლებსაც უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ ხელოვნების მცოდნები და კრიტიკოსები. მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშისტებმა აბსტრაქტული დაკინებულ ხელოვნებად გამოაცხადეს.

იცით თუ არა?


დეკორატიული კომპოზიციები „ამორ-ძალი“ და „ამორძალი მთებში“ კანდინსკიმ მინაზე შექმნა. ერთ-ერთი მათგანი აზერ-ბაიჯანის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში ინახება.

„ამორძალი“. 1911. მინაზე მოხატულობა.
16X12 სმ. აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი. ბაქო, აზერბაიჯანი

კანდინსკი და აბსტრაქტულიზმის სხვა წარმომადგენლებით თავიანთი დროის – გარდატეხების, რევოლუციების, სამეცნიერო აღმოჩენებისა და ექსპერიმენტების ეპოქის – ჭეშმარიტი შვილები იყვნენ. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს არ შეიძლება, გავლენა არ მოეხდინა ხელოვნებაზე.

კანდინსკი ცდილობდა, სუფთა ხაზების, ფერადოვანი ლაქების ენით უშუალოდ ადამიანის სულზე ემოქმედა, მის გონების-თვის გვერდის ავლით. მას სურდა, სახვითი ხელოვნება მუსიკისთვის დაეხალოვებინა, ის კი, ძირითადად, აბსტრაქტულია. ასეთ ხელოვნებას ადამიანი დანგრევამდე არ მიჰყავს, პირიქით, მას არასტანდარტულ ფილოსოფიურ აზროვნებას აჩვევს.

აბსტრაქტული ხელოვნება ყველასთვის გასაგები ვერ იქნება. ამისთვის სათანადო მომზადებაა საჭირო, თუმცა ის უნდა დავაფასოთ, როგორც გარკვეული პერიოდი ხელოვნების განვითარებაში, ძიებების, ექსპერიმენტების პერიოდი, რომელიც უკვე დასრულდა. როგორც მხატვრულმა მოვლენამ, აბსტრაქტულიზმი უზარმაზარი გავლენა მოახდინა თანამედროვე არქიტექტურული სტილის, დიზაინის, სამრეწველო, გამოყენებითი და დეკორატიული ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.



ისტორიას მიღიონობით ადამიანი ქმნის, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს თუ ხვდებათ წილად ისეთი შინაგანი ძალა, ტალანტი და ილბალი, რომ მისი ძირითადი მდინარება შეცვალონ. ვასილი კანდინსკი ფლობდა სამივე ამ თვისებას, რომლებიც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ იგი ხელოვნების განვითარების ისტორიის ერთ-ერთ ძირითად ფიგურად ქცეულიყო.

2007 წელს, მხატვრის ხსოვნის უკვდავსაყოფად, რუსეთში კანდინსკის სახელობის ყოველწლიური პრემია დაწესდა. ამ პრემიის ფლობის პრეტენდენტები ის მხატვრები ხდებიან, რომელთა შემოქმედება ამა თუ იმ გზით გავლენას ახდენს თანამედროვე ხელოვნების განვითარებაზე.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

ალქურვილობა: ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცუები, გუაში, ტუში.

განსაზღვრეთ

1. როგორ გესმით კანდინსკის მოსაზრება ფერის ფსიქოლოგიური ზემოქმედების შესახებ?

„ფერი საშუალებაა, რომლითაც შესაძლებელია უშუალოდ სულზე ზემოქმედება. ფერი – ეს არის კლავიში, თვალი – ჩაქუჩი, სული – მრავალსიმიანი როიალი. მხატვარი არის ხელი, რომელსაც ამა თუ იმ კლავიშის მეშვეობით ვიპრაციაში მოჰყავს ადამიანის სული“.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატეთ აბსტრაქტული სურათი თემაზე „ჩემი ქუჩა“ (პარკი, ბულვარი). შეეცადეთ, ხაზების, ფორმებისა და ფერის საშუალებით გადმოსცეთ აბსტრაქტული სტილის ძირითადი თავისებურებები.

მრავალი რჩევები

აბსტრაქციონიზმში, ფუნჯის გარდა, შესაძლებელია თითებით, ღრუბლით ხატვა, რაც ფერწერაში საინტერესო ეფექტს იძლევა. აბსტრაქციონისტებს შორის თითებით ხატვა კიდევ იმიტომ იყო მიღებული, რომ, როგორც ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები მიჩნევდნენ, ამ დროს ადამიანი ფუნჯით კი არა, სულით ხატვას. აბსტრაქციონიზმი ხახატის მონახაზი ფანქრით არ კეთდება.

როგორ შევქმნათ აბსტრაქტული ხახატი

აბსტრაქციონიზმი ხელოვნებაში ხასიათდება ფორმებისა და საგნების არა მკაფიო, არამედ მიახლოებითი გამოსახვით. აბსტრაქციის მეშვეობით შეგიძლიათ გაადმოსცეთ რაღაცის მხოლოდ თქვენეული ხედვა, ან, უბრალოდ, თქვენი განწყობა გამოხატოთ. აბსტრაქტული ფერწერა ბევრს ძალიან მარტივი ჰგონია, მაგრამ სონამდვილეში ამ სტილით ხატვა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე კლასიკური ფერწერა. ეს იმით აიხსნება, რომ აბსტრაქციონიზმი წესებსა და ნორმებს არ ცნობს.

3. შეაგროვეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ვასილი კანდინსკის შემოქმედების შესახებ.

შეამონეთ თქვენი თავი

- ✓ რა წვლილი შეიტანა ვ. კანდინსკიმ სახვითი ხელოვნების განვითარებაში?
- ✓ რამ შეუწყო ხელი აბსტრაქტული ხელოვნების წარმოშობას?

დიალოგი ხელოვნებაზე

როთ განსხვავდება მონუმენტური სკულპტურის ნიმუშები დაზგურისაგან?

გაიხსენეთ

რა თემებს უძლვნიდნენ მოქანდაკეები თავიანთ ნაწარმოებებს უძველესი დროიდან დღემდე?

გაცანით

ბრიტანელი მოქანდაკე ჰენრი მური XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატია, რომლის ორიგინალური და განუმეორებელი შემოქმედება დღემდე აღლვებს მნახველს.

ჰენრი მურის მიერ შექმნილი სკულპტურები, მუზეუმებშია ისინი დაცული, თუ ქალაქის გარემოშია განთავსებული, მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი. მან მოღვაწეობა მაშინ დაიწყო, როდესაც ევროპულ ხელოვნებაში მოდერნიზმი¹ ყალიბდებოდა.

მისი ნაწარმოებების განსაცვიფრებელ მხატვრულ მთლიანობას სკულპტურის ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ქალის ფიგურისადმი მიძლვნილი სკულპტურები, კომპოზიციები ოჯახისა და დედაშვილობის თემაზე.



„ოჯახი“. 1948-1949. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. ნიუ-იორკი, აშშ



„ნამონოლილი დედა ბავშვით“. 1983. ტექნიკა: თითბერი. სტილი: აბსტრაქციონიზმი

¹ მოდერნიზმი (ლათ. სიტყვიდან modernismo – „თანამედროვე მიმდინარეობა“) – მხატვრული მიმდინარეობების ერთობლიობა ხელოვნებაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის შუა პერიოდზე. ყველაზე მნიშვნელოვანი მოდერნისტული ტენდენციები იყო იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი, კუბიზმი, აბსტრაქციონიზმი. მოდერნიზმი განიხილება, როგორც კლასიკური ტრადიციების გადასინჯვა.

ფორმები მწყობრად გადაედინება ერთობლივობის და ზოგან ჩაღრმავებებსა და სიცარიელეებს ქმნის. მურის არასოდეს აინტერესებდა წმინდა ფორმის პრობლემები, მას ისეთი მხატვრული სახეები იზიდავდა, რომლებიც ბუნებრივ ფორმებს აგონებდა: უძველესი ქვები, მთის გამოქვაბულები, ადამიანის სხეული და ა.შ.

ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი იყო მური, როდესაც მიქელანჯელოს შემოქმედებით დაინტერესდა და მაშინვე გადაწყვიტა, მოქანდაკე გამსდარიყო. გასული საუკუნის 20-იან წლებში მური ადრეული ცივილიზაციების ხელოვნებით იყო გატაცებული. მისი საკუთარი შემოქმედებითი სტილი თანდათანობით ყალიბდებოდა. მური ცდილობდა, რომ მისი სკულპტურები თვით ბუნების მარადიულ ქმნილებებს დამსგავსებოდა, თითქოს მათ უკვე ასწლეულებისთვის გაეძლო და მხოლოდ სტიქიის გავლენით შეეცვალა იერსახე. იმ ნამუშევრებში, რომლებიც ღია სივრცეში მოსთავსებლად იყო განკუთვნილი, შენარჩუნებულია კავშირი ლანდშაფტთან. ნასევრად მწოლიარე ფიგურები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ისინი მიწიდანაა ამოზრდილი, აბსტრაქტული ფორმები ერთმანეთისკენ იხრება.

თავიდან მურის ნამუშევრები საკმაოდ ახლოს იყო რეალურ ობიექტებთან, მოგვიანებით კი მათ აბსტრაქტული ხასიათი შეიძინეს. მოქანდაკე თავის კომპოზიციებს ხის, ქვის, ბრინჯაოს, რკინაბეტონისა და ტერაკოტისგან (ყვითელი ან წითელი გამომწვარი თიხისგან) ქმნიდა. რამდენიმე სკულპტურა, რომელთა ნაწილები მაგრად დაჭიმული სიმტკიცით ან სპილენძის მავთულითაა ერთმანეთზე მიმაგრებული, მან ხისა და ტყვიისგან გააკეთა.

მური თავის ნამუშევრებს ღია სივრცეში ათავსებდა, რათა ისინი გარემომცველ პერიოდისან შეერწყა.



„მეფე-დედოფალი“. 1953-1955. ტექნიკა: თითქორი. სტილი: აბსტრაქტიონიზმი. სკულპტურის ღია მუზეუმი. მიდელპამი, შოტლანდია



„მშვიდობიანი ცხვრები“. 1971-1972. ტექნიკა, შეეიცარია

დაფიქრდით და ახსენით

როთვით განსხვავდება ჰენრი მურის სკულპტურები შეუა საუკუნეების პერიოდის ნაწარმოებებისგან?

მურმა აიძულა ადამიანები, სკულპტურაში ადამიანის ანატომიური ორეული კი არა, ბუნებრივი ლანდშაფტის ნაწილი დაენახათ. მხატვრული ენა, რომელზედაც მური ლაპარაკობდა, XX საუკუნის სკულპტურისთვის პრინციპულად ახალი მოვლენა იყო.

დიდი მხატვრები



**პერი საენსირ მური
(Henry Spencer Moore)**

ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	30.07. 1898 – 31.08. 1986
დაბადების ადგილი	კასტლფორდი. დასავლეთი ორკუშირი. დიდი ბრიტანეთი
განათლება	ლიდსის სამხატვრო კოლეჯი, ლონდონის სამეცნ სამხატვრო კოლეჯი
წოდებები და ჯილდოები	დამსახურების ორდენი, დიდების კავალერთა ორდენი
სტილი და ტექნიკა	აბსტრაქციონიზმი; სკულპტურა
ქმნილებების თემები	პორტრეტი, სიუჟეტური ნაწარმოებები
ცნობილი ნაწარმოებები	„ჩიტის ბუდე“, „თითისტარი“, „მშეილდოსანი“, „ოვალი ნერტილებით“, „სარწეველა სავარძელი“, „არკა“ და სხვ.
გამონათქვამები	„დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ფორმა და სივრცე – ეს ერთი და იგივეა. შეუძლებელია, გაიგო სივრცე, თუ არ გესმის ფორმა“.

1984 წელს, ბერლინის დაარსებიდან 750 წლის აღსანიშნავად, პენრი მურმა სკულპტურა „პეპელა“ შექმნა. 1987 წელს ეს ნამუშევარი ბერლინის მსოფლიოს ხალხთა კულტურის სახლის პირდაპირ დაიდგა, რომელიც მაშინ კონგრეს-ცენტრის დანიშნულებასაც ასრულებდა. მურის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სკულპტურა, „ბირთვული ენერგია“, ჩიკაგოს უნივერსიტეტთან დგას.



„ბირთვული ენერგია“. 1967. ტექნიკა: თითბერი. სტილი: აბსტრაქციონიზმი. ჩიკაგოს უნივერსიტეტის კამპუსი. აშშ



„დიდი დანაწევრებული ოვალი: პეპელა“. 1985. ტექნიკა: თითბერი. სტილი: აბსტრაქციონიზმი. ისრაელის მუზეუმი, იერუსალიმი

ეს საინტერესოა

პენრი მური ქვების, განამარხებული ნაშთების, ძვლებისა და სხვა ფორმების შეგროვებით იყო გატაცებული, რაც აისახა კიდეც მთელ მის შემოქმედებაში.

იცით თუ არა?

მურის კარიერაში გარდატეხის მომენტად იქცა ნახატების სერია, რომელიც მან მეორე მსოფლიო ომის წლებში ღონისძიების მეტროში შექმნა. გერმანელთა დაბომბვების შემთხვევაში მოქალაქები აქ აფარებდნენ თავს. ათასობით ჩანახატმა, რომელიც ეს ადამიანები იყვნენ გამოსახული, ნაციონალურ გალერეაში გამოფენისას მთელი ქვეყანა შეაძრნუნა და სკულპტორს მსოფლიო აღიარება მოუპოვა.



„ტილბერის ნავსადგური, ფარული ტრანშეა“. 1941

მური ნიშან-სიმბოლოების სკულპტორი იყო და არასოდეს ცდილობდა, მხატვრული სახეების პორტრეტული მსგავსება ან ფსიქოლოგიური დახასიათება გადმოეცა. თავისი შემოქმედებითი გზის მანძილზე ის თავისუფლად მიიწვევდა წინ ფიგურაციულ ხელოვნებასა (ადამიანებისა და ცხოველების ფიგურების გამოსახვა) და აპსტრაქტისა შორის.

მხატვარმა გააგრძელა მონუმენტური ფიგურაციული ხელოვნების ტრადიციები და იგი ფორმის შექმნის ახალი მხატვრული მეთოდებით გამდიდრა.

მურის დიდება ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში გასცდა დიდი ბრიტანეთის ფარგლებს. მისი ნამუშევრები წარმოდგენილია მსოფლიოს 60 მუზეუმში, ამ-შვენებს ევროპისა და ამერიკის ბევრი ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს. სახელ-განთქმული „მწოლიარ ფიგურა“, რომელიც 1958 წელს პარიზში იუნისპრო შენობის წინ დაიდგა, გასული საუკუნის კულტურის სიმბოლოდ იქცა.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: პლასტილინი ან თიხა.

განსაზღვრეთ

1. შეადარეთ წარმოდგენილი სკულპტურული ნაწარმოებები ფორმის, სივრცისა და შინაარსის მიხედვით.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. გამოძერეთ წებისმიერი ფიგურა აპსტრაქტული ფორმით. დასაწყისის-თვის შეგიძლიათ, მოხაზოთ მომავალი ნამუშევრის ესკიზი.

3. შეაგროვეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ჰენრი მურის შემოქმედების შესახებ.

შეამოწმეთ თქვენი თავი

✓ რა სიუჟეტებს იყენებდა მური თავის შემოქმედებაში?

დიალოგი ხელოვნებაზე

რა საშუალებებით შეიძლება ფერწერულ ნაწარმოებებში მოძრაობის, გრძნობების გადმოცემა?

გაიხსენეთ

რა აზრობრივი დატვირთვა აქვს ხაზებს აბსტრაქტულ ხელოვნებაში?

გაუცანით

სიტყვა „ავანგარდი“ ამ ბოლო დროს საკმაოდ ხშირად იყენებენ, თუმცა ყველამ როდი იცის, რას ნიშნავს იგი.

ავანგარდი ხელოვნებაში კლასიკურ კანონებს უპირისპირდება, ტრადიციული სოციალური და კულტურული ღირებულებების გადაფასებას ახდენს. თუმცა ეს მიმართულება უამრავი სხვადასხვა მიმდინარეობისაგან შედგება, რომელთაგან ბევრი კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. სახვით ხელოვნებაში ავანგარდიზმი ძალზე მჭიდროდ უკავშირდება მოდერნიზმს, რადგან მისი აყვავების ხანაც XX საუკუნის დასაწყისს ემთხვევა. მას მიეკუთვნება ისეთი მიმდინარეობები, როგორებიცაა კუბიზმი, ექსპრესიონიზმი², კონსტრუქტივიზმი, პრიმიტივიზმი და მრავალი მათი მსგავსი.

ავანგარდიზმი საფრანგეთში წარმოიშვა, შემდეგ კი გერმანიაში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში გავრცელდა.

ამ მოძრაობის მიმდევრები საყოველთაოდ მიღებული ნორმების, წესებისა და იდეალების დანგრევისკენ ილტვოდნენ. ევროპულ კულტურას მანამდე არასოდეს ენახა მიმდინარეობათა, მიმართულებათა, მხატვრულ სისტემათა, ინდივიდუალურ სტილთა ამგვარი მრავალფეროვნება. ამასთან ავანგარდისტებმა, ახალი იდეების ფართო სპექტრის მიწოდებით, მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ხელოვნების ენა.

მათ შორის იყვნენ უდიდესი ოსტატები – პიკასო, მატისი, კანდინსკი, დალი და სხვები. მიუხედავად ინდივიდუალური სტილის მრავალფეროვნებისა, ერთობლივი ძალისხმევით მათ შეიმუშავეს ახალი მხატვრული სისტემა, რომელსაც საფუძლად უდევს არა ბუნების მიბაძვა, არამედ მხატვრის შემოქმედებითი თვითგამოხატვა. ავანგარდისტები თანამედროვეობის ხელოვნების ჭეშმარიტი პირველადმომზენები გახდნენ.

¹ ავანგარდი (ავანგარდიზმი) (ფრანგ. *Saint-Imier* და *Avantgarde*-დან – „წინ“ და „დაცვა“) – მსოფლიო, და პირველ რიგში, ევროპულ, ხელოვნებაში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე წარმოშობილი მიმდინარეობების საერთო სახელწოდება.

² ექსპრესიონიზმი (ფრანგ. *expressionisme*-დან – „გამოხატვა“) – მხატვრული მიმდინარეობა XX საუკუნის ევროპულ ხელოვნებაში. მსოფლიო ომის სასაკლაოთი სულიერად ტრავმორებული მხატვეები შეეცებულად ცდილობდნენ ნაწარმოებებში თავანთი გრძნობებისა და შეგრძნებების გადმოცმას. ექსპრესიონიზმი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა, უპირატესად, გერმანიასა და ავსტრიაში, როგორც მწვავე, მტკიცებული რეაქცია ომის საშინელებაზე. ნაწარმოებთა ძირითადი მოტივები იყო ნანგრევები ქალაქის პეიზაჟის ფონზე, სიკვდილი, სნეულება, შფოთვა და იმედგაცრუება.

აბსტრაქტული ხელოვნების განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროპული ავანგარდის ერთ-ერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა, პაულ კლეიმ.


პაულ კლეის შემოქმედების გაფურჩქნის ხანა მოდერნიზმის სხვადასხვა მიმდინარეობის აღმოცენებისა და აყვავების პერიოდს დაემთხვა. მიუხედავად განსხვავებულ მიმდინარეობებში (ექსპრესიონიზმში, სიურრეალიზმში, აბსტრაქციონიზმში, კუბიზმში) მუშაობისა, კლეი ყოიველთვის მათი პრინციპებისგან დამოუკიდებლად, მხოლოდ თავისებური მანერით ხატავდა.

სახვითი ხელოვნების გაღერეა

აბსტრაქცია და ფერი პაულ კლეის შემოქმედებაში



„სამხრეთის (ტუნისის) ბაღები. 1919. კერძო კოლექცია



„ქალაქის გამოსახულება ნითელი და მნვანე ფერების აქცენტით“. 1921. კერძო კოლექცია

კლეე ნატურალისტურ სურათებს ხატავდა, რომლებშიც კლასიკური მხატვარივით ნატურის დეტალურ ასლებს აკეთებდა. ის სპეციალურად ესწრებოდა უნივერსიტეტში ანატომიის მეცანიერობებს და ადამიანის სხეულის აგებულებას სწავლობდა. მისთვის მთავარი იყო, ხატვა ესწავლა, მერე კი თავისი საკუთარი სტილისთვის უნდა მიეგნო.

კერპები კლეეს არ ჰყავდა, მას საკუთარი გზით უყვარდა სიარული. ის რეალისტურ ნამუშევრებსაც ქმნიდა და აბსტრაქტულსაც, ამიტომ ბოლომდე არც ერთ მხატვრულ მიმდინარეობას არ ეკუთვნოდა.

კლეეზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ტუნისში მოგზაურობამ. იქ მან ფერების სხვანაირად გამოყენება ისწავლა. მხატვარი განაცვიფრა პატარა, ფერად-ფერადი სახლებით განაშენიანებული ქალაქების სინათლემ და კომპოზიციამ და 1941 წლიდან კვადრატების ხატვა დაიწყო. იმავე დროს შეიცვალა მისი ფერწერის მანერაც. აბსტრაქცია და ფერი – აი, რა აინტერესებდა მხატვარს ყველაზე მეტად.


კლეე კომპოზიციებს ხისა და ძაფებისგან ქმნიდა და შემდეგ იხატავდა მათ. მისი გვიანდელი ნამუშევრები ცოტა ბავშვურად გამოიყურება, მაგრამ მან ყოველთვის იცოდა, რისი დახატვა სურდა. მხატვარი თოჯინებსაც ამზადებდა, რომელთა შორის მისი ავტოპორტრეტიც იყო.



თოჯინა პაულ კლეეს საშინაო თეატრიდან. ავტოპორტრეტი



„თოჯინა (პორტრეტი)“. 1923. ა. ს. ჟემენის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმის ხელოვნების ნიმუშ-თა ნაკრები. მოსკოვი, რუსეთი



„უსათაურო“. დაახლოებით 1940. პაულ კლეეს ცენტრი. ბერნი, შვეიცარია

დიდი მხატვრები



Klē

**კაულ კლეი
(Paul Klee)**

ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	18.12.1879 – 29.06.1940
დაბადების ადგილი	მიუნხენბუხზე ბერნთან, შვეიცარია
განათლება	მიუნხენის ნატიფი ხელოვნების აკადემია
სტილი და ტექნიკა	ექსპრესიონიზმი, აბსტრაქციონიზმი, კუბიზმი, სიურრალიზმი; გრაფიკოსი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ფერმწერი
ქმნილებების თემები	პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი
ცნობილი ნაწარმოებები	„ამომავალი მზე“ (1907), „ფიგურების ფერი“ (1914), „სიკვდილი იდეისთვის“ (1915), „ეკლესიების ქალაქი“ (1918), „აზიელი არტისტები“ (1919), „ნატურმორტი მტრებით“ (1931), „ძმები და დები“ (1930), „ნილოსის ლეგენდა“ (1937) და ა.შ.

ეს საინტერესოა

კლეე რთული ტექნიკით მუშაობდა და მასალათა ფართო სპექტრით სარგებლობდა. სურათებს პასტელით, აკვარელით, ზეთით, ტემპერით, მელნით ხატავდა და ოფორტებსაც (გრავიურა მეტალზე, რომელიც ამონვის მეთოდით კეთდება) ქმნიდა. ხშირად სხვადასხვა მასალას ერთსა და იმავე ნამუშევარში იყენებდა. გრავიურით გატაცების შედეგად მან მინაზე ნემსით ხატვის ორიგინალური ტექნიკა შეიმუშავა.

ხაზი, აბსტრაქცია და გეომეტრია პაულ კლეის ნაწარმოებებში




„პარკი ბეის-ლუ“. პარკი ლუ-
ცერნის მახლობლად. 1938



„ჭვრეტა“. 1938

კლეის გენიამ დაამარცხა მისი თანამედროვე ფერწერული მიმდინარეობების უმრავლესობის ფორმალიზმი. მისი ნაწარმოებები დაკვირვების, ფილოსოფიური აზრისა და ტექნიკური შესრულების საფუძველზე წარმოიშვა. შემოქმედებითი შთაგონების ტალღაზე შექმნილი ეს ნაწარმოებები თანამედროვე ხელოვნების სათავედ იქცა.

„ჰეროიკული ვარდები“. 1938



დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

ალქურვილობა: ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცუები, გუაში, აკვარელი.

განსაზღვრეთ

- რა არის ალბეჭდილი პ. კლეის იმ ხაზოვან და გეომეტრიულ ნაწარმოებებში, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოცემული?

შემოქმედებითი საქმიანობა

- დახატეთ სიუჟეტური სურათი აბსტრაქტული ხაზებითა და გეომეტრიული ფორმებით.
- შეაგროვეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია პაულ კლეის შემოქმედების შესახებ.

შეამონეთ თქვენი თავი

- ✓ რას ასახავდნენ ექსპრესიონისტები თავიანთ ნაწარმოებებში?
- ✓ რით განსხვავდება პაულ კლეის შემოქმედება მისი თანამედროვეების ნაწარმოებებისგან?

დიალოგი ხელოვნებაზე

რა აქვს საერთო და განსხვავებული ამ ნაწარმოებებს?

პატლო პიკასო, „ქალიშვილი მანდო-ლინით“. 1910. ტილო, ზეთი. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. ნიუ-იორკი, აშშ



ნაუმ გაბო, „თავი №2“ (ფრაგმენტი). 1916. ფოლადი. 175,3X134X122,6 სმ. ტერტის გალერეა. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

გაიხსენეთ

როგორ ხატავდნენ მხატვრები ადამიანის სრულ გამოსახულებას გეომეტრიული ფორმების გამოყენებით?

გაეცაით

XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მხატვარი, რომლის შემოქმედებამ არსებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარებაზე და მნიშვნელოვნად განსაზღვრა შეხედულება სკულპტურაზე, არის ნაუმ გაბო.

გაბო **კონსტრუქტივიზმისა**¹ და **კინეტიკური ხელოვნების**² ერთ-ერთი ფუძემდებელია. ზოგჯერ მას და მის ნამუშევრებეს მეცნიერებასთან კავშირს მიაწერენ, ვინაიდან გაბოს სკულპტურები ყოველთვის ძალიან მეცნიერულად (მათემატიკურადაც კი) გამოიყურებოდა. ოსტატის კვლევის საგანს თავად ბუნების მიერ შექმნილი ფორმების სილამაზე და ჰარმონია შეადგენდა. ნაუმ გაბოს მხატვრული კი არა, საინჟინრო განათლება ჰქონდა, იგი მიუნდების უნივერსიტეტში მედიცინას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და საინჟინრო დისციპლინებს სწავლობდა.

კუბიზმის ზეგავლენით ნაუმ პეტრინერმა (მისი ნამდვილი გვარი) გადაწყვიტა, მხატვარი გამხდარიყო, და შექმნა კონსტრუქტივისტული სკულპტურები, რომლებსაც ხელს გაბოს ფსევდონიმით აწერდა. მან ჯერ კიდევ ბავშვობაში გადაიკეთა გვარი, რათა თავი საკუთარი ძმის, ასევე მხატვრის, ანტუან პევზნერისაგან განესხვავებინა.

¹ **კონსტრუქტივიზმი** (ფრანგ. *constructivisme*, ლათ. სიტყვა *construction*-დან) – ავანგარდისტული მიმდინარეობა, რომელიც XX საუკუნის 20-30-იან წლებში განვითარდა. ამ სტილის მხატვრული სახის საფუძველი კომპოზიცია კი არა, კონსტრუქცია. სასიათდება სიმაცრით, გეომეტრიულობით, ფორმების ლაკონიურობითა და მონოლითურობით.

² **კინეტიკური ხელოვნება** ანუ **კინეტიზმი** (ბერძნ. სიტყვა *kinetikos*-იდან – „მოძრაობაში მომყვანი“) – მიმდინარეობა თანამედროვე ხელოვნებაში, რომელიც მოძრავი ობიექტების ფართოდ გამოყენებასთანა დაკავშირებული. მას საფუძვლად ფორმის მოძრაობის იდეა უდევს. კინეტიზმი ეფუძნება შეხედულებას, რომლის თანახმად, სინათლისა და მოძრაობის მეშვეობით ხელოვნების ნანარმოების შექმნა შეიძლება.

გაბო მრავალფეროვან ხერხებსა და მასალებს – ფოლადს, ნეილონის ძაფს, მავთულს, სარკეს, ბრინჯაოს, ალუმინისა და სხვ. – იყენებდა. დახურულ და ყრუ ფორმებს ის გამჭვირვალე და მსუბუქ ფორმებს, ღიობებსა და სიცარიელეებს ამ-ჯობინებდა, რომლებიც აქტიურად ურთიერთქმედებდა გარემოსთან. მის ახალ, ბაგირითა და მავთულით გაკეთებულ სივრცულ კონსტრუქციებში კუთხებს ხვეულები ცვლის. მისი ყველა სკულპტურა გეომეტრიული მიმართულებისაა. თვით ადამიანის გამოსახულებაშიც კი ჩანს შიდა ცხაურები და ტიხრები, რომ-ლებიც ცხვირს, ტუჩებს, პირს შემოხაზავს და ამავე დროს კონსტრუქციის აუ-ცილებელ ელემენტებად გვევლინება.

სახვითი ხელოვნების გალერეა

სივრცული კონსტრუქციები ნაუმ გაბოს სკულპტურებში



ნაუმ გაბო, „თავი №2“ (ფრაგმენტი). 1916. ფოლადი. 175,3X134X122,6 სმ. ტეიტის გალერეა. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი



„კონსტრუქცია: საყელოიანი ქვა“. 1936-1937. ქვა, ცელუ-ლიზა, თითბერი, ფიქალი. 37X72X55 სმ. კონსტრუქტი-ვიზმი. ტეიტის გალერეა. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

გაბომ შექმნა მრავალი კონსტრუქცია, რომლებიც სინთეზურად ავსებდა, ანვითარებდა არქიტექტურას, მაგა-ლითად: რელიეფები, კონსტრუქციები უნივერმაგ „დე ბეიენკორფისთვის“ (როტერდამი, 1956-1957), როკფელე-რის ცენტრისთვის (ნიუ-იორკი, 1956), ხელოვნების მუზეუმისთვის (ბალტიმო-რი, 1950-1951), ეროვნული გალერეის-თვის (ბერლინი, 1973).

„ხაზითა კონსტრუქცია სივრცეში №4“. 1950. ფოლადი. კონსტრუქტივიზმი. ხელოვ-ნების მუზეუმი. ლოს-ანჟელესი, აშშ



„კინეტიკური სკულპტურა როტერდამში“ 1955-1957. ფოლადის ბადე სადენებისაგან. 2600X450X540 სმ. კონსტრუქტივიზმი. რო-ტერდამი, ჰოლანდია



დიდი მხატვრები



**ნაუმ გაბო
(Naum Gabo)**

ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	05.08.1890 – 23.08.1977
დაბადების ადგილი	ბრიანსკი, ორლოვის გუბერნია, რუსეთი
განათლება	კურსკის გიმნაზია
წოდებები და ჯილდოები	ლონდონის ხელოვნების სამეფო კოლეჯის საპატიო დოქტორი, ლოგანის მედლის მფლობელი ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის (აშშ), ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი
სტილი და ტექნიკა	მსოფლიო მხატვრული ავანგარდის ლიდერი, ხელოვნების თეორეტიკოსი, არქიტექტორი, სკულპტორი
ქმნილებების თემები	პორტრეტი, სიუჟეტური ნაწარმოებები
ცნობილი ნაწარმოებები	„აზვირთებული ტალღა“ (1920), „კონსტრუქცია სივრცეში“ (1937), „მონუმენტი აეროპორტისათვის“ (დაახლოებით 1932-1948), „ხაზოვანი კონსტრუქცია №1“ (1942-1943), „ბრინჯაოს სფერული თემა“ (1964-1965) და სხვ.

ნაუმ გაბო ამტკიცებდა, რომ ხელოვნებას თავისი ღირებულება და ფუნქცია გააჩნია. მისი თქმით, სწორედ გეომეტრიული პრინციპებია სკულპტურის საფუძველი, რომელშიც ხაზი, ფიგურის მასის ნაცვლად, მასში ცარიელი სივრცის მოცულობას განსაზღვრავს.

გაბოს უშუალო დამსახურება იმაში გამოიხატება, რომ მან აღმოაჩინა სკულპტურის სიმებითა და სპირალებით გამოძერწვის მეთოდი, მასალათა უჩვეულობა და ფორმების გამჭვირვალობის ეფექტი.

პლასტიკური საშუალება გაბოსთვის მოცულობის მასა კი არა, მისი საპირისპირ რამ – სიცარიელე იყო. მკაფიო ფორმა, თანამედროვე მასალები, მკაცრი გეომეტრიულობის რეგულარულობა და ბუნების მიერ შთაგონებული საინჟინრო ფანტაზიის ზუსტი გათვლები იყო გაბოს სრულიად ახლებური ესთეტიკის გამოხატვის მხატვრული საშუალებები. მის ნამუშევრებში, რომლებსაც ხშირად არქიტექტურასთან დაკავშირებული სახელები ჰქვია (მაგალითად, „კოშკი“, „მონუმენტი“ ან „ჭა“), თვალსაჩინოდაა გამოხატული ოსტატის კონცეპტუალური ხედვა. მსგავსი სივრცული კონსტრუქციები, შესაძლებელი რომ ყოფილიყო მათი მონუმენტური სიდიდით აგება, XX საუკუნის ტაძრები იქნებოდა.

დაფიქრდით და ახსენით

რა გავლენის მოხდენა შეუძლია ნაწარმოების მასალას სტილზე?

მოქანდაკე ნაუმ გაბოს არანაკლებ მნიშვნელოვანი დამსახურებაა თავისი ხელოვნების მეშვეობით ადამიანებამდე მშვიდობის, წესრიგისა და ჰარმონიის იდეის მოტანა.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ფერადი ან თეთრი ქალალდი, მუყაო, პლასტილინი ან თიხა.

განსაზღვრეთ

1. რა თემებს მოიცავს მოცემული სკულპტურული ნაწარმოებები?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. ა) გამოქერჩეთ პლასტილინისგან აბსტრაქტული სტილის კონსტრუქცია;
ბ) შეეცადეთ, თეთრი ან ფერადი ქალალდისა და მუყაოსგან დაამზადოთ უჩვეულო პრაქტიკული საგნები.

ოსტატის რჩევები



სკამი „ყვავილი“ ერთმანეთზე დაწყობილი ერთნაირი ფოლადის ფირფიტებისგანაა კონსტრუირებული. ისინი ერთმანეთისკენაა დახრილი და ერთიმეორეს ამაგრებს, თითქოს ფირფიტები ჯერ იკეცება, შემდეგ კი ყვავილის ფურცლებივთ იშლება. ამ კონსტრუქციაში ფირფიტები ერთმანეთს ეყრდნობა, რითაც მტევნები სტრუქტურას ემნის და ერთდღრულად ასრულებს სკამის ფეხების, დასაჯდომის, საზურგისა და სამკლავურის ფუნქციებს.

ზუსტად ასეთი სკამის გაკეთება ქალალდისა და მუყაოსგანაც შეიძლება.

3. შეაგროვეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ნაუმ გაბოს შემოქმედების შესახებ.

შეამოწმეთ თქვენი თავი

✓ რით განსხვავდება ნაუმ გაბოს სკულპტურული სტილი ჰერი მურის სტილისაგან?

დიალოგი ხელოვნებაზე

რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე ეს სურათები? რა აზრის გამოხატვა სურდა თითოეულ მხატვარს? შეიძლება თუ არა ამ სურათებზე გამოსახული რებუსების ასენა?



ფრიდა კალო, „სიზმარი (საწოლი)“. 1940.
სელმისა და ნესუში ერტეგუმის კოლექცია.
ნიუ-იორკი, აშშ



რენე მაგრიტი, „პიროვნული ღირებულებები“. 1952. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. სან-ფრანცისკო, აშშ

გაიხსენეთ

რით განსხვავდება კუბიზმი აბსტრაქციონიზმისაგან? რამ განაპირობა აბსტრაქციონიზმის წარმოშობა?

გაეცაით


გასულმა საუკუნემ მსოფლიოს რამდენიმე იდუმალი გენია აჩუქა და მათ შორის საპატიო ადგილი უკავია სალვადორ დალის. დალი იყო საუკუნის თანატოლი და ადამიანი, რომლის მრავალნახნაგოვანმა ტალანტმა უზარმაზარი გავლენა იქონია მსოფლიო კულტურისა და ხელოვნების განვითარებაზე.

დალიმ და პიკასომ, ამ ორმა მხატვარმა, ნამდვილად გააოგნა მსოფლიო სიცოცხლის კანონებზე ყველასა და ყველაფრისგან განსხვავებული შეხედულებებით. ორივე მათგანს სრულიად თავისებურად ესმოდა სამყარო და ამიტომ მათი ქმნილებები გარკვეულად გამოვარდნილია ჩვენთვის ჩვეული აზროვნების კალაპოტიდან. თუ პიკასოს გაგება კიდევ რაღაცნაირად შეიძლებოდა, დალი – არა მარტო თავისი შემოქმედებით, არამედ თავისი ქცევით ცხოვრებაში – ან აღფრთოვანება იწვევდა, ან – სრულ მიუღებლობას.

სალვადორ დალი სიურრეალიზმის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი და XX საუკუნის ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მოღვაწეა. მისი სახელი და დიდება უჩვეულო ხასიათმა, უნიკალურმა ტალანტმა და ფერწერის უაღრესად კრეატიულმა სტილმა განაპირობა. არ არსებობდა თემა, რომელსაც დალის შემოქმედება არ შეხება, ატომური ბომბი იყო ეს, სამოქალაქო ომები, მეცნიერება თუ, უბრალოდ, საკვების მომზადება. და ამ ყველაფერს ის აქცევდა რაღაც ისეთად, რაც ჩვეულებრივი საღად მოაზროვნე ადამიანის გონებისთვის მოუწვდომელი იყო.

სახვითი ხელოვნების გალერეა

საკუთარი სტილის ძიება სალვადორ დალის ავტოპორტრეტებში




„ავტოპორტრეტი კუპიზმის სტილში“. 1923. დალის თუატრი-მუზეუმი. ფიგურასი, ესპანეთი




„ავტოპორტრეტი. სიზმარი“. 1937. სტილი: სიურრეალიზმი. კერძო კოლექცია

თემების მრავალფეროვნება სალვადორ დალის შემოქმედებში



„მეხსიერების მუდმივობა“. 1931. დროის დრენების გარდაუვალობის აზრამდე დალი ყველის დამდნარი ნაჭრის ჭრეტამ მიიყვანა. თანამედროვე ხელვნების მუზეუმი. ნიუ-იორკი, აშშ



„გალათეა სფეროებით“. 1952. სურათ დახატა იმ პერიოდში, როდესაც მხატვარი ატომის აღნავისას სწავლობდა. დალის თეატრი-მუზეუმი. ფიგურასი, ესპანეთი

სიურრეალიზმის სტილის სურათები ყოველთვის იზიდავს მნახველს უჩვეულო კომპოზიციებით და საოცრად განსხვავდება ფერწერის სხვა სტილებისგან. სიურრეალისტებს მიზნად კიდევ ერთი მიმდინარეობის შექმნა კი არა, ადამიანთა შეგნებაში გადატრიალების მოხდენა და თავიანთი გავლენის შემოქმედებითი საქმიანობისა და აზროვნების ყველა სფეროში გავრცელება ჰქონდათ დასახული. აბსურდის ფანტასტიკა, ფორმათა პარადოქსული შესამება და მხატვრული სახეების ცვალებადობა – აი, სიურრეალიზმის ხელოვნების ზოგადი თავისებურებანი.

დალი ბრწყინვალე მხაზველი და კოლორისტი იყო. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მისი შთაგონების წყაროს როლი ძველმა ოსტატებმა შეასრულეს, მაგრამ

ამავე დროს მან ყველაზე ექსტრავაგანტური ფორმები და გამომსახველობითი საშუალებები გამოიყენა, რათა ხელოვნების სრულიად ახალი სტილი შექმნა. მისი სურათები ორმაგი მხატვრული სახეების არსებობით, ირონიული სცენებით, ოპტიკური ილუზიებით, უჩვეულო პეიზაჟებითა და ღრმა სიმბოლიზმით გამოირჩევა.

დიდი მხატვრები



Salvador Dalí

სალვადორ დალი (*Salvador Dalí*)

ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	11.05. 1904 – 23.01. 1989
დაბადების ადგილი	ფიგერასი, ესპანეთი
განათლება	სან-ფერნანდოს ნატიფი ხელოვნების სამეფო აკადემია, მადრიდი
წოდებები და ჯილდოები	ისაბელ კათოლიკეს ორდენი; ესპანეთისა და საფრანგეთის სამხატვრო აკადემიების წევრი; სალვადორ დალის სახელი მის საპატიოცემულოდ დაერქვა კრატერს პლანეტა მერკურზე
სტილი და ტექნიკა	კუბიზმი, სიურრეალიზმი; ფერმწერი, გრაფიკოსი, სკულპტორი, რეჟისორი, დიზაინერი
ქმნილებების თემები	ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, მითოლოგია, სიმბოლისტური ფერწერა
ცნობილი ნაწარმოებები	„ცეცხლმოდებლი შირაფი“ (1936-1937), „ნარცისის მეტამორფოზა“ (1936-1937), „ურჩხულების შექმნა“ (1937), „ატომის გახლება“ (1947), „საიდუმლო სერობა“ (1955), „ცოცხალი ნატურმორტი“ (1956), „მებრძოლი“ (1982) და სხვები



საიტი სალვადორ დალის შემოქმედების შესახებ:
<http://www.dali-genius.ru/>; <http://www.mir-dali.ru/>


იცით თუ არა?

დალის შემოქმედებამ დროს გაუსწორო, ის სიცოცხლეშივე გენიოსად აღიარეს. რასაც არ უნდა შეხებოდა ოსტატის ხელი, — იქნებოდა ეს ფოტოგრაფია, კინემატოგრაფი, მულტიპლიკაცია, ლიტერატურა თუ რეკლამა, — იქნებოდა შედევრი.

დიდი მხატვრის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თანამედროვე სარეკლამო ტექნოლოგიების განვითარებაზე. ოსტატის ყველაზე ცნობილი ნამუშევარია ყვავილი შაქარიყინულ „ჩუპა-ჩუპსის“ ლოგოტიპიდან, რომელმაც 1969 წელს ჩვენამდე მცირეოდენი ცვლი-



„ჩუპა-ჩუპსის“ ლოგოტიპი.
1969



„ევროვიზიის“
ლოგოტიპი.
1969

ლებებით მოაღწია. დალის წვლილი რეკლამაში ამით არ ამონურულა, 1969 წელს იგი აქტიურად მონაწილეობდა ევროპის მუსიკალურ კონკურს „ევროვიზიაში“.

დაფიქრდით და ახსენით

თქვენი აზრით, როგორ გამოისახება მხატვრის ფანტაზია შემოქმედების სხვადასხვა სფეროში?


დალის ნამუშევართა შორის საკმაოდ ბევრი კოლექცია იყო, რომებიც ავანგარდული მოდის მიმდევართა აღფრთოვანებას იწვევდა. სალვადორ დალის სიურრეალისტური ტანსაცმლის, აქსესუარებისა და საიუველირო ნაწარმის ცნობილი სკანდალური და შოკის მომგვრელი ნიმუშები მისი ესკიზების მიხედვით იქმნებოდა.



გულსაბნეევი „დროის თვალი“




ელიზა სკაპ-რელის ტანსაცმელი



გულსაბნეევი „ლალის ტუჩები“

სალვადორ დალიმ ინდუსტრიული საგანი ცოცხალი ბუნების ობიექტთან შეაერთა და ამის შოკის მომგვრელი შედეგით ტკბებოდა. ტელეფონისა და ლანგუსტის, ერთი შეხედვით, გაუგებარი და აბსურდული, მაგრამ თავისი ღრმა შინაგანი არსით დამატყვევებელი კომბინაცია სიურრეალისტურ საგანს შობს.

სურათებთან ერთად, სალვადორ დალის შექმნილი აქვს საკმაოდ ბევრი სიურრეალისტური ობიექტი, რომელთა შეხება შეიძლება. მათგან განსაკუთრებული და ყველაზე ცნობილია ტუჩის ფორმის დივანი – სიურრეალისტური ავეჯის ნიმუში, რომელიც 1974 წელს შეიქმნა.



სუნამო „Salvador Dali“ ერთადერთი პარფიუმერული პროდუქტია, რომელიც 1982 წელს სახელგანთქმული სიურრეალისტის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა.



მხატვრის კიდევ ერთი საინტერესო ნამუშევარი, რომელიც საფუძლად დაედო ე.წ. „სიურრეალისტური ოთახის“ შექმნას, ამერიკელი მსახიობის, მეო უესტის სახის მიხედვითაა: მარწყვისფერი სავარძელი მსახიობის ტუჩების ფორმისაა, შესასვლელში დაკიდებული ფარდა – მისი თმის ვარცხნილობას იმეორებს, სურათები კედელზე – თვალებია, ხოლო ბუსარი, რომლის თავზეც საათი დგას – ცხვირი.

„მეი უესტის სახე“. 1934-1935. სიურრეალისტური ოთახი. ხელოვნების ინსტიტუტი. ჩიკაგო, აშშ

სიურრეალისტური ექსპონატების მსოფლიოში უდიდესი ნაკრები დაღის თეატრ-მუზეუმში ინახება. ამ მუზეუმს ყველაზე მრავალრიცხოვანი მნახველები ჰყავს. იგი ესპანეთის (კატალონიის) ქალაქ ფიგერასში მდებარეობს და თავად მხატვრის პროექტითაა აგებული. დაღის ქმნილებებთან ერთად, მუზეუმში თავმოყრილია სიურრეალისტური ნაწარმოებების ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კოლექცია.

სალვადორ დაღის თამამად შეიძლება ენდოს XX საუკუნის სიურრეალიზმის გენია, რომლის შემოქმედებამ მსოფლიოს ბევრ მხატვარზე მოახდინა ზეგავლენა.



დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, გუაში, ფერადი ქაღალდი, ქსოვილის ნაჭერი, გაზეთებისა და უურნალების ამონაჭრები.

განსაზღვრეთ

- რა მსგავსება და განსხვავებაა სალვადორ დაღის ფერწერასა და დიზაინს შორის?
- ა) მოიშველიერ ფანტაზია და შემოქმედებითი აზროვნება და შეეცადეთ, შექმნათ სიურრეალისტური სურათი ან სიურრეალისტური ობიექტი (საყოფაცხოვრებო საგანი, ავეჯი, ტანსაცმელი, აქსესუარები და სხვ.). დასაწყისისთვის საჭიროა თემის არჩევა.
- ბ) შექმნით სიურრეალისტური სურათი-კოლაჟი, რისთვისაც გამოიყენეთ გაზეთების, უურნალებისა და ფერადი ქაღალდის ამონაჭრები, ქსოვილები.
- შეაგროვეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია სალვადორ დაღის შემოქმედების შესახებ.

შეამოწმეთ თქვენი თვი

- ✓ რას ნიშნავს მხატვრისთვის მისი შემოქმედება?
- ✓ რა თავისებურებები ახასიათებს დაღის შემოქმედებას?

დიალოგი ხელოვნებაზე

როგორ ეძიებდნენ მხატვარი ავანგარდისტები საკუთარ სტილს შემოქმედებაში?

გაიხსენეთ

რა ძირითადი თვისებებით ხასიათდება სიურრეალისტური სტილი?


გაუცანით

XX საუკუნის ესპანელი ავანგარდისტების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ხოან (ჟოან) მირო, ვისი შემოქმედებაც მჭიდროდაა დაკავშირებული ბარსელონასთან და რომელიც, სალვადორ დალის მსგავსად სიურრეალისტია.

თავის შემოქმედებაში მირო სამყაროს ალქიმიკოსივით უნივერსალური სიმბოლოებით აწყობს. პირველადი ნახატებისა და ფერის მეშვეობით ის საკუთარ უჩვეული ესთეტიკას ქმნის. მირომ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უერთგულა ამ მიმართულების მთავარ პრინციპს – ქვეცნობიერი შემოქმედებითი სანუისის ლოგიკისა და გონების კონტროლისგან გათავისუფლებას. და მაინც მისი ნამუშევრები დანარჩენი სიურრეალისტებისაგან მრავალფეროვნებითა და სიხალისით გამოირჩევა.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ფერთა კონტრასტი ხოან მიროს სიურრეალისტურ ნაწარმოებებში



„მამაკაცის თავი“. 1935. ურუკ პომპილუს ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული ცენტრი. პარიზი, საფრანგეთი



„ცეზან მიროვანი ბორბლისკენ ლურჯ ცაზე გამავალი კიბე“. 1953. კერძო კოლექცია



„ლაუფარდის ოქრო“. 1967. ხოან მიროს ფონდი. ბარსელონა, ესპანეთი


მირო ევროპული ავანგარდის კლასიკოსი, მოდერნიზმის ჭეშმარიტი ხორცების ხმა გახდა, მაგრამ ამავე დროს იგი, პიკასოს მსგავსად, გასცდა რომელიმე განსაზღვრული მხატვრული მიმართულების ჩარჩოებს. მოდერნიზმის ბევრი

წარმომადგენლის შემოქმედება მხოლოდ ერთი მიმდინარეობით არ შემოიფარგლებოდა. იმ დროის პრაქტიკულად ყველა მხატვარი მონაზილეობდა რომელი-ღაც მიმდინარეობაში, ეძიებდა საკუთარ სტილს, ამიტომ ხშირად ძნელი განსასაზღვრია, კერძოდ რომელ მიმართულებაში გაიხსნა ყველაზე ღრმად ამა თუ იმ ოსტატის შემოქმედებითი პოტენციალი.

ხოან მიროს სტილის ძიება




„ეზოს შიდა ხედი“. 1914. სტილი: რეალიზმი. ხოან მიროს ფონდი. ბარსელონა, ესპანეთი



„სოფელი პრადესში“. 1917. სტილი: ფოვიზმი. გუგენჰაიმის მუზეუმი. ნიუ-იორკი, აშშ



„მაგიდა. ნატურმორტი პოცვრით“. 1920. სტილი: კუბიზმი. კურძო კოლექცია



„არლეკინის კარნავალი“. 1924-1925. სტილი: სიურ-რეალიზმი. ოლპრაიჭ-ნიუსის სამხატვრო გალერეა. ბუფალო, ნიუ-იორკი, აშშ

მირო საქმაოდ თავისუფლად „ექცევა“ პერსპექტივას, არ აკეთებს აქცენტს ახლო და შორი საგნების განსხვავებაზე, იყენებს ლოკალურ მაძლარ ფერებს, უხეშ მონასმს. მისი სურათები და ნახატები უბრალოებით, ლაკონიურობითა და სქემატურობითაც კი გამოიჩინა. მოგვიანებით მისი ნამუშევრები უფრო და უფრო დახვეწილი, პოეტური და იდუმალი ხდება. მათში წარმოდგენილი

როული, გამარტივებული გეომეტრიული ფიგურებით დასახლებული სამყარო სიურეალიზმის სტილის განვითარების მორიგ ეტაპად იქცა.

მიროს ტილოებში უხვადაა გრაფიკა: წერტილები, პატარ-პატარა ხაზები, პუნქტირები, რომლებიც აბსტრაქციად აღიქმება, თუმცა თავად მხატვარი გადაჭრით უარყოფდა ამგვარ გაშიფვრას. მისი შემოქმედების მთავარი მახასიათებლები სიხარული, მზის სინათლე, სიჯანსაღე, ფერი და რიტმია.

კუბიზმის შთაბეჭდილებებით შეძრული მხატვარი პარიზში პიკასოს ხვდებოდა, თუმცა მისი ნაწარმოებების შთაგონების წყარო პაულ კლეეს შემოქმედება იყო. თავისი კარიერის განმავლობაში მიროს არაერთი ფერის, ფორმისა და მასალის მიმართ გამოუვლენია ინტერესი. მას ფერწერასა და სიურეალიზმში რაღაც ახლისა და უჩვეულოს შეტანა უნდოდა, ამიტომ ხან ქვიშისა და ქვის გამოყენება სცადა, ხან – ზუმფარის ქაღალდის თუ ბაწრის ან სხვა მასალის, რაც კი ხელში მოხვდებოდა. მოგვიანებით მირო კერამიკამ გაიტაცა.

დიდი მხატვრები

	ხმან (ჟოან) მირო (Joan Miro i Ferrà)
	ცხოვრების ქრონოლოგია
ცხოვრების წლები	20.04. 1893 – 25.04. 1983
დაბადების ადგილი	ბარსელონა, ესპანეთი
განათლება	ლა ლონხის ნატიფი ხელოვნების სკოლა (მოდესტ ურელთან), ფრანსისკო გალის კერძო სამხატვრო სკოლა ბარსელონაში
წოდებები და ჯილდოები	გუგენჟაიმის პრემია (1959)
სტილი და ტექნიკა	აბსტრაქციონიზმი, სიურეალიზმი; ფერწერა, სკულ-პტურა, კერამიკა, გრაფიკა
ქმნილებების თემები	პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი
ცნობილი ნაწარმოებები	„ფერმერი“ (1913-1914), „ნატურმორტი ვარდით“ (1916), „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ (1917), „ფერმა“ (1921-1922), „დედობა“ (1924), „ჰოლანდიური ინტერიერი“ (1928), „ხასიათი“ (1934), „ხარების ბრძოლა“ (1945), „ფერწერა“ (1953), „გადამფრენი ფრინველი“ (1970), „ქალი“ (1976) და სხვ.
გამონათქვამები	„ჩემთვის მნიშვნელოვანია მაქსიმალური ინტენსივობის მიღწევა მინიმალური ძალის მეშვით. სწორედ ამიტომ თამაშობს სიცარიელე ჩემს სურათებში სულ უფრო მეტ როლს.“



საიტი ხმან მიროს შემოქმედების შესახებ:
<http://www.joan-miro.ru/>

მიროს სკულპტურაც იტაცებს და ის თვითგამოხატვისთვის ახალ საპიელს აღმოაჩენს. მასალები და მოცულობები – აი, ის გამოცანები, რომელთა გამოცნობის პროცესში მრავალი მშვენიერი პლასტიკური კომპოზიცია დაიბადა.

ხოან მიროს სკულპტურული ნამუშევარი „ქალი და ჩიტი“ (1983) ბარსელონაში მისი სახელობის პარკში დგას. ოსტატის 22 მეტრის სიმაღლის ქმნილება ერთდღოულად ქალის სილუეტიც არის და ფრინველის მხატვრული სახეც. სკულპტურის ზედაპირი მიროს საყვარელი ფერებით – წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი კერამიკითაა დაფარული.



მირომ შექმნა რამდენიმე მონუმენტური კერამიკული პანო, რომლებმაც ჰარვარდის უნივერსიტეტის სასადილო (1960-1961), სანკტ-გალენის ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის შენობა (1964), სენ-პოლ-დე ვანსეს მეგის ფონდის გალავანი (1968) და ბარსელონის აეროპორტი (1970) დაამშვენა.

დაფიქრდით და ახსენით


რა საერთო ნიშნები ახასიათებს მიროს ფერწერასა და სკულპტურას?

იცით თუ არა?

20-იანი წლების შუახანებში მირო რეალური, ცნობადი მხატვრული სახეების იდუმალ, მის მიერვე გამოგონილ მხატვრულ ენაზე გამოსახვის ხელოვნებას დაუყოლა. დახატული ნამუშევარი უკვე სიუჟეტური კომპოზიცია კი არა, მაგიური ფორმულა უფროა. მხოლოდ ადამიანის ფანტაზიას თუ ძალუძს, ტილოზე გაბნეული დეტალების, ცალკეული გეომეტრიული ფიგურების, სწორი, ტეხნილი, კლაკნილი ხაზებისა და ფარული ცეცხლის ენებისგან ერთიანი კომპოზიცია აღადგინოს. თითოეული ნიშნის მნიშვნელობა შეიძლება გაიშიფროს. ეს იდუმალი სიმბოლოები მხატვარს არ გამოუვონია, მან ისინი ტრადიციული და ხალხური ხელოვნების საფუძვლიანი შენავლის პროცესში აღმოაჩინა.



„კატალონიური პეიზაჟი (მონადირე)“. 1923-1924. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. ნიუ-იორკი, აშშ



„ნაითა“. 1923-1924. გუგენჟაიმის მუზეუმი. ნიუ-იორკი, აშშ

ეს საინტერესო

მრავალი საინტერესო ნამუშევარი შექმნა მირომ პოეტური კრებულების დასურათებისას, 1971 წელს კი მან საკუთარი ლექსების წიგნი გამოსცა, სა-თაურით „ოქროსბუმბულიანი ხვლიკი“.

ხოან მირო სიურრეალიზმის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი გახდა. მყარი ინდივიდუალური მანერა, იდუმალებითა და სიმბოლოებით სავსე განსაკუთრებული საავტორო სამყარო მხოლოდ ამ მხატვრის შემოქმედების-თვისაა დამახასიათებელი. მიროს ინდივიდუალური სტილის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი სწორედ სიურრეალიზმია ითამაშა.

სიურრეალიზმი ხელოვნების ისტორიის ნათელი ფურცელია. ამ მიმართუ-ლების ნაწარმოებები იზიდავს და ატყვევებს მნახველს. მათი გაგება ძნელია, მაგრამ ზუსტად ამიტომ ხიბლავს ისინი ადამიანებს. ხოან მირომ სიურრეალიზ-მის საკუთარი პოეტური ვარიანტი შექმნა.

1976 წელს ბარსელონაში გაიხსნა მუზეუმი „ხოან მიროს ფონდი“ – თანამედ-როვე ხელოვნების შესწავლის ცენტრი. მუზეუმის დაფუძნების იდეა მიროს 1968 წელს, მისი ნამუშევრების უმსხვილესი გამოფენის შემდეგ გაუჩნდა. მან მოისურვა ახალი შენობის აგება, რომელიც საგამოფენო სივრცე იქნებოდა მისი და თანა-მედროვე ხელოვნების სხვა წარმომადგენელთა ნამუშევრებისათვის. ფონდის ექ-სპონატები ძალზე მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც მხატვრის ადრეულ ნაწარმოებებს, ისე მის ცნობილ ქმნილებებს, რომლებიც ავტორის შინაგანი სამყა-როს სხვადასხვა მხარეს აირევლავს. ექსპონატების უმრავლესობა ფონდს მირომ აჩუქა. კოლექცია 300 სურათის, 10000 ნახატისა და 150 სკულპტურისგან შედ-გება. აქ გამოფენილია აგრეთვე ტექსტილისა და კერამიკის მრავალი ნაკეთობა.

დღეისათვის ხოან მიროს სახელი კაცობრიობის ცნობიერებაში ტილოზე და თიხაში ხორცშესხმული უჩვეულო, ფერადოვანი ფანტაზიებისა და ფიქრების მთელ სამყაროს განასახიერებს.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ფერადი ფანჯრები, ფლომასტერები, გუაში.

განსაზღვრეთ

1. მიროს სურათებში ბევრი იდუმალი სიმბოლოა. როგორ ფიქრობთ, რას უნ-და ნიშნავდეს ისინი?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატეთ სიურრეალისტური სიმბოლური სურათი თემაზე „წელიწადის დრონი“. შეეცადეთ, რეალური ობიექტები იდუმალი გეომეტრიული ნიშ-ნებისა და ხაზების მეშვეობით გამოსახოთ. ფურცლის მეორე მხარეს მიუ-თითოთ, რას ნიშნავს თითოეული სიმბოლო.
3. შეაგროვეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ხოან მიროს შე-მოქმედების შესახებ.

შეამონეთ თქვენი თავი

- ✓ რა წვლილი მიუძღვის ხოან მიროს სიურრეალიზმის განვითარებაში?

დიალოგი ხელოვნებაზე

რა საშუალებებით ზემოქმედებს ხელოვნება ადამიანზე?

გაიხსენეთ

რა ტიპებად და სახეობებად იყოფა სკულპტურა?

გაცანით

XX საუკუნის სახვითი ხელოვნების უდიდესი ოსტატების რიცხვს შვეიცარიელ სკულპტორს, ფერმწერსა და გრაფიკოსს, ალბერტო ჯაკომეტისაც მიაკუთვნებენ. მის შემოქმედებაზე თვალსაჩინო ზეგავლენა მოახდინა კუბიზმა და სიურრეალიზმა. თუმცა ამავე დროს ბევრი თავისი ნამუშევარი მან დიდი ფრანგი მოქანდაკის, როდენის შემოქმედების შთაბეჭდილებით შექმნა.

ჯაკომეტის ადრეული ნაწარმოებები რეალისტური მანერითაა შესრულებული, მოგვიანებით კი იგი კუბიზმა, აფრიკულმა ხელოვნებამ, ოკეანისა და უძველესი ამერიკის არქეულმა პლასტიკამ გაიტაცა. სრულიად განსხვავებული მიმართულებების მხატვრები, პიკასო და მატისიც, იყენებდნენ მსგავს მოტივებს ფერწერასა და სკულპტურაში.



„ქალი-კოვზი“. 1926



„ფიგურა“. 1926



„წყვილი“. 1927

ოდნავ მოგვიანებით ჯაკომეტი თავის სკულპტურებში კუბიზმის ელემენტების სიზრისეულ ფანტასტიკასთან, აგრესიასთან შერწყმას იწყებს. სიურრეალისტური პერიოდის ქანდაკებებში ფორმები მარტივდება და აბსტრაქციას უახლოვდება. ემოციათა მთელი სპექტრის, გარესამყაროს, მისი წესრიგისა და თავსმოხვეული პირობითობების მიუღებლობის საკუთარ სულში გარდატეხის ხარჯზე ჯაკომეტი უაღრესად ჰაეროვან, მსუბუქ კომპოზიციებს ქმნის, – უფრო ჩრდილებს, ვიდრე რეალურ ობიექტებს. გარესამყაროსგან მათი იზოლირების ხაზგასასმელად ოსტატმა ზოგიერთი თავისი ნამუშევარი გალიაში – თხელკარვასულ კონსტრუქციაში – მოათავსა. ეს კონსტრუქციები ვიზუალურად გა-

მოაცალკევებს იმ მცირე სივრცეს, რომელშიც სამუდამოდ დაიდო ბინა მისმა შედევრებმა.

სახვითი ხელოვნების გალერეა

სიკვდილის საშინელ მარტოობას განასახიერებს „ხელი“, რომელიც მოქანდაკემ ომის დროს რეალურად ნანახი სურათის, ადამიანის მოწყვეტილი ხელის, შთაბეჭდილებით შექმნა. ეს ნანარმოები ნებისმიერ მნახველს შეაძრნება.



„ხელი“. 1947



„ყელგამოქრილი ქალი“. 1932

მეორე მსოფლიო ომის წლებს ჯაკომეტი შვეიცარიაში ატარებს. ომის დამთავრების შემდეგ ის ქანდაკებაში, ფერწერასა და გრაფიკაში საკუთარ სტილს აგნებს.



„სიურრეალისტური მაგიდა“. 1933



„მისიარულე ადამიანი“. 1947

ჯაკომეტიმ შექმნა სკულპტურული გამოსახულებების განსაკუთრებული, უნიკალური და ადვილად საცნობი ტიპი – წაგრძელებული, მყიფე, მფეთქავზედაპირიანი ფიგურები, რომლებიც მათ ირგვლივ არსებულ სივრცეს აერთიანებს. მეტალისა და ფერწერული ზედაპირის დამუშავების ხერხების შერწყმით ჯაკომეტიმ სახვითი ხელოვნების ტრადიციული სახეების აღქმა შეცვალა. ხელოვნებაში ჯაკომეტის მიერ მოხდენილი რევოლუცია იმ მთავრის დანგრევაში გამოიხატება, რაც, არსებითად, სკულპტურას შეადგენს: ის არ ცნობს მოცულობას, იყენებს გამჭოლკონსტრუქციებს, მისი ფიგურები თხელი და დეფორმირებულია.

დიდი მხატვრები



ალბერტო ჯაკომეტი:
(Alberto Giacometti)

ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	10.10. 1901 – 11. 01. 1966
დაბადების ადგილი	ბორგონიოვო, სტამპა, შვეიცარია
განათლება	გრანდ შომიერის სტუდია პარიზში, ნატიფი ხელოვნების სკოლა უენევაში
სტილი და ტექნიკა	სიურრეალიზმი, ექსპრესიონიზმი, კუბიზმი, ფორმალიზმი; სკულპტურა, ფერწერა, პორტრეტი
ნაწარმოებების თემები	პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი, ბიუსტი
ცნობილი ნაწარმოებები	„თავი“ (1925), „დაკრუნჩეული ადამიანი“ (1926), „ქალი“ (1928), „მჯდომარე ქალი“ (1946), „ადამიანი, რომელიც უთითებს“ (1947), „წვემაში მოარული ადამიანი“ (1949), „ველი. კომპოზიცია ცხრა ფიგურით“ (1950), „ადამიანი, რომელიც მიაბიჯებს“ (1960) და სხვ.

იცით თუ არა?

შვეიცარიული ფულის ბანკო-ტებზე მხატვრების, პოეტებისა და კომპოზიტორების პორტრეტებს. ნახავთ 100 შვეიცარიული ფრანკის ღირებულების კუპიურაზე დიდი შვეიცარიელი სკულპტორი ალბერტო ჯაკომეტი გამოსახულია.



დაფიქრდით და ახსენით

რამ იქონია ზეგავლენა ჯაკომეტის შემოქმედებაზე?

ეს საინტერესოა

ალბერტო ჯაკომეტიმ და მისმა ძმამ, დიეგომ, ასევე უნიჭერესმა მხატვარმა, ავეჯის დიზაინერმა და ინტერიერის დამპროექტებელმა, ერთად არაერთი დიზაინერული სკულპტურა შექმნეს. ამ ნანარმოებების კონსტრუქციაში მეტნილად ბუნებისა და ცხოველების მხატვრული სახეებია ჩართული. ამგვარი სკულპტურის ნიმუშია „სირაქლემა და სირაქლემის კვერცხი“.



ციურისში დაარსდა ალბერტო ჯაკომეტის ფონდი. მისი 60 ნამუშევრის (ძირითადად, ფონდის მიერ ნარმოდგენილის) შემცველმა მცირე გამოფენამ სრულად აირეკლა ისტატის შემოქმედების ყველა პერიოდი, ადრეული ავტოპორტრეტი- დან უკანასკნელ (განუხორციელებლ) პროექტამდე. ამ პროექტით ჩაფიქრებული იყო სკულპტურული კომპოზიციის შექმნა ნიუ-იორკში, ჩეიზ-მანჰეტენ ბანკის წინ არსებულ მოედანზე დასადგმელად.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: პლასტილინი ან თიხა, მუყაო, მავთული.

განსაზღვრეთ

1. რა თემებს ირჩევს ალბერტო ჯაკომეტი თავისი ნანარმოებებისთვის?


შემოქმედებითი საქმიანობა

2. გამოძერნეთ ადამიანის ფიგურა ჯაკომეტის სკულპტურების სტილის მიბაძვით. თემა: „სპორტის სახეობები“ ან „სპორტსმენი“.



ოსტატის რჩევები

დასაწყისისთვის სქელი მუყაოსა და მავთულისგან გააკეთეთ ფიგურის კარკასი, შემდეგ კარკასს დაადეთ პლასტილინი ან თიხა და ფიგურის მოძრაობა გამოსახეთ. სხვა დეტალები ძალიან თხელი სილუეტის შექმნის შემდეგ გამოძერნეთ.


კარკასი სპორტსმენის ფიგურის გამოსაძერნად



მოცემული სილუეტების მიხედვით განსაზღვრეთ სპორტის სახეობა და აირჩიეთ ვარიანტი სკულპტურისათვის, რომლის გამოძერწვასაც აპირებთ.



გამოძერწვამდე შეგიძლიათ, გააკეთოთ ნახატის ესკიზი, რომელზეც სპორტსმენის მოძრაობას გადმოსცემთ



3. შეაგროვეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ალბერტო ჯაკო-მეტის შემოქმედების შესახებ.

შეამოწმეთ თქვენი თავი


- ✓ რა წვლილი მიუძღვის ჯაკომეტის სიურრეალიზმის განვითარებაში?

შემაჯამარებელი და ვალებები

შემონმეთ თქვენი თავი



პოლ სეზანი



პაბლო პიკასო



გასილი
კანდინსკი



„ატმები და მსხლები“. 1880 წლის დასასრული. ა. ს. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი, რუსეთი



„მტირალი ქალი“. 1937. ტეიტის გალერეა. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი




„სამხრეთის (ტუნისის ბაღები)“. 1919. კერძო კოლექცია



„ნამონოლილი ქალი ბაგჰვით“. 1983. ტექნიკა: თითბერი

1. დაასახელეთ ამ ნაწარმოებების ავტორები.



ჰენრი
სპენსერ მური



პაულ კლეი



ნაუმ გაბო



„მეცნიერებელთა ხაზი“. 1923. ფიუსელდორფი. ჩრდილოეთ რაინის მხარის ხელოვნების ნიმუშთა ნაკრები



„მეცნიერებელთა ხაზი“. 1923. ფიუსელდორფი. ჩრდილოეთ რაინის მხარის ხელოვნების ნიმუშთა ნაკრები

„თავი №2“. 1916. ფოლადი. ტეიტის გალერეა. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

- 2.** განსაზღვრეთ, რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება ამ მხატვართა შემოქმედება.



სალვადორ
დალი



ხოან მირო



ალბერტო
ჯაკომეტი



„მეცსიერების მუდმივობა“. 1931. თანამედროვე ხე-
ლოვნების მუზეუმი. ნიუ-იორკი, აშშ



„ცეცხლოვანი ბორბლისკენ ლურჯ ცაზე გამა-
ვალი კიბე“. 1953. კერძო კოლექცია



„სიურრეალისტური დივანი“. 1974.



„სიურრეალისტური მაგიდა“. 1933.

- 3.** დაასახელეთ სახვითი ხელოვნების დარგები და უანრები, რომლებშიც ეს მხატვრები მოღვაწეობდნენ.

?

თანამედროვეობის
ანარეპლი
აზერბაიჯანულ
სახვით
ხელოვნებაში

XX საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანულ სახვით ხელოვნება-ში სულ ახალი და ახალი მიმღინარეობები ენაცვლებოდა ერთმანეთს. მათი ჩამოყალიბების პროცესში აზერბაიჯანელი მხატვრები, რომლებიც ჯეროვნად აფასებდნენ რეალისტურ და ეროვნულ სტილებს, არც ფორმით, ფერითა და მხატვრული სახეებით ექსპერიმენტირებაზე ამბობდნენ უარს და საბოლოოდ მათ სრულყოფილი, ჰარმონიული ნაწარმოებების შექმნა შეძლეს.



დიალოგი ხელოვნებაზე

თქვენი აზრით, ხელოვნების რომელ დარგებში შეიძლება გამოვლინდეს კონსტრუქტივიზმი?

გაიხსენეთ

დაასახელეთ კონსტრუქტივიზმის ძირითადი ნიშნები.

გააცანით

XX საუკუნის ხელოვნების ტენდენციებმა, მის ყველა სახეობაში, მათ შორის, არქიტექტურაშიც პოვა ასახვა. გასული საუკუნის დასაწყისის ყველაზე გავრცელებულ არქიტექტურულ მიმართულებად იქცა კონსტრუქტივიზმი, რომლის დევიზი იყო „ეკონომიკა, სარგებელი და სილამაზე“.

სტილის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს გამოვლინდა. ხუროთმოძღვრებმა თავი ანებეს ქვასა და ხეს და მინისა და რკინაბეტონისგან იწყეს მსხვილმასშტაბიანი კონსტრუქციების შექმნა.

გამოჩენილი აზერბაიჯანელი არქიტექტორი მიქაელ უსეინოვი განსაკუთრებული ფიგურაა XX საუკუნის აზერბაიჯანული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. მისი ავტორობითაა შექმნილი ბაქოს საუკეთესო არქიტექტურული ძეგლები – შენობები, მონუმენტები და სხვ. ჩანაფიქრი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ძეგლებს, და მათი ხორცშესხმის სტილი იმდენად შეთანხმებულია დროის მდინარებასთან, რომ ამჟამადაც ინარჩუნებს აქტუალობას ჩვენი დედაქალაქისთვის. მთავარი ამ ოსტატის შემოქმედებაში ეროვნული კოლორიტის მსოფლიო არქიტექტურის ნოვატორულ ტენდენციებთან შეხამებაა.

დაფიქრდით და ახსენით

ჩამოთვალეთ ბაქეში მ. უსეინოვის პროექტით აგებული შენობები და გვიამდეთ ამ ქმნილებების საერთო ნიშნების შესახებ.

კონსტრუქტივიზმი მოიცავს არქიტექტორის შემოქმედების შედარებით ხანმოკლე პერიოდს – 1923-1931 წლებს.



მიქაელ უსეინოვის მიერ დაპროექტებული შენობები აღმოსავლური თავისებურებით გამოირჩევა. ხუროთმოძღვარი ამტკიცებდა, რომ ეროვნული არქიტექტურა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ფორმაა. მოგვიანებით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა სკოლის არქიტექტურის შესწავლისას, მათი სინთეზის საფუძველზე უსეინოვმა მონუმენტური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების პროექტები შექმნა. საკმარისია, დავასახელოთ ბაქოს სამუსიკო აკადემიის, ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის, მ.ფ ახუნდოვის სახელობის ბიბლიოთეკის შენობები.

უსეინოვი ჯერ კიდევ აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად – აზერბაიჯანის ტექნიკური უნივერსიტეტი) სტუდენტი იყო, როდესაც კონსტრუქტივიზმის სტილის რამდენიმე პროექტი შემუშავა, რომელთაგან ნაწილი განხორცილდა კიდევ. მის ქმნილებებში ხაზებასმული იყო გეომეტრიის ლაკონიზმი, პორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების შეჯახება, მოცულობითი ფორმებისა და სიბრტყეების, ყრუ მასივებისა და შემინული ზედაპირების კონტრასტი. მისი ყველა ნაგებობის სავალდებულო ელემენტები იყო გამოყენებადი სახურავები, მსუბუქი პერგოლები, გალერეები, ფარდულები, რომლებიც ისევე აუცილებელია ცხელი ჰავის პირობებში, როგორც შიდა ეზოები. ამავე დროს უსეინოვის ნარმოსახვას ახალგაზრდობიდანვე აღელვებდა ევროპული კლასიკა, განსაკუთრებით, რუსული არქიტექტურული კლასიციზმის მემკვიდრეობა.

დაფიქრდით და ახსენით

ვის ეძღვნება ეს ძეგლები ბაქოში, რომლებიც არქიტექტორმა მ. უსეინოვმა დააპროექტა და მოქანდაკე ფ. აბდურახმანოვმა შეასხა ხორცი?

რა მიზნით მონაწილეობენ არქიტექტორები სკულპტურების შექმნაში? პასუხი დაასაბუთეთ.



ნოვატორული იდეების პარალელურად, უსეინოვის შემოქმედებითი ძიება წმინდა აზერბაიჯანულ ეროვნულ სტილისტიკას შეუძლებელდა. 1924 წლიდან იგი შირვანშაჰების სასახლის ნაგებობათა კომპლექსის აზომვებს აწარმოებდა და ამ სამუშაომ სპეციალისტებს შორის სენსაცია გამოიწვია. უსეინოვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ტრადიციული სტილის ქმნილება XII საუკუნის აზერბაიჯანელი პოეტისა და მოაზროვნის, ნიზამი განჯელის საფლავის ძეგლის საკონკურსო პროექტია (1925 წელი).

დიდი მხატვრები



მიქაელ ალესევ Ələsgər oğlu Useynov
(Mikayil Ələsgər oğlu Useynov)

ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	06(19).04.1905-07.10.1992
დაბადების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
განათლება	აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ამჟამად აზერბაიჯანის ტექნიკური უნივერსიტეტი) (1922-1929);
წოდებები და ჯილდოები	აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1940), ლენინის ორდენი (1946, 1958), არქიტექტურის დოქტორი (1950), აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო პრემია, სსრკ სახალხო არქიტექტორი (1970), სოციალისტური შრომის გმირი (1985), აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი (1992) და სხვ.
სტილი და ტექნიკა	არქიტექტურა; კონსტრუქტივიზმი
ცნობილი ნაწარმოებები	ფაბრიკა-სამზარეულო (ამჟამად სამშობიარო სახლი) და-სახლება ბაილოვოში (1930), სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი (1934), აზერბაი-ჯანის სსრ პავილიონი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში (1939), აზერბაიჯანის ტექნიკური უნივერსიტეტი (ს. დადაშევთან ერთად), ბაქოს მეტროპოლიტენის სადგურები „ნ. ნარიმანოვი“ (1967), „ნიზამი“ (1976), „მეცნიერებათა აკადემია“ (1985) და ა. შ.ს. ვურგუნის ძეგლი ბაქოში (მოქანდაკე ფ. აბდურახმანოვთან ერთად), ნიზამის ძეგლი (მოქანდაკე ფ. აბდურახმანოვთან და არქიტექტორ ს. დადაშევთან ერთად) და სხვ.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში ბაქო ამიერკავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და ინტელექტუალური ცენტრი იყო. სწორედ ამ დროს ცდილობს საერთო აღმაფრენით შთაგონებული, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა უსეინოვი არქიტექტურის ახალი ენის დაუფლებას. ჭეშმარიტი შემოქმედებითი სიმწიფე მასთან აზერბაიჯანის თანამედროვე არქიტექტურაში ეროვნული

მემკვიდრეობის როლი-სა და ადგილის შეცნო-ბის შემდეგ მოდის.

ოსტატი თავის მრა-ვალ ქმნილებაში ავითა-რებს იდეას აზერბაიჯა-ნის ეროვნულ არქიტექ-ტურაში აღმოსავლური ფორმებისა და მოტივების გამოყენების შესა-ხებ. ამგვარი სინთეზის ნიმუშებია აზერბაიჯა-ნის პავილიონის შენობა



შეცნიერთა საცხოვრებელი სახლი

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში, ბაქოს მეტროპოლი-ტენის სადგური „ნიზამი“ ნიზამის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი.

იცით თუ არა?

არქიტექტურაში კონსტრუქტივიზმის ფუძემდებლად ფრანგი არქიტექტო-რი ლე კორბუზიე ითვლება. მისი ერთ-ერთი ნოვაცია იყო ფასადისთვის დიდე-ბული იერის მინიჭების მიზნით შენობის კონსტრუქციული ნაწილების გამოყე-ნების იდეა. დიდი ხუროთმოძღვარი თავის შემოქმედებაში კონსტრუქტივიზმის ხუთ ძირითად ელემენტს – ხიმინჯებზე შემდგარ შენობას, ფასადის თავისუ-ფალ კომპოზიციას, ლენტისებრ ფანჯრებს, კონსტრუქციის თავისუფალ შიდა დაგეგმარებას, ბრტყელ გადახურვა-ტერასებს – იყენებდა.

უსეინოვის შემოქმედება ჭეშმარიტად ამოუწურავია. მისი მემკვიდრეობა 200-ზე მეტ პროექტს მოიცავს და თითქმის ყველა მათგანი რეალიზებულია. ოსტატის ქმნილებებში მთავარია ტრადიციების პატივისცემა და მათი მხატ-ვრულად გადამუშავებული ფორმით გამოყენება.

არქიტექტურის კლასიკისა და მსოფლიო ხუროთმოძღვრების უახლესი ტენ-დენციების ცოდნის მიუხედავად, უსეინოვი თავისი ხალხისა და მისი მხატვრუ-ლი კულტურის ღვიძლად დარჩა.

მიქაელ უსეინოვის შემოქმედებამ აზერბაიჯანის არქიტექტურაში ახალი ეტაპი დაინტერირდა და მისი მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანა. მან აზერბაიჯა-ნული არქიტექტურა თავისი განუმეორებელი, დახვეწილი ხელწერით გაამდიდრა.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ფერადი ფანჯრები, ფლომასტერები, ფერადი კალმები, აკვა-რელი, ფერადი ქაღალდი, მუყაო.

განსაზღვრეთ


1. გამოიყენეთ ინფორმაციის სხვადასხვა წყარო და გვიამბეთ თანამედროვე პერიოდისა და წარსულის არქიტექტურის შესახებ.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. ა) შავი ქალალდისგან გამოჭერით ან დახატეთ კონსტრუქტივიზმის სტილის ცნობილი ნაგებობის სილუეტი. ეს შეძლება იყოს რომელიმე ქალაქის სავიზიტო ბარათი, როგორცაა, მაგალითად, ეიფელის კოშკი საფრანგეთის დედაქალაქის, პარიზისთვის.



- ბ) დახატეთ საზოგადოებრივი ან საცხოვრებელი შენობის ესკიზი კონსტრუქტივიზმის სტილით. ნაგებობა შეიძლება იყოს შემინული და ხიმინჯებზე შემდგარი. ესკიზი ისე უნდა გაკეთდეს, რომ შენობა წინიდანაც ჩანდეს და გვერდიდანაც, მაგალითად:



3. მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია მიქაელ უსეინოვის შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ დაასახელეთ XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურის განვითარებისძირითადი იდეები და პრინციპები.

დიალოგი ხელოვნებაზე

რის საფუძველზე ირჩევენ ფერწერული ნაწარმოების მასშტაბს? როგორ არის მხატვრულ ნაწარმოებში ფერი და ფორმა ერთმანეთთან დაკავშირებული?

გაიხსენეთ

რა სიახლეები მოიტანეს ხელოვნებაში თანამედროვე მხატვრებმა და რა გავლენა იქონია ამან ფერწერაზე?

გაეცაით

ფუნჯის გამოჩენილი ოსტატი მირჯავად მირჯავადოვი ცნობილია, როგორც ახალი მიმართულების ფუძემდებელი აზერბაიჯანულ ფერწერასა და მთელ აფშერონის სკოლაში. მხატვარმა სრულიად ახალი ჰილოზონტები გახსნა და აზერბაიჯანულ ხელოვნებაში იმპროვიზაცია და თავისუფლება შემოიტანა. მ. მირჯავადოვის, მეგობოსისა და ექსპერიმენტორის, **ნონკონფორმისტისა¹** და ნოვატორის, ნაწარმოებებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა სამამულო სახვით ხელოვნებაზე. მის ნამუშევრებს ან უპირობოდ იღებდნენ, ან დაუყოვნებლივ უკუაგდებდნენ, თუმცა დროთა განმავლობაში აშკარად გამოიკვეთა, რამდენად უნიკალურ ადგილს იკავებდა ეს მხატვარი თანამედროვე აზერბაიჯანის ხელოვნებაში. ოსტატმა აღიარება მხოლოდ საბჭოთა პერიოდის, მისი ქმნილებებისადმი გულგრილობის მრავალი წლის, შემდეგ მოიპოვა.

სახვითი ხელოვნების გალერეა



სერია „საუკუნეთა ჰიმნიდან“. 1986



„ნოეს კიდობანი“. 1987

¹ნონკონფორმისტი (ინგლ. სიტყვებიდან non - „არა“, *conformis* – „მსგავსი“, *non-conformism* – არამსგავსი, განსხვავებული) – საყოველთაოდ მიღებული წესების, ტრადიციების, ლირებულებებისა და კანონების უარყოფა. სიტყვის სინონიმია „წევატივიზმი“.

მირჯავად მირჯავადოვს სტუდენტობის წლებიდანვე არ აქმაყოფილებდა ფერწერის ოსტატობის დაუფლების საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული სისტემა. ის ვერ აღიქვამდა სოცრეალიზმს, რომელიც იმ პერიოდის ხელოვნების იდეოლოგიურ საფუძვლად ითვლებოდა.

მხატვარი სიყრმიდანვე გატაცებული იყო იმპრესიონისტებით, განსაკუთრებით, სეზანით, და მისი ნამუშევრების ნახვაზე ოცნებობდა. იმ დროს საბჭოთა კავშირში იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი ხელოვნებისთვის უცხო მიმართულებებად ითვლებოდა და ამ სტილებით ხატვა იყრძალებოდა. მიუხედავად ამისა, მირჯავად მირჯავადოვი მიერგვა უცხო მას ელ გრეკოს, რიგით მუშად მოეწყოს ამ მუზეუმში. ძალიან ბევრი ასწავლა მას ელ გრეკოს, რემბრანდტის ნამუშევრებმა. ის მათი სურათების ასლებს ხატვას ორიგინალების დეტალური შესწავლის შემდეგ, ხოლო საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეთა მიერ უარყოფილი სეზანისა და ვან გოგის ნაწარმოებები მირჯავადოვისთვის ოსტატობის უმაღლეს სკოლად იქცა.

მხატვარზე ასევე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა კოლექციებმა, რომლებიც მან ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში იხილა. აქ იგი აფრიკის, ოკეანის, ინდონეზიის, ახლო აღმოსავლეთის ხალხების ტრადიციულ ხელოვნებას სწავლობს.

მხატვარმა ლენინგრადში 1954 წლამდე იცხოვრა და ბაქოში დაბრუნების შემდეგ ათი წელი საკუთარ ფერწერულ ექსპერიმენტებს მოახმარა. თავის შემოქმედებაში ის სახვითი ხელოვნებისთვის არატრადიციულ მასალებს – მეტალს, ქვას, ბითუმს, ცემენტს – იყენებდა. ამ მასალებისგან შექმნილი მისი ორიგინალური ნაწარმოებები გამაოგნებელ ძალას ფლობს.

მირჯავად მირჯავადოვის ყველაზე ადრეულ ფერწერულ ნაწარმოებად სურათი „მტაცებელი“ ითვლება. მასზე გამოსახულია მიწაზე დაგდებული ფეხებშეკრული ცხვარი, მის გვერდით კი – არაადამიანური არსება, დაკრეჭილი კბილებითა და ტომარასავით სხეულით. ამ ალეგორიით მხატვარმა საზოგადოებისადმი დამოკიდებულება გამოხატა.

მხატვრის გრაფიკული ნაწარმოებები თავიანთი ენერგეტიკითა და მასშტაბით გვანცვიფრებს. ზოგიერთი მათგანი ტუშითაა შესრულებული, სხვები – ფანქრით. თვალში




„მტაცებელი“. 1967



„მამაკაცის სურათი“, 1950, ქაღალდი, გრაფიტი

საცემია მირჯავაძოვის გრაფიკის ერთი თავისებურება: ნამუშევართა უმრავლესობაში ადამიანის სხეულის ნაწილებში მიმდინარე ცვლილებები შეინიშნება.

დიდი მხატვრები



ЧАВАД

**მირჯავაძე მირჯავაძი რდელუ მირჯავაძოვი
(Mircavad Mirhasim oğlu Mircavadov)**
ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	19.01.1923 – 24.06.1992
დაბადების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
განათლება	აზერბაიჯანის ა. აზიმზადეს სახელობის სამხატვრო სკოლა (1941-1949)
წოდებები და ჯილდოები	აზერბაიჯანის მხატვართა კავშირის წევრი (1975), აზერბაიჯანის მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი (1987), აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1988)
სტილი და ტექნიკა	ავანგარდი; ფერწერა
ქმნილებების თემები	პორტრეტი, მითოლოგია, სიუჟეტური ნაწარმოებები, პეიზაჟი
ცნობილი ნაწარმოებები	„კალოობა“ (1968), „ფაეტონი“ (1968), „კამერის დაჭედვა“ (1970-1971), „ცეცხლის საპატარძლო“ (1970), „ცირკი“ (1981), „ბუდე“ (1982), „საიდუმლო სერობა“ (1982), „ლეთარგია“ (1983), „სამეფო ფრინველი“ (1984), „მოძრაობა“ (1986), „ცეცხლის ღვთაება“ (1987) და სხვ.

იცით თუ არა?

მირჯავაძე მირჯავაძოვისთვის სათაყვანებელი და ყველაზე ავტორიტეტული მხატვრები იყვნენ პაბლო პიკასო და სალვადორ დალი. თავისი სურათი „იმედის სხივი“ მხატვარმა სწორედ დალის მიუძღვნა.



„იმედის სხივი“. 1982

გარესამყაროსა და ადამიანის ემოციური და ფსიქოლოგიური გამოვლინებების გამოსახვისას მხატვარი ხშირად მიმართავდა დევის მხატვრულ სახეს.

ეს არსება ეროვნულ მითოლოგიაში არაერთმნიშვნელოვანია თავისი საქციელის მიხედვით. არსებობენ კეთილი და ბოროტი, მამაცი და მხდალი დევები. მირჯავადოვის შემოქმედებაში ეს არის პერსონაჟი, რომელიც ადამიანის-თვის დამახასიათებელი ყველა თვისებითაა დაჯილდოებული.

მეორე მუდმივი მხატვრული სახე მირჯავადოვის ნაწარმოებებში არის ქალი. ის კეთილია და მეტაცრი, შრომისმოყვარე, ლამაზი და ჭკვიანი.

მის ნამუშევართა შორის რამდენიმე პეიზაჟიცაა.

მირჯავადოვი განსაკუთრებული მნიშვნელობას ფერს ანიჭებდა. ის ცდილობდა, თავის შემოქმედებაში ფერსა და ფორმას შორის განსხვავება წაეშალა. სწორედ ეს იქცა მხატვრის კომპოზიციების გამოსახვის განუმეორებელ საშუალებად.

დაფიქრდით და ახსენით

ვინ არის აზერბაიჯანელ მხატვრებს შორის ყველაზე ახლოს მირჯავად მირჯავადოვთან თავისი შემოქმედების სტილით, ნაწარმოებების გმირებით, აზროვნების ფორმით?

შეუძლებელია აზერბაიჯანის ხელოვნების ისტორიაში მირჯავად მირჯავადოვის შემოქმედების როლის, თანამედროვე აზერბაიჯანული ფერწერის სკოლის ფორმირებისათვის მისი მნიშვნელობის ბოლომდე გაცნობიერება. XX საუკუნის 70-იანი წლების სამაულო მხატვართა მთელი თაობა ძირითადად მისი შემოქმედების გავლენით ჩამოყალიბდა. შემდგომში მათმა უმრავლესობამ ხელოვნებაში თავის გზასა და გამოსახვის საკუთარ ინდივიდუალურ სტილს მიაგნო, თუმცა სხვადასხვა მხატვრის შემოქმედებაში დღესაც იგრძნობა მირჯავადოვის ხელწერა.

მხატვრის შემოქმედება ცნობილი მხოლოდ 1987 წელს გახდა, დღეს კი მისი ნაწარმოებები მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაშია დაცული. მირჯავადოვის ნამუშევრების გამოფენები ბაქოს, მოსკოვის, ევროპისა და იაპონიის ქალაქების ყველაზე პრესტიულ საგამოფენო დარბაზებში ეწყობოდა.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ფარცები, გუაში.

განსაზღვრეთ

1. რა თემებს ეძღვნება მირჯავადოვის ის კომპოზიციები, რომლებიც სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატეთ რომელიმე მითური არსება და მისი გარემოცვა, ყურადღება მიაქციეთ ფერების კონტრასტსა და ფორმების მრავალფეროვნებას.

3. შეაგროვეთ დამატებითი ინფორმაცია მ. მირჯავადოვის შემოქმედების შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.

შეამოწმეთ თქვენი თავი

✓ რა გავლენა იქონია აზერბაიჯანის თანამედროვე სახვით ხელოვნებაზე მ. მირჯავადოვის შემოქმედებაში?

დიალოგი ხელოვნებაზე

რა უნარებს უნდა ფლობდეს მხატვარი, რომ შეძლოს, ქება შეასხას ადამიანის გრძნობებსა და სილამაზეს?

გაიხსენეთ

დაასახელეთ ქანდაკების ხელოვნების ძირითადი გამომსახველობითი საშუალებები.

გაეცანით

გამოჩენილი აზერბაიჯანელი სკულპტორი ომარ ელდაროვი ჭეშმარიტად გენიალური პიროვნებაა. ამ ადამიანმა, რომელიც, ჩვეულებრივ, საქუთარ სამყაროში იყო ჩაძირული, მრავალი დაუვიწყარი მხატვრული სახე შექმნა.

ნებისყოფა და ელეგანტურობა, იმპროვიზაცია და სიმწიფე, სიღრმე და ალლო – აი, ის თავისებურებები, რომლებიც ომარ ელდაროვის მთელ შემოქმედებას გასდევს. ძნელია, გადაჭარბებით შეაფასო მისი გავლენა ჩვენი ქვეყნის მხატვრულ გარემოზე: სკულპტორის ნამუშევრები გვაიძულებს, დავფიქრდეთ, რამდენად მნიშვნელოვანია შინაგანი არსი გარეგნული ფორმის განსაზღვრისათვის.

ომარ ელდაროვის სკულპტურები მუდმივად იპყრობს ყურადღებას, მისი მხატვრული სახეები თითქოს მარადიულ ძიებაშია, მოძრაობაშია. ოსტატისთვის დამახასიათებელი სითამამე, ოპტიმიზმი, მორალური პასუხისმგებლობა მის შემოქმედებით მიმართულებაში, მხატვრული სახეების გადმოცემაში განსახიერდა.



„ნათავაზანი“. 1960. თითბერი

ხელოვანის შთაგონების წყარო რამდენჯერმე გახდა ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი ქალის, ხურშიდბანუ ნათავანის, პიროვნება. მისი თითბრის ქანდაკება ბაქოს არქიტექტურული ანსამბლების ცენტრის ყველაზე ხმაურიან გზაჯვარედინზეა აღმართული. მდიდრულ სამოსში გამოწყობილი, ამპირის სტილის სავარძელში მჯდომი აზერბაიჯანელი დიდებული ქალის ქანდაკება,



„ბერდნიერება“. კომპოზიცია. 1956 წ. თითბერი

როგორც ჰარმონიის ნიმუში და ნატიფი გემოვნების გამოვლენა, დღესაც ამშვენებს მოედანს.

სწრაფვა სიცოცხლის რომანტიკისა და დინამიკის გამოსახვისაკენ, გმირების შინაგანი მდგომარეობის, მათი ემოციების გადმოცემა ავტორის აზრის სიღრმესა და ჰუმანიზმზე მეტყველებს.



„დრამატურგი ჰუსეინ ჯავიდი“. 1993. მასალა: თითბერი, გრანიტი

თავის ყველა ნაწარმოებში, ლირიკული გმირია ეს თუ ჰეროიკული მხატვრული სახე, ოსტატს ნინა პლანზე ეთიქური პრინციპები გამოაქვს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჰუსეინ ჯავიდისადმი მიძღვნილ სკულპტურულ ანსამბლში გამოვლინდა. ნინა პლანზე დრამატურგის იდეების, მისი პიესების სიუჟეტების გამოტანით, ო. ელდაროვმა სკულპტურაში ჯავიდის უდრეკი სული განასახიერა.



სკულპტორმა პოეტი სულიერი, შემოქმედებითი წვის პროცესში გამოსახა. ნაწარმოების არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა ამ ძლიერი, რთული და მგზნებარე პიროვნების მხატვრული სახის გახსნისკენა მიმართული.

ჰეროიკულ-ლირიკული თემა ომარ ელდაროვის მთელ შემოქმედებას გასდევს. მისი პირტერეტები, ბიუსტები, გრანიტისა და თითბრის ფიგურები მნახველზე ღრმა ფსიქოლოგიურ შთაბეჭდილებას ახდენს.

სათარ ბახლუზზადეს საფლავის ძეგლი. 1974. თითბერი

დიდი მხატვრის, სათარ ბახლუზადეს მხატვრული სახის ხორცშესხმას მოქანდაკე ფილოსოფიურ-რომანტიკული პოზიციიდან მიუდგა. ეს ქმნილება გენიოსის შემოქმედებითი სულის განსახიერება გახდა. ომარ ელდაროვი განსაკუთრებული გულმოდვინებითა და სიყვარულით ემზადებოდა მის შესაქმნელად. მან ორჯერ გამოჭრა ფიგურა ხისგან და მხოლოდ შემდეგ ჩამოასხა იგი თითბრისგან. ამ სკულპტურაში, რომელიც ს. ბახლუზადეს საფლავზე დაიდგა ამირაჯანში, სივრცე, კომპოზიცია, დინამიკა და მხატვრული სახე ორგანულად ერწყმის ერთმანეთს.

დიდი მხატვრები



**ომარ ჰასან რელუ ელდაროვი
(Ömər Həsən oğlu Eldarov)**
ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	21.11.1927
დაბადების ადგილი	დერბენი, დაღესტანი, რუსეთი
განათლება	აზერბაიჯანის ა. აზიმზადეს სახელობის სახელმწიფო სამხატვრო სასწავლებელი, სკულპტურის განყოფილება (1941-1944), ლენინგრადის ი. ე. რეპნის სახელობის ფერწერის, სკულპტურისა და არქიტექტურის აკადემია, სკულპტურის ფაკულტეტი (სანკტ-პეტერბურგი)
წოდებები და ჯილდოები	„დიდების“ ორდენი (1959), აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1963), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1980), აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი (1982), შრომის წითელი დროშის ორდენი (1986), „დამოუკიდებლობის“ ორდენი (1997), რუსეთის ფედერაციის მედალი „ლირსეულს“ (2002), „დიდების“ ორდენი (2012) და სხვ.
სტილი და ტექნიკა	სკულპტურა
ქმნილებების თემები	პორტრეტი, სიუჟეტური ნაწარმოებები
ცნობილი ნაწარმოებები	„მუჰამედ ფიზული“ (1963, ბაქო, ტ. მამედოვთან ერთად), „იბნ სინა“ (1980, დუშანბე), „იხსან დოგრამარი“ (2001, ანკარა), „ჰეიდარ ალიევი“ (2001, ყარსი), „უზეირ ჰაջიბეკოვი“ (1955, ბაქო), „ვაგიფ მუსტაფაზადე“ (1984, ბაქო), „ფიკრეტ ამიროვი“ (1988, ბაქო), „ნიაზი“ (1989, ბაქო), „ზია ბუნიათოვი“ (2000, ბაქო), „ელეგია“ (1989), „ზარიფა ალიევა“ (1995, ბაქო), ჰეიდარ ალიევის საფლავის ძეგლი (2004, ბაქო) და სხვ.

მოქანდაკის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნაწარმოებია „დროის ოთხი ფერი“. ავტორი აქ ფილოსოფიურ და ეთიკურ პრობლემებს ჭრის, რისთვისაც სივრცულ-პლასტიკურ გადაწყვეტას მიმართავს. სხვადასხვაფრად შეფერილი ოთხი კაკლის ღეროსგან ასტატმა გამოჭრა ნორჩი გოგონასა და ახალგაზრდა,

მოწიფეული და მოხუცი ქალების ფიგურები მოძრაობაში. ანსამბლი წელიწადის ოთხი დროს, როგორც დროის ულმობელი დინების, სიმბოლოა. სკულპტურა გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს სიცოცხლის ღრმა ფილოსოფიური გააზ-რებით, პლასტიკის სილამაზითა და სივრცესთან ურთიერთქმედებით.



„დროის ოთხი ფერი“. 1973. კაკლის ხე

ოსტატის ნამუშევრების გამოფენა ხშირად ეწყობოდა მსოფლიოს საუკეთესო გალერეებში. ბევრი მათგანი ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მუზეუმებში ინახება. მის ყოველ ნაწარმოებში, სადიპლომო ჰორელიეფით დაწყებული და უკანასკნელი სკულპტურით დამთავრებული, სამყაროს მრავალფეროვნების ასახვისკენ მიმართული შემოქმედების სტაბილური ხაზი, სილამაზის, სიკეთისა და სიყვარულის მუდმივი ძიება, ეთიკური ფასეულობების პრიორიტეტი იგრძნობა. სკულპტორი თითოეული თავისი პერსონაჟის სულიერი არსისა და მდიდარი ინტელექტუალური სამყაროს წარმოჩენას ცდილობს. ომარ ელიაზოვის მიერ შექმნილი სკულპტურები მისი შემოქმედებითი ბუნების არსი, ერთიანი ორგანიზმის განუყოფელი ნაწილია.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

ალქურვილობა: პლასტიკილინი ან თიხა, ქალალდი, მუყაო.

განსაზღვრეთ

1. რა ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს ო. ელდაროვის შემოქმედებას?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. თიხის ან პლასტიკილინისგან გამოიქრნეთ ჯარისკაცის სკულპტურა მოძრაობაში.

3. შეაგროვეთ დამატებითი ინფორმაცია ო. ელდაროვის შემოქმედების შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.

შეამოწმეთ თქვენი თავი

✓ რა ღვანლი მიუძღვის ო. ელდაროვს აზერბაიჯანის სკულპტურული ხელოვნების განვითარებაში?

დიალოგი ხელოვნებაზე

რას გულისხმობენ, როდესაც ფერწერული ნაწარმოების შინაარსზე ლაპარაკობენ?

გაიხსენეთ

გვიამბეთ სიუჟეტური ნაწარმოებების უანრების შესახებ.



გაეცაით

თემატური სურათები სხვადასხვა შინაარსისაა. ფერწერის ეს კატეგორია აერთიანებს ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია ისტორიული და ყოფითი სცენები, აქტუალური მოვლენები, განზოგადებული ფილოსოფიური შეხედულებები ადამიანსა და ბუნებაზე. ზოგჯერ ადამიანის ცხოვრების ყველა ეს ასპექტი ერთ ნაწარმოებშია კონცენტრირებული. ამოცანები, რომლებსაც მხატვარი თემატურ ნაწარმოებში ისახავს, ძალზე მრავალფეროვანია.

სახვით ხელოვნებაში **თემატური უანრი¹** საერთო თემით ან ობიექტით დაკავშირებული მხატვრული ნაწარმოებების ერთობლიობაა.

დაფიქრდით და ახსენით

რა თემებს უძლვნიან მხატვრები თავიანთ ნაწარმოებებს?

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აზერბაიჯანელი მხატვარია ტაირ სალახოვი, რომელსაც თემატური უანრის მრავალი ნაწარმოები აქვს შექმნილი.

ტაირ სალახოვის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნავთობის თემას. ბაქე განთქმულია მენავთობებით გმირული და, იმავდროულად, რომანტიკული შრომით. ქალაქი მჭიდროდა დაკავშირებული ნავთობიან და მის მოპოვებასთან, ეს თემა კი ყოველთვის იზიდავდა მხატვრებს. ტაირ სალახოვმა ბევრჯერ გამოსახა ტილოზე ბაქოელი მენავთობებები. მხატვრის სადიპლომონი ნამუშევარი „ვახტის შემდეგ“, რომელიც მან სურიკოვის ინსტიტუტში დაიცვა, ამავე თემას ეძღვნებოდა. სურათზე, რომელიც ამჟამად სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის კოლექციაში ინახება, ჩქარი ნაბიჯით მიმავალი ახალ-

¹ **თემატური უანრი** – ეფუძნება სიუჟეტური ნაწარმოებების მრავალფეროვნებას. მოიცავს ისტორიულ, ყოფით, ბატალურ, ანიმალისტურ და სხვა უანრებს.

გაზრდა მუშები არიან გამოსახული. კომპოზიცია **მკაცრი¹** სტილითაა შესრულებული, რომელსაც საფუძველი თავად ტ. სალახოვმა ჩაუყარა.

ოსტატის ნამუშევრები მხოლოდ ხელოვნების დამფასებლების კი არა, უბრალო ხალხის ყურადღებასაც იქცევს. ცხოვრების რეალური და გულწრფელი ფორმით ასახვა ყოფის ჭეშმარიტ არსს ავლენს და ხელოვნებისადმი ინტერესს აღვიძებს. სალახოვის მენავთობების ძლიერი, კლდესავით მონოლითური ფიგურები მითურ გმირებს მოგვაგონებს.

სახვითი ხელოვნების გალერეა



„კახტის
შემდეგ“. 1957




1



2

1. „მერუმონტეები“. 1960

2. „აფშერონელი
ქალები“. 1967



„დილი კასპიის ზღვაზე“ (ფრაგმენტი). 1986

1962 წელს ვენეციის **ბიენალეზე²** დიდი ინტერესი გამოიწვია ტაირ სალახოვის სამშა სურათმა: „მერუმონტეებმა“, „ყარა ყარაევის პირტრეტმა“ და „დილის ეშელონმა“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მხატვრის ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა: „კასპიის ზღვაზე“ (1961) და „დილა კასპიის ზღვაზე“ (1986).

² **მკაცრი სტილი** – ერთ-ერთი მიმდინარეობა სამამულო ფერწერაში, რომელიც 1950-1960-იანი წლების მიჯნაზე წარმოიშვა.

³ **ბიენალე** – სამხატვრო გამოფენა, ფესტივალი ან შემოქმედებითი კონკურსი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება.

სანამ ნავთობის თემაზე შემოქმედებით მუშაობას დაიწყებდა, მხატვარმა რამდენიმე წელინადი რიგითი მშრომელების გვერდით გაატარა და მათთან ერთად იდგა საბურლ პლატფორმაზე. ასე რომ, მისი ნაწარმოებების პერსონაჟები კონკრეტული ადამიანები არიან, რომლებსაც მხატვარი იმ წლებში დაუმეგობრდა.

სურათი „აფშერონელი ქალები“ მოგვითხრობს მენავთობების ცოლებსა და დედებზე, რომლებიც მღელვარებით ელოდებიან თავიანთი ახლობლების სამუშაოდან დაბრუნებას.

ტ. სალახოვის მენავთობების მკაცრი იერი მათი შრომის არსა, ხასიათის უძრალებას, ამტანობასა და, ამავე დროს, უწყინარობას გამოხატავს. მხატვრის თვალში მცირე დეტალიც კი ღრმა აზრის მატარებელია. ნავთობის ესტაკადებსა და პლატფორმებზე ხშირად ნახავთ მუშებს, რომლებსაც პირქარი ფეხის გადადგმასაც კი უშლის.

დიდი მხატვრები



თაირ ტეიმურ რელუ სალახოვი

(Tahir Teymur oğlu Salahov)

ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	29.11.1928
დაბადების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
განათლება	ბაქოს ა. აზიმზადეს სახელობის სამხატვრო სკოლა (1945-1950), ლენინგრადის ვ. მუხინას სახელობის უმაღლესი სამხატვრო-სამრეწველო სკოლა (1950-1951), მოსკოვის ვ.ი სურიკოვის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო ინსტიტუტი (1951-1957)
წოდებები და ჯილდოები	აზერბაიჯანის სსრ სახალხო მხატვარი (1963), ლენინისა და შრომის წითელი ღროშის ორდენები (სსრკ) (1971), სსრკ სახალხო მხატვარი (1973), „დამოუკიდებლობისა“ და „პეიდარ ალიევის“ ორდენები (2008), სოციალისტური შრომის გმირი, საპატიო ლეგიონის ორდენი (საფრანგეთი, 2015)
სტილი და ტექნიკა	ფერწერა, გრაფიკა
ქმნილებების თემები	პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, სიუჟეტური ნაწარმოებები
ცნობილი ნაწარმოებები	„ნავთობის ქვები“ (1955), „კომპოზიტორ ყარა ყარაევის პორტრეტი“ (1960), „კაცობრიობის სახელით“ (1961), „დიდი არხი, ვენეცია“ (1962), „შირვანშაჰების სასახლე“ (1966), „რასულ რზის პორტრეტი“ (1971), „სოფელი ნარდარანი“ (1974-1975), „მზიანი დილა“ (1980), „რომი“ (2000), „კაფე გრეკო. რომი“ (2002) და სხვ.

მხატვარს აინტერესებს ყველაფერი, რაც მის მშობლიურ მინასა და კასპიის ზღვას უკავშირდება. შემთხვევითი არ არის, რომ ტ. სალახოვის სახელოსნო – მისი პროფესიული ლაბორატორია – პატარა სოფელ ნარდარანში, კასპიის სანაპიროზე

მდებარეობს. სწორედ აქ დახატა მან უდიდესი ნაწილი თავისი ნატურმორტებისა და პეიზაჟებისა, რომელშიც კასპიის ძალა და პირქუში დიდებულება იგრძნობა.

კასპიისადმი სწრაფვა მხატვრის მთელ სიცოცხლეს გასდევს, მისი ნავთობის თემატიკის კულმინაციად კი 2007 წელს შექმნილი მონუმენტური ექვსმეტრიანი ტრიპტიზი „ტრადიცია და თანამედროვეობა – ცეცხლის ქვეყანა“ იქცა. ეს ნაწარმოები აზერბაიჯანის ფეშმარიტი მატიანე, ჩვენი ხუროთმოძღვრების ისტორიაა, უძველესი დროიდან მოყოლებული, დღემდე.



„ცეცხლთა ყვანის მცენ-მელთა ტაძარი“. 2007



„კასპია დღეს“. 2007



„ქალწულის კოშკი“. 2007

ტაირ სალახოვის შემოქმედება მსოფლიო კულტურის მონაპოვარია. მის პროფესიულ წელილის მაღალი შეფასება მიეცა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც სახვითი ხელოვნება მნიშვნელოვნად მიაჩინათ. სალახოვის ტალანტი მძლავრია, ვითარცა მზე, სიტყვა და ნება. მისი გმირია დრო, დრო კი წარსული ან მომავალი კი არა, მათ შორის კავშირია – ეს დღევანდელი დღეა. ამიტომა სალახოვის ნაწარმოებები შექმნილი ახალგაზრდული ენერგიითა და სტილის მაღალი შეგრძნებით. მის სურათებს ერთი თავისებურება ახასიათებს – ისინი ადამიანებს იმედს ჩუქნის. სწორედ ამაშია მოწიფებული მხატვრის სიბრძნე: ხატოს სიცოცხლისადმი დაუღალვი სიყვარულით, რომელშიც არც ახალგაზრდობისადმი შეურია და არც სიბერის შიძი.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები.

განსაზღვრეთ

1. როგორი კოლორიტი შეინიშნება ტ. სალახოვის ნაწარმოებებში?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. შექმნით ნავთობის ან მენავთობების თემისადმი მიძღვნილი სიუჟეტური ნახატი.
3. შეაგროვეთ დამატებითი ინფორმაცია ტ. სალახოვის შემოქმედების შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.

შეამოწმეთ თქვენი თავი

✓ კიდევ რომელ თემებს უკავია მნიშვნელოვანი ადგილი ტ. სალახოვის შემოქმედებაში?

17

ფაზის ნაჯაფოვი: ფორმის ძიება ადამიანის გამოსახულებაში

დიალოგი ხელოვნებაზე

რას ეძღვნება მოქანდაკის შემოქმედების ძირითადი თემა?

გაიხსენეთ

რაზეა დამოკიდებული სკულპტურის თემის, მასალისა და ფორმის არჩევა?

გაეცაით

ფაზის ნაჯაფოვი თანამედროვე აზერბაიჯანის სკულპტურული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი სახელგანთქმული მოქანდაკის, ფუად აბდურამინოვის მონაფეა. ფაზის ნაჯაფოვის ნამუშევრებში ყოველთვის შეინიშნება თემებისა და ჟანრების მრავალფეროვნება, პლასტიკური ფორმების ნაზი მგრძნობიარობა, თანამედროვე ტენდენციები, ზემოქმედებისა და თვითგამოხატვის საშუალებების ძიება.

1950-1960-იანი წლების მიჯნაზე ბაქოში ჩამოყალიბდა მხატვარ-თანამოაზრეთა დაჯგუფება, რომლის წევრებმაც თავი მხატვრულ ექსპერიმენტებსა და ინდივიდუალური სტილის ძიებას მიუძღვნეს. მათი შემოქმედების საფუძველს, შინაარსთან ერთად, ფორმის მრავალფეროვნება შეადგენდა.

ფ. ნაჯაფოვის ნაწარმოებთა დამახასითებელი ნიშნებია მონუმენტურობა, შეკუმშული მოცულობა, კომპოზიციის ზუსტი და გაბედული გადაწყვეტა. მხატვარი მუდმივად მხატვრული შემოქმედების თავისუფლების, თამამი ფორმების, ორიგინალური იდეების, ახალი მხატვრული სახეების ძიებისკენ ილტვოდა.

სახვითი ხელოვნების გალერეა



„მერზათობე“. 1963.
თაბაშირი



„გაშვილის საუკუნის ექვ“. 1979.
თოთხერი



„მეჯევზე“. 1980. თეთრი ქვა

ნაჯაფოვი წვრილ დეტალებზე ყურადღებას დიდად არ ამახვილებდა და თავის მოდელებში უპირატესობას ადამიანური გრძნობების გამოხატვას ანიჭებ-

და. მის სკულპტურებში პლასტიკური ხორციელება პოვა ადამიანის ბედილბალ-მა, მისმა განცდებმა. ოსტატი მიმართავს მძიმე ხვედრის მქონე მშრომელთა მხატვრულ სახეებს და მათი გამოსახვისას ხაზს უსვამს მათ ადამიანურობას, სიკეთეს, სიცოცხლის ხალის. ნაჯაფოვის „მენავთობის“ – ტანადი, ძლიერი ბაქოელი მუშის – პოზაში შინაგანი ძალა და დაძაბულობა იგრძნობა. მნახველს განსაკუთრებით იზიდავს გულწრფელი სიყვარული სიცოცხლისადმი, რომელ-საკუთრებული მენავთობის სახე ასხიერებს.

ფ.ნაჯაფოვის მიერ 1979-1989 წლების განმავლობაში შექმნილ ნაწარმოებებში სხვადასხვა ფორმით ვლინდება ფარული ტრაგიკული არსი, ემოციური აფეთქება. მსატვრის შემდგომი მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეტაპად იქცა ხალხის ერთსულოვნებისა და ერთიანობის მოტივები. ეს ყველაფერი მკაფიოდ იგრძნობა ისეთ ნაწარმოებებში, როგორებიცაა: მასშტაბური სერია „ძველი ბაქოს მოტივები“, კომპოზიცია „გასული საუკუნის ექო“, რომლებიც გვაოგნებს თავისი ლაკონიზმითა და ტრაგიკული ჟღერადობის ძალით. მონოგრაფური, დაძული ადამიანების ფიგურები თითქოს კუბური ფორმის მოცულობაშია მოთავსებული. მუხლებზე დაჩრქილი ხალხის პირქუში მზერა დუმილის ალთქმის დადგებას გვამცნობს.

ଭାଷା ମେଳିତିକାଳ



ფაზილ იმამვერდი ნაცეფოვ (Fazil İmamverdi oğlu Nəcəfov)

ՀԵՂՋՐԵՑԻ ՎՐԱՆՈԼՈՂԻԱ

ცხოვრების წლები	16.02.1935
დაბადების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
განათლება	ბაქოს ა. აზიმზადეს სახელობის სამხატვრო სკოლა (1950-1955), მოსკოვის ვ. ი. სურიკოვის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო ინსტიტუტი (1955-1961)
წოდებები და ჯილდოები	სახალხო მხატვარი (2002)
სტილი და ტექნიკა	სკულპტურა, გრაფიკა
ქმნილებების თემები	პორტრეტი
ცნობილი ნაწარმოებები	„ქალიშვილი“ (1961), „რაიას პორტრეტი“ (1961), „ორნი“ (1973), „პრმები“ (1979), „დილა“ (1982), „მძინარე მოხუცი“ (1985), „ქალი, რომელიც ლოცულობს“ (1985), „სიცოცხლის ფოტოების ფორმულა“ (1988), „ათასი წლის კავში“ (1994) და სხვ.

სკულპტორის მონუმენტურ ნაწარმოებებში მთლიანობა, მოცულობის შეკუმშულობა, პლასტიკურობა და აზრის თავისუფლებაა ხორციელდება მოქანდაკის ოსტატობასთან ერთად, ფ. ნაჯაფოვი მხატვრის ფუნჯსაც შესანიშნავად ფლობს. მისი შემოქმედების ეს მნიშვნელოვანი ასპექტი მეტად გამომსახულ ნახატებსა და პლასტიკურ ხაზებშია რეალიზებული.

ნახატი სახვითი ხელოვნების საფუძველია, ფაზილ ნაჯაფოვის გრაფიკული ნაწარმოები მისი მრავალნაირი შემოქმედებითი ძიების შედეგია.

ადამიანის პორტრეტის შექმნისას მხატვარს ძირითადი აქცენტი გარეგნულ მსგავსებაზე გადააქვს, თუმცა ამავე დროს იგი თითოეული პიროვნების ინდი-ვიდუალური ხასიათის გახსნას ცდილობს.



„სიცოცხლის სართუ-
ლები“. 1988. თიბერი



„ფრაგმენტი ნა-
ნარმოებ „დროის თამაშები-
დან“. თიბერი



„სამი ბრძენი“. 2000. თიბერი

სხვადასხვა მასალაზე – ქვაზე, მარმარილოზე, თითბერზე, გრანიტზე – მუშაობისას მხატვარი ყოველ-თვის ცდილობს, მაქსიმალურად გამოყენოს მათი გამოშსახველობითი შესაძლებლობები. მხატვრული სახეების ხასიათი იცვლება იმ მასალის ზომის, ფაქტურისა და ფერის მიხედვით, რომლისგანაცაა შექმნილი.



ფ. ნაჯაფოვის გრაფიკული ნახატები

იცით თუ არა?

უკანასკნელ წლებში ფაზალ ნაჯაფოვმა თავი სრულად მიუძღვნა უმსხვილეს პროექტზე – XX საუკუნის უდიდესი კომპოზიტორის, ყარა ყარაევის მემორიალზე – მუშაობას. მემორიალის კომპოზიციის საფუძველს წითელი გრანიტის უზარმაზარი ლოდი ქმნის. მისი წინა ნაწილი როიალის ახდილი თავ-სახურია. მის ფონზე პორტრეტია – ქვისგან გამოკვეთილი კომპოზიტორის ფრთაშესხმული (როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გაგებით) ფიგურა.

კომპოზიტორ ყარა ყარაევის
მემორიალი. 2014. მარმარილო,
გრანიტი. ბაქო. 28 მაისის ქუჩა



ცხოველთა სამყაროზე დაკვირვების შედეგად მხატვარი კარგ ანიმალისტადაც ჩამოყალიბდა.

„ბუ“. 1970-იანი წლები. მარმარილო

„კატა“. 2010. თითბერი



ეს საინტერესოა

ფ. ნაჯაფოვის ქანდაკებათა ერთ-ერთ ბოლო სერიას „დროის თა-მაშები“ ჰქონდა. ეს არის ვრცელი ფილოსოფიური პროგრამა, რომელიც პლასტიკური სიმბოლოების, პორტრეტებისა და აფორიზმებისაგან შედგება. ამ სერიის ერთი ნაწარმოები ნარმოადგენს ნილაბ-მუზარადს, რომელიც უძველეს საომარ ეტლშია მოთავსებული. აქ არ არის რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე მინიშნება: ადამიანები ყოველთვის ისწრაფოდნენ ძალაუფლებისა და სიმძიდრის მოხვეჭისაკენ და ამის მიღწევას ომების, სისხლისღვრისა და სხვათა სიცოცხლის ხარჯზე ცდილობდნენ. ისტორიას ბევრი დესპოტის სახელი შემორჩა და ამ მუზარადის ცარიელი თვალბუდები ზოგიერთ მათგანს – ფარაონ რამზეს II-ს, ალექსანდრე მაკედონელს, ნერონს... – განასახიერებს.



„დროის თამაშები“. 2008. თითბერი

დაფიქრდით და ახსენით

როგორ გამოიხატება ფილოსოფიური შეხედულებები ფ. ნაჯაფოვის ნაწარმოებებში?

ინდივიდუალური სტილის მქონე მოწიფული ოსტატის, უნიკალური სკულ-პტიურებისა და ორიგინალური ნახატების შემქმნელის, შემოქმედებითი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ის ჯეროვნად დააფასა როგორც ხალხმა, ისე სახელმწიფომ.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: პლასტილინი ან თიხა, მუყაო.

განსაზღვრეთ

1. აღნერეთ თემატიკის, მასალებისა და შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით ფ. ნაჯაფოვის ის სკულპტურები, რომლებიც სახელმძღვანელოშია ნარმოდებილი. **შემოქმედებითი საქმიანობა**
2. გამოქვერეთ ადამიანის ფიგურა. შეეცადეთ, გადმოსცეთ მისთვის დამახასიათებელი ემოციები – მწერალება, ნაღველი, ტკივილი, სიხარული, გაოცება და სხვ.
3. შეაგროვეთ დამატებითი ინფორმაცია ფ. ნაჯაფოვის შემოქმედების შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ თქვენი აზრით, რომელ თანამედროვე სტილს მიეკუთვნება ფ. ნაჯაფოვის შემოქმედება?

დიალოგი ხელოვნებაზე

რა გამომსახულებითი საშუალებები გააჩნია გრაფიკასა და ფერწერას? რის-თვის იყენებენ მათ მხატვრები თავიანთ ნაწარმოებებში?

გაიხსენეთ

რა ჰქვია იმ გამოსახულებებს, რომლებიც წიგნებში ტექსტების განსამარტავად გამოიყენება?

გაეცაით

ცონბილი გრაფიკოსი, აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი, ყოველთვის შემოქმედებითი ძიების პროცესში მყოფი ხელოვანი არიფ ჰუსეინოვი ეროვნული ფოლკლორის მიმდევარია. მისი ნაწარმოებები, რომლებიც არაერთგზის წარმოდგენილა მსოფლიოს სხვადასხვა მასშტაბის გამოფენებზე, ხელოვნების სამყაროში ამ მხატვრის სათანადო ადგილზე მეტყველებს.

მის ნაწარმოებებში მკაფიოდ იგრძნობა ერის სულიერი მემკვიდრეობის, მისი ტრადიციების თაყვანისცემა. მყვეთრად გამოხატულ უძველესი აღმოსავლური მინიატურის მოტივებთან ერთად, მხატვარი ნათლად გადმოსცემს სამოქალაქო ტკივილსა და თანამედროვეობის სწრაფვას.

სახვითი ხელოვნების გალერეა



„აზერბაიჯანული მუსამი“. 2010



„პრონეულის ყვავილები“. 2014

გრაფიკის მხატვრული და ტექნიკური შესაძლებლობების პრნყინვალედ ათვისების შემდეგ ა. ჰუსეინოვი ქმნის არა მხოლოდ თავიანთი ორიგინალურობით მიმზიდველ, არამედ ღრმა ფილოსოფიური აზრით სავსე ნაწარმოებებს.

შავ-თეთრი შტრიხებისთვის ცოტაოდენი ფერის მინიჭებით იგი ცდილობს, გააძლიეროს მხატვრულ-ფიქტურობიური ზემოქმედება, ეძიებს უფრო თვალ-საჩინო გამოშესახველობით საშუალებებს. არიფ ჰუსეინოვი შესანიშნავად ერ-კვევა ლიტერატურაში და ხშირად მიმართავს სიტყვის დიდოსტატთა მემკვიდ-რეობას. მისი ნაწარმოებები, რომლებიც ნიზამი განჯელის, ფიზულის, საბირის, ჯავიდის, სამედ ვურგუნის, რასულ რზისა და სხვათა შემოქმედებასთანაა და-კავშირებული, დაზგური გრაფიკის¹ ბრწყინვალე ნიმუშებია.

დიდი მხატვრები



ARİF


არიფ ჰაჟბაზ რდლუ ჰუსეინოვი (Arif Sahbaz oğlu Hüseynov)

ცხოვრების ქრონოლოგია


ცხოვრების წლები	30.10.1943
დაბადების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
განათლება	ა. აზიმზადეს სახელობის სახელმწიფო სამხატვრო სკოლა (1960-1962), აზერბაიჯანის სახელმწიფო სამხატვრო ინსტიტუტი (1965-1972)
წოდებები და ჯილდოები	აზერბაიჯანის დამსახურებული მხატვარი (1992), პრემია „ჰუსეინი“ (1995), აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი (2006), აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის საპატიო სტიპენდია (2008)
სტილი და ტექნიკა	ფერწერა, დაზგური და წიგნის გრაფიკა, მინიატურა
ქმნილებების თემები	ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, სოუჟეტური ნაწარმოებები
ცნობილი ნაწარმოებები	„ცეროდენა“ სერიიდან „აზერბაიჯანული ზღაპრები“ (2006), „თაფუდიგის ზღაპრები“ სერიიდან „აზერბაიჯანული ზღაპრები“ (2008), „პრონეულის დღესასწაული“ (2005), „ნარდის თამაში“ (2008), „ჰოპჰოპნამე“ (2012) და სხვ.

არიფ ჰუსეინოვის გრაფიკულ და ფერწერულ ნაწარმოებებში აზერბაიჯანული ფოლკლორის პრიზმაში ცხადად, სინტერესოდ, იუმორითა და ფანტაზითათა გარდატეხილი ხალხის ცხვრება, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. ჩვენი ზღაპრების საგანძურო ყველას გვიყვარს და ბავშვობიდან ვიცნობთ მას. ჯადოსნური სამყარო, რომელიც გაცოცხლებული საგნებით, მოლაპარაკე ცხოველებითა და ფრინველებით, მოჯადოებული გმირებითა დასახლებული, ერთნაირად ატყვევებს როგორც ბავშვის, ისე უფროსის ნარმოსახვას. მრატყრის ფანტაზიამ გაამდიდრა ჯადოქრების, დევების, ეშმაკი ვეზირების, სასტიკი მმართველებისა და მშვენიერი გმირების მხატვრული სახეები. ზღაპრები მხატვრული სახეებისა და იდეების დაუშრობელი წყაროა არა მარტო მხატვართა ილუსტრაციებში, არა-მედ ფერწერაში, გრაფიკაში, კინემატოგრაფია და ხელოვნების სხვა დაწესებში.

¹ დაზგური გრაფიკა – სახვითი ხელოვნების გრაფიკული დარგის სახეობა, რომლის ნაწარმოებები მოპერტზე ტუშის, შავი გუამის, ფანქრის, ნახირის გამოყენებით იქმნება.



„დიალოგი“. 2010. ქალალდი, ციფრული ბეჭდვა



„ჰოპერპინამე“ – „დანგრეულ შირვანში მცხოვრები...“. 2012



რასულ რზა. „სანამ ჯერ კიდევ დროა“ – II. 2013. ქალალდი, ციფრული ბეჭდვა

მხატვრის ნამუშევრებში ფოლკლორის მდიდარი კოლორიტი, მთელი თავისი მრავალფეროვანი დეტალებითაა არეკლილი. არიფ ჰუსეინოვს ზღაპრების განსახიერების საკუთარი ინდივიდუალური სტილი აქვს: ნახატები ერთიანად შეკრებილი ნატიფი ორნამენტების – წერტილ-მარგალიტების, ხვეულებისა და სხვა გრაფიკული ელემენტებისგან შედგება.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, არიფ ჰუსეინოვის ნამუშევრები არაერთგზის გამოფენილა ბაქეთა და მსოფლიოს ცნობილ საგამოფენო სალონებში. მოსკოვში, პრაღაში, ტოკიოში, ანკარაში, იზმირში წარმოდგენილი სურათების გამო მხატვარი მრავალრიცხოვანი პრემიებითა და დიპლომებითაა დაჯილდოებული.



„აშული“. 2008



სერია „ნოვრუზიდან“ – „ჯამბაზები“. 2008

დღესდღეობით არიფ ჰუსეინოვის სურათები აზერბაიჯანის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, აზერბაიჯანის ეროვნულ სურათების გალერეაში, მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხების სახელმწიფო მუზეუმში, ასევე კერძო კოლექციებში ინახება.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ფლომასტერები, პასტელის ცარცები, ფერადი კალმები, გუაში.


განსაზღვრეთ

1. აღწერეთ სტილის განსხვავება ა. ჰუსეინოვის დაზგური გრაფიკისა და ფერწერულ ნამუშევრებში.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. ა) დახატეთ თქვენთვის ნაცნობი და საყვარელი აზერბაიჯანული ზღაპრების ილუსტრაციები. შეეცადეთ, ნახატში აჩვენოთ ფერთა გამის გადაწყვეტა და სტილის პირობითი დეკორატიულობა.

ბ) დახატეთ გრაფიკული ილუსტრაცია ნებისმიერი მოთხოვნის ან დასტანისთვის, რომელიც წაკითხეთ და მოგეწონათ. გამომსახველობით ელემენტებს ქვემოთ მოყვანილი მაგალითებით გაეცანით.



3. მოამზადეთ პრეზენტაცია ა. ჰუსეინოვისა და მისი შემოქმედების შესახებ.

შეამონეთ თქვენი თავი

- ✓ რა სიახლეები შეიტანა ა. ჰუსეინოვმა თანამედროვე სახვით ხელოვნებაში?
- ✓ კიდევ რომელ მხატვარ-ილუსტრატორებს იცნობთ?

დიალოგი ხელოვნებაზე

როთ განსხვავდება აბსტრაქტული ხელოვნება რეალისტური ნაწარმოებებისგან?

გაიხსენეთ

რა ელემენტებს იყენებდნენ მხატვრები აბსტრაქტული პეიზაჟების გამოსახვისას?

გაუცანით

ფარხად ხალილოვი იმ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც, მთელი საბჭოთა ფერწერის კონტექსტში, განსაკუთრებული ადგილი უკავიათ აზერბაიჯანის ეროვნულ ხელოვნებაში. ფუნჯის სხვა ოსტატებისგან მას სამყაროს თავისებური აღქმა, მოვლენების საკუთარი ხედვა და საკუთარი გამომსახველობითი სისტემა გამოარჩევს. ხალილოვი ხატვის უჩვეულო და ძალიან ლამაზი მანერით არის ცნობილი. მისი ნაწარმოებები თავისებურად უნიკალური და უჩვეულოა.

მრავალნაიანი ძიების შემდეგ ხალილოვმა საკუთარი განუმეორებელი მხატვრული სტილი შექმნა. ეს, უპირველეს ყოვლისა, პირობით-ფილოსოფიური, ფერწერულ-პლასტიკური ფორმებია. ოსტატი თამამი და მკეთრი განზოგადების გზით მიდის: მთა მის ნახატებში ზოგადად მთა არის; მშენებლობა – მისგან აღძრული შთაბეჭდილებაა, მხატვრული სახეა. მხატვარმა ისწავლა საგნების გარეგნული ფორმის რაღაცნაირ ზოგად, ძლიერ გრძნობასთან დაკავშირება, ხოლო სიმბოლიკამ მის შემოქმედებაში გონივრულ ბუნებრივ ფორმებში პოვა ასახვა.

მხატვრის აფშერონის პეიზაჟებში მისი მშობლიური ადგილებია აღბეჭდილი. აფშერონის მოტივებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ფარხად ხალილოვის შემოქმედებაში. პლაჟების, ბაღებისა და ისეთი სოფლების პეიზაჟები, როგორებიცაა, ნარდარანი, ბუზოვნა, მაშთალა, მშობლიური მიწის სიყვარულითაა გამსჭვალული.

სახვითი ხელოვნების გალერეა

„გორადილში“. 1966



„აყვავებული ნუში“. 1976

აფშერონის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში მხატვარი სიცოცხლის ყოველგვარი გამოვლინებით ტკბება და მას ფერისა და სივრცის, რიტმისა და მოძრაობის თანამედროვე განზოგადებული გაგების კუთხით წარმოადგენს. მის მიერ შერჩეული ფერები, ჩვეულებრივ, მაძლარი, მძიმე და ლაკონიურია. გამოსახულება მეტნილად ფრონტალურად და სიღრმეშია განვითარებული. ხალილოვი თავს არიდებს ხელოვნურ დეტალებს, რაც მის მხატვრულ სახეებს დამაჯერებელ სისავსეს ანიჭებს.

მხატვრის სამყაროს ფერწერულ-პლასტიკურ კონცეფციას ორი თავისებურება გამოარჩევს: გამოხატვის თავისუფლება და პოეტური სიმბოლიკა. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ფერს აქვს: ზღვა მწვანეა, ცა – ლურჯი, ბრონეული – წითელი ან მურა. მხატვრის ოსტატობის წყალობით, ფერი ნატურის კოპირებას კი არ ახდენს, არამედ ფსიქოლოგიზმს, სიღრმეს, მხატვრულობას იძენს. ეს მხატვრული სახეა, რომლის ბუნებრივი ფერები მხატვრის გულის გავლით ტრანსფორმირდება. სურათების დიდი ზომები ნაკარნახებია მისი სწრაფვით, შექმნას აფშერონისა და სხვა ადგილების ერთგვარი მრავალნაწილიანი ხატოვანი პანორამა. თავის საყვარელ პეიზაჟის უანრში მხატვარი რაღაც მარადიულს, მყარს, ურყევს ეძიებს და პოვებს.

დიდი მხატვრები



**۱۹۰۷ შაჰაზ ۱۹۸۶ ჰუსეინզادი
(Fərhad Qurban oğlu Xəlilov)**

ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	26.11.1946
დაბადების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
განათლება	აზერბაიჯანის ა. აზიმზადეს სახელობის სახელმწიფო სამხატვრო სკოლა (1961-1966), მოსკოვის ს.გ. სტროგანოვის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო-სამრეწველო აკადემია (1966), მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტი (1969-1975)
წოდებები და ჯილდოები	„დიდების“ ორდენი (2006), სახალხო მხატვარი (2002)
სტილი და ტექნიკა	აბსტრაქციონიზმი; ფერწერა
ქმნილებების თემები	პეიზაჟი, პორტრეტი
ცნობილი ნაწარმოებები	„შესვედრა“ (1983-2007), „მოგონებები“ (2003-2006), „დედამიწის მოხატულობა“ (1999-2006), „1984 წლის გაზაფხული“ (1984), „სალამოები“ (1984) და სხვ.

ფ. ხალილოვმა მსოფლიო და სამატულო ხელოვნების ტრადიციების ახლებურად გააზრება და ტილოზე ყოველივე იმის ასახვა შეძლო, რაც ნახა, გაიგო და შეიყვარა აზერბაიჯანსა და ჩვენი პლანეტის სხვა კუთხეებში მოგზაურობის დროს. მხატვარმა საკუთარ ხელნერას, საკუთარ სტილს, მანერას მიაგნო.

ფარხად ხალილოვის მთელი შემოქმედება ფერწერული პრინციპების ერთანი, თანამიმდევრული განვითარებაა, 1970-იანი წლებიდან მოყოლებული, დღემდე, თუმცა პირობითად მისი რამდენიმე პერიოდად დაყოფა შეგვიძლია.

პირველი პერიოდი – მშობლიურ ლანდშაფტთან დაკავშირებული, მაგრამ ევროპული ავანგარდის ტრადიციების გავლენით შექმნილი ფერწერა;

მეორე პერიოდი – მხატვრის საბოლოო ზიარება კულტურულ ინტერნაციონალთან საკუთარ საწყის მსოფლალქმაზე დაყრდნობით.

ფარხად ხალილოვის შემოქმედების საფუძველია პეიზაჟი, რომლითაც მან ტრიუმფით დაიმკვიდრა ადგილი საბჭოთა ხელოვნებაში. ზღვა, მიწა, ცა მხატვრის შემოქმედებაში აღმატებულ კატეგორიებშია წარმოდგენილი. ესაა მსოფლიო, რომელშიც ადამიანის ყოფა ურლვევადაა დაკავშირებული ბუნებასთან. ბუნება მის შემოქმედებაში მხატვრის გამორჩეული პოეტური გრძნობითაა გასულიერებული და ყოელდლიური ყოფისთვის მიუწვდომელ იდუმალებას ინარჩუნებს.

ბოლო ათწლეულის აბსტრაქტული ნამუშევრებით ოსტატი არა მარტო ორგანულად ეწერება თანამედროვე ხელოვნების მსოფლიო ფერხულში, არამედ კვლავინდებურად ინარჩუნებს საკუთარი ტალანტის თვითმყოფადობას.



„შერკვადრა 2“. 2003



„სინათლე“. 2004

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ფერადი ფანქრები, პასტელის ცარცები, გუაში.

განსაზღვრეთ

1. განმარტეთ, რომელ ძირითად თემებს ეძღვნება ფ. ხალილოვის ნაწარმოებები.

შემოქმედებითი საქმიანობა

- დახატეთ რიგინალური სურათი თემაზე „აფშერონის მოტივები“. ეს შეიძლება იყოს პეიზაჟი, წელინადის დროთა ცვლა, ნატურმორტი ხილით ან სიუჟეტური ნაწარმოები, რომელშიც ეროვნული ტრადიციები აისახება.
- შეაგროვეთ ინფორმაცია ფ. ხალილოვის შემოქმედების შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.

შეამოწმეთ თქვენი თავი

✓ რა ძირითადი ნიშნები ახასიათებს ფ. ხალილოვის შემოქმედებას?

დიალოგი ხელოვნებაზე

შეუძლია თუ არა მხატვარს თავის ნაწარმოებში რამდენიმე სტილის გაერთიანება? მოიყვანეთ მაგალითები.

გაიხსენეთ

რა თემას ანიჭებდნენ, ჩვეულებრივ, უპირატესობას იმპრესიონისტი მხატვრები?

გაეცანით

საკიტ მამედოვი თანამედროვეობის ერთ-ერთი უნიჭიერეს მხატვართაგნია, რომელსაც განუზომელი წვლილი მიუძღვის მთელ მსოფლიოში აზერბაიჯანული ხელოვნების პროპაგანდის საქმეში.

მან ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში გადაწყვიტა, მხატვარი გამხდარიყო, და სიჭაბუკეს წლებიდანვე ცდილობდა, საკუთარი ხელწერა, სტილი ეპოვა. მისი სტუდენტური ნამუშევრები არაერთხელ ნარმოდგენილა გამოფენებზე და ყოველთვის დიდი წარმატება ხვდებოდა წილად. საკიტ მამედოვი დაუოკებელი ენერგიით მუშაობდა და დეტალურად სწავლობდა ფერწერის ყველა ნიუანსს: ფერს, ტონს, ფორმას, სტილებსა და მიმდინარეობებს. მისმა შემოქმედებამ თანდათანობით შეიძინა თავისი ხელწერა, რომელიც კაშკაშა კოლორიტითა და უზადო კომპოზიციით გამოირჩევა. ეს არის ფერმწერი, რომელიც სამყაროს მთელი თავისი ამოუწურავი ფერადოვნებითა და მრავალფეროვნებით აღიქვამს.

მხატვრის ტალანტის ჩამოყალიბებაზე სხვადასხვა ეპოქის ოსტატებმა მოახდინეს გავლენა. საკიტ მამედოვმა აზერბაიჯანულ ფერწერაში ულრმესი ფილო-სოფიური აზრი და აღმოსავლეთის მდიდრული, ძარღვიანი ფერები მოიტანა. მხატვრის ნაწარმოებების წარმატება იმანაც განაპირობა, რომ მან თანამედროვე და კლასიკური სტილების შერწყმა შეიძლო.

მხატვრის ყოველი ნაწარმოები იდუმალებითა და გრძნობიერებით გამოირჩევა. საკიტ მამედოვის ტალანტი განსაკუთრებით პორტრეტის ჟანრში გამოიკვეთა. მის პორტრეტებზე ადამიანთა სახეები თითქოს დროის მდინარეებიდანაა ამოგლევილი და მარადიულობას ეკუთვნის.

სახვითი ხელოვნების გალერეა



„მსახიობი ქალი“. 1996



„ნარგიზი“. 1997



„გაბუტული ანგელოზი“. 1998

ოსტატი ღრმად სწვდება ადამიანის სულის არსას, რაც მისი ტალანტის გამორჩეული თავისებურებაა. მხატვრის შემოქმედების ცენტრალური ხაზია ქალის პორტრეტი. ს. მამედოვმა ტილოზე უამრავი ქალის სახე გააცოცხლა და ამ პორტრეტებში მათი დახვეწილობა, უბინობა, კეთილშობილური ღირსება და სულიერი სილამაზე გადმოსცა.

თანდაყოლილი გემოვნება და ზომიერების გრძნობა მხატვარს ბანალურობის ზღვარის გადალახვის საშუალებას არ აძლევს და მისი ყოველი პეიზაჟი, უპირველეს ყოვლისა, ბუნების დიდებულებით აღძრული განწყობაა. მხატვრის პალიტრაში ჭარბობს თბილი ოხრა, მაძლარი ცისფერი ტონები, ზეთისხილისებრი მწვანე და შოკოლადისფერი. სივრცისა და ჰაეროვანი პერსპექტივის თავისულად ფლობა და ფერის გამძაფრებული შეგრძნება მის სურათებს სიღრმესა და განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს, რაც მნახველში გარემომცველი სამყაროს იდუმალი მომხიბვლელობის შთაბეჭდდილებას ბადებს.

დილი მხატვრები



Sakit

საკით გულა მოღა მახვილოვი
(Sakit Qulam oğlu Məmmədov)

ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	05.08.1958
დაბადების ადგილი	ნეფთჩალა, აზერბაიჯანი
განათლება	აზერბაიჯანის ა. აზიმზადეს სახელობის სახელმწიფო სამხატვრო სკოლა (1974-1978), ლენინგრადის ი. რეპინის სახელობის სამხატვრო აკადემია (1982-1987)
წოდებები და ჯილდოები	აზერბაიჯანის დამსახურებული მხატვარი; ორდენი „მამულიშვილი“; რუსეთის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი; იმპერატორ ალექსანდრე I-ის ორდენი; ლეონარდო და ვინჩის, მოცარტის, მსოფლიო სამხატვრო აკადემიის მედლები, ორდენი „ევროპის ლირსება“, იტალიის ოქროს მედალი, მეგობრობის ორდენი, რუსეთის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის მედალი
სტილი და ტექნიკა	ფერწერა
ქმნილებების თემები	პორტრეტი, სიუჟეტური ნაწარმოებები, პეიზაჟი
ცნობილი ნაწარმოებები	„ქალიშვილის პორტრეტი“, „ნუშაბა“, „იტალიელი ქალი“, „გოგონა სარკის წინ“, „და, იცოცხლოს სტამბოლმა“, „დალლილი ქალაქი“, „დაბადების დღე“, „ნაზი მუსიკა“. „სირიელი მხატვარი“, „ფილოსოფოსი“, „მელოდია“, „ადამი და ევა“, „მძინარე ანგელოზი“, „თურქული მოტივი“, „ლენინგრადული მოგონებები“, „მეგობრები“, „დედე გორგული“, „სიყვარული“, „საზემო საღამოები“, „არზუ“, „შაჰი ისმაილ ხატაი“, „განჯის სიმფონია“ და სხვ.



საიტი საკითხ მამედოვის შემოქმედების შესახებ:
<http://sakitmammedov.com/>

დაფიქტურით და ახსენით

რით განსხვავდება ს. მამედოვის ნამუშევრები იმპრესიონისტი მხატვრების სტილისაგან?

საკითხ მამედოვი ოპალიზმის სკოლის ფუძემდებელია. ეს მიმდინარეობა პირველად აზერბაიჯანში წარმოიშვა. ოპალიზმი სურათების ხატვის სტილია. ოპალი მინერალია, რომელიც ფართოდ გამოიყენება საიუველირო საქმეში. ოპალების ფერთა თამაში და ქვების ლაპლაპი, საკითხ მამედოვის სურათების მსგავსად, ერთმანეთს არ ჰგავს.

მაძლარი ფერები – წითელი, კაშაშა ლურჯი, ცისფერი, ყვითელი – მხატვრის ტილოებზე ხიბლავს მისი ხელოვნების მოყვარულებს. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ფერები თითქოს არეულია ერთმანეთში და ყველა ერთდროულად კიაფობს.

საკითხ მამედოვი სხვადასხვა უანრში ერთნაირი წარმატებით მოღვაწეობს. მხატვრის სურათების ძირითადი ნაწილი მის საკუთარ გალერეაში ინახება, თუმცა მისი ტილოები რუსეთის, დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის მრავალ მუზეუმშა და კერძო კოლექციას ამშვენებს. მხატვარი ცოცხლობს, რათა შექმნას და აჩუქოს ადამიანებს კოლოსალური პოზიტიური მუსტით სავსე ნაწარმოებები.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: პასტელის ცარცუები, გუაში.

განსაზღვრეთ

1. როგორია კომპოზიცია, კოლორიტი და შინაარსი ს. მამედოვის ნაწარმოებებში?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატეთ ცნობილი ადამიანის ან მეგობრის პორტრეტი.

ოსტატის რჩევები


სანამ აკვარელით პორტრეტის დახატვას შეუდგებოდეთ, აუცილებელია წინასწარ სახის ესკიზის მოხაზვა. წარმოდგენილ მონახაზებში ეტაპობრივადაა ნაჩვენები პორტრეტის დახატვისას აკვარელის საღებავების გამოყენების ტექნიკა.




1



2



3



4



5



6

3. შეაგროვეთ დამატებითი ინფორმაცია ს. მამედოვის შემოქმედების შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.

შეამოწმეთ თქვენი თავი


✓ რაში მდგომარეობს ს. მამედოვის შემოქმედების თავისებურება?

შემაჯამარხოლი დავალებები

შეამოწმეთ თქვენი თავი



მიქაელ
უსეინოვი



მირზავაძე
მირზავაძოვი



ოთარ
ელიაშვილი



ბაქოს მუსიკალური აკადემია. 1937-1939

ქანდაკება „თავისუფალი ქალი“. 1960. თითბერი



„ვახტის შემდეგ“. 1957

1. გაიხსენეთ მხატვართა შემოქმედება და დაასახელეთ მოცემული ნაწარმოებების ავტორები.



ტაირ სალახოვი




ფაზილ
ნაჯაფოვი



სერია „საუკუნეთა ჰიმნიდან“. 1986




„ბედნიერება“. კომპოზიცია.
1956. თითბერი



„სიცოცხლის სართულები“.
1988. თითბერი

- 2.** ხელოვნების რომელ მიმართულებასა და მიმდინარეობას მიეკუთვნება ამ მსატვრების ნაწარმოებები?



არიზ
ჰუსეინოვი



ფარხად
ხალილოვი



საკიტ
მამედოვი



„გომრადილში“. 1966



„გაძუცული აღელოში“. 1998

სერია „ნოვრუზი – ჯამბაზები“. 2008

- დაასახელეთ სახვითი ხელოვნების დარგები და უანრები, რომლებშიც ამ სურათების ავტორები მოღვაწეობდნენ.


3

მსატვართა ძმილებანი ჩვენ ირგვლივ

ჩვენ გვარობს კინოს ფანტაზია, გვნუსხავს სცენის მაგია,
გვახალისებს მულტფილმები, გვიზიდავს ფოტოსურათები.
ეკრანზე ნანახით ან ფოტოსურათის ფერადოვნებით გატაცე-
ბულებს, ხშირად აზრადაც არ მოგვდის, რომ ეს ყველაფერი
სათავეს სახვითი ხელოვნებიდან იღებს და გამოსახულების,
ხილვადი ხატის ენაზე მეტყველებს.



დიალოგი ხელოვნებაზე



ყველაფერი, რასაც სურათზე ვხედავთ, მხატვრის ხელითაა შექმნილი. მაგრამ ყოველთვის ვიცით თუ არა, ვინ არის სპექტაკლის მხატვრული გაფორმების ავტორი, ან საერთოდ, რაში მდგომარეობს მისი როლი თეტრში?



ყარა ყარაევი. ფრაგმენტი ბალეტ „შვიდი მზეთუნახავიდან“. სცენაზე აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის აკადემიური ოუატრის საბალეტო დანი მეპრიბან ეფუძნდი. „დამის საიდუმლოებანი“. 2013

გაიხსენეთ

რომელი აზერბაიჯანელი მხატვარი ქმნიდა დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზებს თეატრისთვის?

გაეცანით

თანამედროვე სახვითი ხელოვნება მრავალწახნაგოვანი და მრავალსახოვანია. გამოისახვის ტრადიციული ფორმების – ნახატის, ფერწერის, სკულპტურის – გვერდით, ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ, მხატვრული შემოქმედების ახალი ფორმები წარმოიშვა. ესენია: ფოტოგრაფია, კინო, ვიდეო. მათმა წარმოშობამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა და გააფართოვა მხატვრის შემოქმედებითი შესაძლებლობები, რადგან საშუალება მისცა მას, უფრო სრულად გამოავლინოს არა მარტო საკუთარი ნიჭი, არამედ შემოქმედებითი ჩანაფიქრი და სამყაროს თავისებური ხედვა. მხატვარი ხომ არა მარტო ის არ არის, ვინც ხატავს, არამედ ისიც, ვინც რეალობას ხედავს და თავისებურად აღიქვამს.

მხატვარი და სცენა. თეატრალური მხატვრის მოღვაწეობა ფერმწერის ან გრაფიკის შემოქმედებას არ ჰგავს. მათგან განსხვავებით, მას საქმე ტილოს ან ქაღალდის სიბრტყესთან კი არა, სცენის სივრცესთან აქვს, რომელშიც სპექტაკლის სამყარო უნდა შექმნას. ეს მხატვრული შემოქმედების განსაკუთრებულ სახეა, რო-

მელსაც თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება, ანუ სცენოგრაფია¹, ეწოდება. რეალური სამყაროს ხატების თეატრალური საშუალებებით შექმნა მხატვარ-სცენოგრაფის ძირითადი ამოცანაა. მისი სპეციალური შემოქმედება დიაზინის, არქიტექტურის, ფერწერის, ტექნოლოგიისა და, რაც მთავარია, კომპოზიციის ცოდნას მოითხოვს. თეატრის მხატვარს უამრავი თეორიული და პროფესიული ამოცანის გადაწყვეტა უხდება, კერძოდ: კოსტიუმების შექმნა, გრიმის შერჩევა, სცენაზე სპექ-



თეატრალური სცენის სხვადასხვა სტილის გაფორმება


ტაკლის მოქმედების ადგილის (დეკორაციის) მოწყობა, სინათლის დაყენება (საგნებისა და პერსონაჟების განათება). მხატვარ-ფერმწერისგან განსხვავებით, რომელიც თვითონ ირჩევს იმ კანონებს, რის მიხედვითაც ნაწარმოებს ქმნის, სცენოგრაფი თეატრის, პირველ რიგში, რეალისტიკის მიერ დადგენილი წესებით მუშაობს.

სცენიურ სამყარში შეიძლება იყოს ესა თუ ის რეალური საგანი, მაგრამ ეს მას გარემომცველი სინამდვილის უსახო ორეულად არ აქცევს. სცენიური სამყარო პირობითია და ხატოვანი. თეატრში სხვადასხვა პროფილის მხატვრები მუშაობენ, კერძოდ, დამდგმელი მხატვარი, მხატვარ-ტექნოლოგი, განათების მხატვარი, კოსტიუმების მხატვარი.

ეს საინტერესოა

აზერბაიჯანულ თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებას მდიდარი ისტორია აქვს. კლასიკური ხელოვნების ეს სფერო, რომელიც თეატრსა და ხატვის ოსტატობას აერთიანებს, ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ეროვნული თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნების ფუძემდებლები ალიბეკ ჰუსეინზადე, აზიმ აზიმზადე, ბაჰრუზ კენგერლი არიან. სამამულო სცენოგრაფიის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ისეთ თეატრალურ მხატვრებს, როგორებიც იყვნენ: რუსტამ მუსტაფაევი, გაზანფარ ხალიგოვი, ნუსრატ ფატულაევი, სადიგ შარიფზადე, ბადურა ავლანლი, ისმაილ ახუნდოვი.



ტაირა სალახოვას ესკიზი კომპოზიტორ ფიკრემ ამიროვას ბალეტის „1001 ღამის“ დეკორაციისათვის

¹ სცენოგრაფია (თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება) – მხატვრული შემოქმედების სახე, რომელიც სპექტაკლის გაფორმებასა და მისი პლასტიკურ-გამომსახველობით ხატის შექმნას ემსახურება.

სცენის გაფორმების ხელოვნებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს კულტურის ცნობილმა მოღვაწეებმა: ეუბ ფატალიერებმა, მიქაელ აბდულაევმა, თორდულ ნარი-მანბეკოვმა და სხვებმა. დღეს სცენოგრაფიის სფეროში მოღვაწეობენ მხატვრები: ნაზიმ ბერიშიშვილი და ტაირ ტაიროვი.

აზერბაიჯანის პროფესიული თეატრალური ხელოვნების ჩამოყალიბების პერიოდში სცენოგრაფია თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა. მხატვრებს გაცნობიერებული ჰქონდათ სცენიური ხელოვნების სოციალური შინაარსის მნიშვნელოვნება და ცდი-ლობდნენ, სპექტაკლის გაფორმებაში ეროვნული თავისებურებები აქახათ.

მხატვარი და კრისტიური. კოსტიუმზე მხატვრის მუშაობა იწყება ესკიზით, რომელ-შიც პერსონაჟის მხატვრული დახასიათება უნდა იგულისხმებოდეს. ტანსაცმელი სპექ-ტაკლის სცენოგრაფიის სტილს უნდა შეესაბამებოდეს. თითოეული პერსონაჟის კოს-ტიუმი სპექტაკლის ყველა მონაწილის სამოსის სტილის გათვალისწინებით იქმნება.



მხატვრის მიერ მოფიქრებული კოსტიუმი მხოლოდ სცენაზე იძენს აზრს. ის, თუ როგორ უჭირავს მსახიობს თავი სცენაზე, როგორ მოძრაობს, როგორ ეხმა-რება მას ტანსაცმელი გმირის დასამახსოვრებელი მხატვრული სახის შექმნაში, სწორედ მხატვრის მუშაობის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე მეტყველებს.

მხატვარი-მსახიობი-გრიმი.

სცენაზე დეკორაციები რომ იდგეს, კაშკაშა სინათლე ენთოს, მუსიკა უკ-რავდეს, მაგრამ მსახიობი არ ჩანდეს, სპექტაკლი არ შედგება. თეატრალუ-რი ხელოვნების საფუძველი მსახიო-ბის თამაშია, სწორედ მისი წყალო-ბით ცოცხლდება პიესის ტექსტი და დეკორაციები, ხორცი ესხმება რე-ჟისორისა და მხატვრის ჩანაფიქრს.


მსახიობის პერსონაჟად გადაქცევა კი თეატრალური ხელოვნების არსია.



სცენაზე მიმდინარე მოქმედება მაყურებელზე შთაბეჭდილებას ძირითადად მსა-ხიობის წყალობით ახდენს. მსახიობის ხელოვნება მხატვრობაზე უფრო მეტად სკულ-

პტურას – პლასტიკის ხელოვნებას – ენათესავება. ხატოვნად რომ ითქვას, მსახიობი არის „ცოცხალი სკულპტურა“, რომელიც მუდმივად იცვლის თავის ფორმასა და არსს. სკულპტურის გამომსახველობას და ადამიანის სცენიურ მოძრაობას ერთი საფუძველი აქვს, ვინაიდან ისინი ერთსა და იმავე ენაზე – ადამიანის სხეულის პლასტიკის ენაზე „მეტყველებებზე“. მსახიობი, მხატვრის მსგავსად, თავისი პლასტიკის ცოცხალი და დინამიკური სკულპტურულობის მეშვეობით, სპექტაკლის ხილვად სახეს ქმნის.

უესტი – გამომსახველობის ენა სკულპტურაში და სცენაზე



ზაქირ ახმედოვი. „შვილიშვილები“

თეატრში მსახიობი თავისი გმირის ნიღაბს ეფარება. ის უფრო გარდაისახება პერსონაჟად, გამოსახავს მის ხსიათსა და საქციელს, ვიდრე მისი ცხოვრებით ცხოვრობს. მსახიობის სათამაშო ნიღბის შექმნაში დიდ როლს ასრულებს გარეგანი გამომსახველობითი საშუალებები: გრიმი და პლასტიკა, მეტყველებისა და კოსტიუმის თავისებურებები. გმირის გარეგნული ხატი მისი შინაგანი სამყაროსა და ხასიათის ანარეკლია.



მხატვარი-გრიმიორი ქმნის გრიმს, პოულობს შესაფერის პარიკს, იგონებს ვარცხნილობას, აწებებს წვერ-ულვაშს. გრიმის დადების პროცესში ის გმირის განსაზღვრულ ხატს ქმნის.



გრიმისა და გარეგნული გარდასახვის სხვა საშუალებების სინჯების შექმნა კომპიუტერის დახმარებითაც შეიძლება. ფოტოსურათზე დაყრდნობით, მხატვარს, მსახიობთან ერთად, პერსონაჟის გარეგნული სახის რამდენიმე ვარიანტის შექმნა შეუძლია. ასე აღნევს თანამედროვე ტექნოლოგიები ხელოვნებაში.

მხატვარი -მაყურებელი-აფიშა. თეატრალური ხელოვნება მაყურებლის გარეშე წარმოუდგენელია. მაგრამ როგორ იგებს მაყურებელი, რომ სპექტაკლი უნდა დაიღვა? ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, მზადდება სპექტაკლის რეკლამა, ინტერვიუ მის დამდგმელებთან და ა.შ. აი, აქ კვლავ მხატვრის, როგორც აფიშების, პროგრამების, ბუკლეტების შემქმნელი დიზაინერის, მონაწილეობაა საჭირო.

თეატრალური პლაკატისა და აფიშის შექმნის ხელოვნება გრაფიკული დიზაინის სფეროს მიეკუთვნება. მაგრამ ტრადიციულად ეს ასევე დამდგმელი მხატვრის სამუშაო სფეროცაა, რომელიც პასუხისმგებელია სპექტაკლის მთლიან მხატვრულ გადაწყვეტაზე (როგორც სცენაზე, ისე პლაკატზე). პლაკატზე ნაჩვენები სანახაობის სახე, მისი ფერადოვნება და გამომსახველობა მაყურებელს მსახიობის სახელზე ნაკლებად როდი იზიდავს.



დაფიქრდით და ახსენით

რა როლს ასრულებს თეატრი საზოგადოებაში და ჩვენს ცხოვრებაში?

იცით თუ არა?

დღეს ჩვენ ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნია ის, რომ ნებისმიერ ქალაქს ამშვენებს არქეტექტურული თვალისაზრისით გამორჩეული თეატრების შენობები, რომლებიც თავს იწონებს მაყურებლის ვრცელი დარბაზებით, ნათელი ფოიებით, ფართო სცენებით.

მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. სულ რაღაც ორიოდე საუკუნის წინ სცენას ელექტონათურებით კი არა, სანთლებით ანათებდნენ. უფრო ადრე კი სპექტაკლებს სულაც დია ცის ქვეშ დგმდნენ, დღისით. მაგრამ მაშინ სპექტაკლსაც, თეატრის შენობასაც და თეატრის მხტვარსაც სხვა მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ყველანაირ გამოსახულებას ხელოვნების ნანარმოებს ვერ დაარქმევ. ასეთად მას ფუნჯი ან ფოტოაპარატი კი არა, მხატვრის ნიჭი აქცევს. ხელოვნება მხოლოდ გამოსახულების შექმნის ნიჭი არ არის. ეს ასევე მშვინიერების დანახვის, მისი შეგრძნებისა და მისით ტკბობის ნიჭია. თეატრალური ხელოვნების გაცნობა თქვენ იმ ცოდნასა და გამოცდილებას შეგძნოთ, რომელიც საშუალებას მოგცემთ, შემოქმედებითად მიუდგეთ თქვენს საქმეს, რომელ სფეროშიც არ უნდა იმოღვაწეოთ მომავალში.

დავალება დამოუკიდებლად მუშაობისათვის

ალქურვილობა: ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცუები, ფერადი კალმები, გუაში.

განსაზღვრეთ

- შეასრულეთ კვლევითი სამუშაო (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად) თემაზე „თეატროალური ხელოვნება და მხატვარი“. შეეცადეთ, მასკვლიოთ ურთიერთკავშირს მხატვრისა და მსახიობის შემოქმედებას შორის, ასევე თეატრის როლის ცვლილებას საზოგადოებაში მისი წარმოშობიდან დღემდე.
- მთელმა კლასმა ერთად დადგით სპექტაკლი სკოლაში და მოიწვიეთ თქვენი მეგობრები. ამისათვის აუცილებელია, აირჩიოთ თემა და მის საფუძველზე დაწეროთ პროექტი „თეატრი და მხატვარი“.
ჩამოაყალიბეთ კლასში შემოქმედებითი ჯგუფები: „დამდგმელი მხატვარი“, „მხატვარი-გრიმიორი“, „კოსტიუმების მხატვარი“ და „მსახიობები“. თქვენ უკვე გაეცანით თითოეული ამ მხატვრის საქმიანობის თავისებურებებს, ასე რომ, ახლა თითოეულმა თქვენგანმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სპექტაკლის მომზადების საქმეში. აირჩიეთ რომელიმე დრამატული ნანარმოების ფრაგმენტი, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ, და შექმნით თქვენი საკუთარი სცენარი. „დამდგმელი მხატვარი“. პირველ რიგში შექმნით მოქმედების ადგილი, რისთვისაც შეგიძლიათ, გამოიყენოთ სამი-ოთხი საგანი: მაგიდა, სკამი, ტაბურეტი და ა.შ. ერთი და იმავე საგნებისგან რამდენიმე მოქმედების ადგილის – განსახორციელებელი დადგმის ესკიზისა და მაკეტის – შექმნა შეიძლება. სასკოლო სპექტაკლში გამოსაყენებელ დეკორაციული ელემენტებია: დაზგები, თეჯირები, კიბეები, ბალიშები და ა.შ. სცენის გაფორმება შეიძლება ასევე სპექტაკლის ფონით, აფიშით, პროგრამით, ბუკლეტებით და სხვ.
„მხატვარი-გრიმიორი“. მოიფიქრეთ გრიმი სპექტაკლში მონაწილე ყველა პერსონაჟის მხატვრული სახის შესაქმნელად. შეცვალეთ მსახიობის სახე სალებავების, დასაწებებლი წვერ-ულვაშის, პარიკის, ვარცხნილობისა და სხვა საშუალებების დახმარებით. გრიმის ხასიათი დამოიდებულია დაწერილი ტექსტის მხატვრულ თავისებურებებზე, მსახიობის ჩანაფიქრზე, რეჟისორის კონცეფციასა და სპექტაკლის საერთო გაფორმების სტილზე. შექმნით მომავალი სპექტაკლის პერსონაჟთა გრიმისა და ვარცხნილობის რამდენიმე ვარიანტი (ეს შეგიძლიათ, კომპიუტერის დახმარებითაც გააკეთოთ).
„კოსტიუმების მხატვარი“. სასცენო კოსტიუმის სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნით პერსონაჟთა კოსტიუმების ესკიზები. წარმატებული მუშაობის კრიტერიუმია კოსტიუმისა და სპექტაკლის სცენოგრაფიის ერთიანი სტილის მიღწევა. კოსტიუმები შეგიძლიათ, ქადალდის, ქსოვილის, ან თქვენ ხელთ არსებული სხვა მასალისგან დაამზადოთ.
- „მსახიობები“. გაეცანით სცენარსა და როლებს. შეეცადეთ, თქვენს პერსონაჟად გარდაისახოთ და ითამაშოთ თქვენი როლი სცენაზე.
- მოაწყვეთ გამოფენის ფორმის პრეზენტაცია, რომელზეც პროექტ „თეატრისა და მხატვრის“ ფარგლებში რეჟისორების, მსახიობებისა და მხატვრების მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგებს წარმოადგენთ.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- რა არის მხატვრის ძირითადი ამოცანა თეატრში?
- რით განსხვავდება სცენოგრაფია ფერწერისაგან?

დიალოგი ხელოვნებაზე

რამ განაპირობა ხელოვნებაში თანამედროვე მიმდინარეობების გაჩენა?

გაიხსენეთ

რატომ გადაიხარნენ მხატვრები რეალური გამოსახულებიდან აპსტრაქტულისკენ?

გაეცანით

საუკუნეების განმავლობაში მხატვრები გულმოდგინედ მუშაობდნენ იმაზე, რომ რაც შეიძლება ეფექტურად აესახათ გარემომცველი სინამდვილე. ამავე დროს ისინი გამოსახულების შექმნის ისეთი საშუალების პოვნას ესწრაფოდნენ, რომელიც ხანგრძლივ და მოქანცველ მუშაობას არ მოითხოვდა.



XVIII საუკუნის დასაწყისის ფერწერა

ყველა მხატვარი ცდილობდა, თავის ნამუშევარში (ტილო იქნებოდა ეს თუ ქანდაკება) უკვდავეყო წამი, ალებეჭდა მისი გარემომცველი წარმავალი ხატები. ასეთი შესაძლებლობა XIX საუკუნეში სრულად ახალი მიმართულების, ფოტოგრაფიის, წარმოშობამ შექმნა. „ფოტოგრაფია“¹ სინათლის მეშვეობით ხატვას ნიშნავს, ვინაიდან თავიდან ის ნახატის სიზუსტეს ემსახურებოდა.



XIX საუკუნის ფოტოგრაფია

ფოტოგრაფიის ისტორიის შესწავლით წარმოდგენა გვექმნება იმ ნაბიჯებზე, რომლებიც მან თავისი განვითარების გზაზე – ფერწერის მიბაძვიდან საკუთარი გამომსახულობითი ენის პოვნამდე – გაიარა.

ხელოვნების სახეებს, რომლებიც ცხოვრების კონკრეტული მოვლენების

¹ ფოტოგრაფია (ბერძ. phos – სინათლე და grapho – ვწერ) – სახვითი ხელოვნების შედარებით ახალი დარგია. ფოტოგრაფიის გამომასხველობითი საშუალებებია სინათლე, ფერი, ფორმატი, კომპოზიცია, პლანი, გადაღების რაჟურსი.



ძველი ბაქო. ქალწულის კოშკი



ქალიშვილები ეროვნულ ტანსაცმელში



ხურშიდბანუ ნათავანი თავისი შვილებით

გარეგნული, ნივთიერი სახის გადმოცემას ეფუძნება, **სახვითი ხელოვნება** ეწოდა. მას სკულპტურა, ფერწერა და გრაფიკა მიეკუთვნება. მხატვრული ფოტოგრაფია ხელოვნების წიაღში ვითარდებოდა და დღესდღეობით ისიც სახვითი ხელოვნების დარგად ითვლება.

ფერწერაც და ფოტოგრაფიაც ვიზუალური ხელოვნების ფორმებია, რომლის დანიშნულება მხატვრული სახეებისა და ვიზუალური სიმბოლოების შექმნაა. ვიზუალური ხელოვნების ცნობილ ფორმებს შორის ფოტოგრაფიას ყველაზე დიდი გავლენა აქვს ფერწერაზე. მის ზეგავლენას მხატვართა მხოლოდ მცირე ნაწილი გადაურჩა. მხატვრული სახისა და რეალობის გარეგნული მსგავსება სახვითი შემოქმედების დამახასიათებელი წიშანია. მხატვრული ფოტოგრაფია დოკუმენტურ საფუძველს ეყრდნობა – ფოტოსურათზე კონკრეტილი მოვლენაა აღბეჭდილი. ფოტოგრაფიის წყალობით დღეს შეგვიძლია, თვალი მივადევნოთ სკუთარი ქვეყნის, ქალაქის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა გავლენა, რომელსაც ფოტოგრაფია ახდენდა ფერწერაზე. ბევრი მხატვარი ტილოზე გამოსახულების პროექციის ასაგებად კამერა-ობსკურას² იყენებდა.



ასე გამოიყურებოდა კამერა-ობსკურაში მუშაობა და აპარატურა ნარსულში

² კამერა-ობსკურა (ლათ. *camera obscura* – „ბნელი ოთახი“) – უმარტივესი მოწყობილობა (ყუთი), რომელიც ობიექტის ოპტიკური გამოსახულების მიღების საშუალებას იძლევა. ხვრელში გამავალი სინათლის სხივები ეკრაზზე ობიექტის შებრუნებულ გამოსახულებას ქმნის.

და ვინჩი, ველასკესი, კარავაჯიო და ბევრი სხვა მხატვარი თავიანთ ტილოებზე მუშაობისას ლინზებს, სარკეებსა და სხვა ოპტიკურ მოწყობილობებს იყენებდნენ.

ფოტოგრაფია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა არა მარტო სახვითი ხელოვნების, არამედ, საერთოდ, მთელი სახვითი კულტურისათვის. 1859 წელს პარიზში ხელოვნების ყოველწლიურ გამოფენაზე ფოტოგრაფიას, როგორც ხელოვნების ახალ სახეობას, პირველად დაეთმო ადგილი, უკვე 1863 წელს კი საფრანგეთმა ფოტოგრაფია ოფიციალურად აღიარა ხელოვნების ახალ ფორმად.




თანამედროვე ფოტოგრამოფენა

ფოტოაპარატი ისეთივე საშუალებაა, როგორიც ფანქარი ან ფუნჯი. ერთი ფოტოც ვერ შეიქმნება ადამიანის მონაწილეობის გარეშე და რაც უფრო შემოქმედებითად მონაწილეობს იგი გადაღების პროცესში, მით უფრო ახლოა ფოტოგრაფია ხელოვნებასთან.

ფერწერასა და ფოტოგრაფიას ბევრი საერთო აქვს. ორივე მათგანს შეუძლია გარკვეული მომენტის დაფიქსირება და მისი ზუსტად გადმოცემა. როგორც ნახატის, ისე ფოტოსურათის შექმნაში მთავარ როლს ხელოვანის წარმოსახვა ასრულებს. სწორედ მისი წყალობით გადმოსცემს მხატვარი თუ ფოტოგრაფი თავის ჩანაფიქრს.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა ძლიერ განაცვიფრეს თავის დროზე იმპრესიონისტებმა ხელოვნების სამყარო. ითვლება, რომ თავის პოპულარობას იმპრესიონიზმი სწორედ ფოტოგრაფიას უნდა უმადლოდეს.





კლიუსტრენუარი, „მეჯლისი მულენ დე ლა გალეტში“, 1876

მეჯლისი გემზე. ფოტო


იმ დროს მხატვრები, ჩვეულებრივ, სტუდიებში მუშაობდნენ, სადაც ბუნებაში გაკეთებული ჩანახატებით სარგებლობდნენ. იმპრესიონისტებმა კი ხელი მოჰკიდეს ტილოებს, საღებავებს, გამოვიდნენ ბუნებაში და შეუდგნენ ობიექტის იმ მდგომარეობის აღეჭდვას, რომელიც მოცემულ მომენტში დახვდათ. ისინი ცდილობდნენ, სინათლის შეგრძნების ცვლილებით შეეჩერებინათ მისი წამიერი ეფექტი.

ყოფის ნებისმიერი მომენტის აღბეჭდვის შესაძლებლობამ მხატვრებს ყოველდღიურ ცხოვრებზე დაკვირვებისკენ უბიძგა, რის შედეგადაც მათ გაუჩნდათ დაუძლეველი სურვილი, გადმოეცათ ის მომენტი, რომელმაც მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

ფოტოგრაფია გამოსახულების შექმნის ახალი მეთოდია, რომელმაც თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა სახის წარმოშობა განაპირობა. ფოტოხელოვნება ცდილობდა, დაახლოებოდა გრაფიკასა და ფერწერის ისეთ მიმდინარეობებს, როგორებიცაა იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, აბსტრაქტიონიზმი, კუბიზმი, სიურრეალიზმი, კონსტრუქტივიზმი და სხვ. წლების შემდეგ მსგავსი ეფექტის მისაღწევად ფოტოგრაფები გადაღებისა და ბეჭდვის საგანგებო ტექნიკას მიართავდნენ.



აბსტრაქტულმა ფოტოგრაფიამ უკუაგდო იდეა, რომლის თანახმად, აუცილებლად ისეთი რამ უნდა გამოისახოს, რომლის ცნობაც შეიძლება. აბსტრაქტულმა ხელოვნებამ, როგორც მიმდინარეობამ, სახვითი ხელოვნების ყველა დარგი მოიცვა, ფერწერით დაწყებული, ფოტოგრაფით დამთავრებული.



სიურრეალისტური ფოტოგრაფია, ისევ, როგორც სიურრეალისტური ფერწერა, ობიექტების უცნაური ერთობლიობითაა სავსე. ამ ნამუშევრებში ავტორები ზურგს აქცევენ რეალობას და სიზმრებსა და ფანტაზიებს მიმართავენ, საიდანაც სიმბოლოებს იღებენ და მხატვრულ სახეებად აქცევენ.




პორტრეტული ფოტოგრადაღება ფოტოგრაფიის წარმოშობასთან ერთად ჩაისახა. სწორედ პორტრეტულ ჟანრში ჩამოყალიბდა ფოტოგრაფია ხელოვნებად, რაც ფერწერისა და გრაფიკის უშუალო ზეგავლენით განხორციელდა. ადამიანისთვის ფოტოს გადაღება ნებისმიერ ადგილას შეიძლება: სტუდიაში, პარკში,

ქუჩაში. მაგრამ ყველა ფოტო როდი ჩაითვლება პორტრეტად. პორტრეტულია ის ფოტოგრაფია, რომელშიც უპირატესი ყურდღება სწორედ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ეთმობა. ასეთი სურათის ფონი უფრო ხშირად მარტივდება და ერთ ტონამდე დაიყვანება, მნაშველის ყურადღება ზედმეტად რომ არ მიიპყროს.



ეს საინტერესოა

1984 წელს, ავღანელ ლტოლვილთა ბანაში ჩატარებული პორტრეტული ფოტოგადაღების სეანსის შედეგად, უურნალისტ სტივ მაკარის ერთ-ერთი ფოტოგრაფია უურნალ National Geografik-ის გარეკანზე მოხვდა. ეს ფოტო მყისვე იქცა ავღანელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ. აშშ-ის ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების ვერსით, ის 100 საუკეთესო ფოტოსურათის რიცხვში შევიდა. 2005 წელს გარეკანი, რომელზეც „Afghan Girl“ („ავღანელი გოგონა“) იყო აღინიჭილი, „უურნასკენელი 40 წლის საუკეთესო უურნალის ყდის“ ათეულში მოხვდა. ამ ფოტოს ზოგჯერ ლეონარდო და ვინჩის მონა ლიზას პირტრეტს ადარებენ და „ავღანელ მონა ლიზას“ უწოდებენ.



დაფიქრდით და ახსენით

რაში გამოიხატება ფოტოგრაფიის მხატვრულ-გამომსახველობითი სპეციფიკა, რაც მას ფერწერისგან განასხვავებს?



მოშიმშილე ბიჭუნა და მიოსიონერი

შემოქმედებითი, პროფესიონალი ფოტოგრაფის ხელში წამიერი კადრი შეიძლება შედევრად იქცეს.

ჩვეულებრივი რომ სასწაული დაინახო, ამისათვის ბავშვური დაკვირვებულობა და მკვლევრის ცნობისადილი, ფსიქოლოგის მოთმინება და ფილოსოფოსის აზრის სიღრმეა საჭირო.

კარგ ფოტოსურათი ასახავს სინამდვილის მოუხელთაბეჭ მომენტებს. გმრავლებულს ფოტოგრაფის ღრმა გრძნობებზე. ფიქრსა და ემოციას აღძრავს. კარგი ფოტოგრაფია ჰგავს კარგ წიგნს, რომელიც ბევრჯერ შეგიძლია, წაიკითხო. ფოტოგრაფიამ გაათავისუფლა ფერწერა ფაქტის ფიქსაციისაგან, რაც აღორძინების ეპოქაშიც კი მხატვრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ითვლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამით ფოტოგრაფიამ ხელი შეუწყო ფერწერის განვითარებას, მისი განუმეორებელი სპეციფიკის სრულად გამოვ-



იმედი ბოლოს კვდება

ლინებას. თავის მხრივ, ფოტოგრაფიამაც ბევრი რამ შეიძინა სახვითი ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი განვითარების გამოცდილებიდან. რაკურსი და პერსპექტივის აგება, მნახველის უნარი, წაიკითხოს ფოტოსურათი, როგორც მოცულობითი სივრცის სიბრტყითი გამოსახულება – ეს ყველაფერი კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც ფოტოგრაფიას ფერწერისგან დარჩა. ამჟამად ფოტოგრაფიული ხელოვნება საზოგადოების კულტურის შემადგენლ ნაწილად ითვლება. ის არა მარტო სამყაროს ესთეტიკური აღქმის საშუალებაა, არამედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები, ფერადი კალმები, გუაში; ვებ-კამერა, ფოტოაპარატი, ტელეფონი ან პლანშეტი.

განსაზღვრეთ

1. **ა)** სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციებიდან ან სხვა წყაროდან აირჩიეთ ნახატები და ფოტოები ბუნების (პეიზაჟი) და ადამიანის (პორტრეტი) გამოსახულებით. ჩაატარეთ შედარებითი ანალიზი: რა აქვს საერთო ნახატსა და ფოტოსურათს და რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან? სამუშაოს მიეცით რეფერატის ან ზეპირი ინფორმაციის ფორმა სპეციალურად შერჩეული (უურნალებიდან, გაზეთებიდან ან ინტერნეტიდან) საილუსტრაციო მასალის თანხლებით.
ბ) ამავე ნახატებისა და ფოტოების მიხედვით ჩაატარეთ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ანალიზი.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. **ა)** კლასთან ერთად შეასრულეთ შემოქმედებითი პროექტი. თქვენი ამოცანაა გადამდებ აპარატურაზე მუშაობის უნარის გამოვლენა.
დღესდღეობით კამერებს ყველანაირ ციფრულ მოწყობილობას არგებენ. მობილური ტელეფონით თუ პლანშეტით ჩევნ სულ უფრო ხშირად ვულებთ სურათებს მეგობრებს, პეიზაჟებს. ამ ყველაფერმა გააადვილა ფოტოგრადალების პროცესი. ახლა ამის გაკეთება პრაქტიკულად წებისმიერ მომენტში შეიძლება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენს ხელში წამიერი კადრი ხელოვნების ნიმუშად შეიღლება იქცეს და სინამდვილის წარმავალი, მოუხელთებელი მომენტები ასახოს. დაიყავით ორ ჯგუფად. ფოტოგრადალება შეგიძლიათ, კლასში, სკოლაში, სკოლის ეზოში ან ექსკურსიაზე მოაწყოთ. გადაიღეთ საგნები, ობიექტები, ხეები, შენობები, ადამიანები. გამოავლინეთ ობიექტისა და გადაღების რაკურსის შეგნებულად შერჩევის უნარი. იმსჯელეთ ამაზე თანაკლასელებთან ერთად.

3. **ბ)** აირჩიეთ პორტრეტული ფოტოგრადალების ილუსტრაცია სახელმძღვანელოდან ან ფოტოსურათი საოჯახო ალბომიდან, სადაც მთელი თქვენი ოჯახია გადაღებული. აღწერეთ ფოტოსურათის კომპოზიცია, გადაღების სხვადასხვა მხატვრული საშუალება და ხერხი (რაკურსი, პლანი და სხვ.).

3. გვიამბეთ (კონკრეტულ მაგალითზე) ფოტოგრაფიაში თქვენი გამოცდილებისა და გადაღების მიზნების შესახებ.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ როგორ იმოქმედა ფოტოგრაფიამ XX საუკუნის სახვით ხელოვნებაზე?

დიალოგი ხელოვნებაზე

რა შემოქმედებითი ჰორიზონტები გაიხსნა ფოტომხატვრების წინაშე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების წყალობით?

გაიხსნეთ

რომელი კომპიუტერული პროგრამების დახმარებით შეიძლება ფოტოსურათების დამუშავება, მათი შეცვლა, კოლაჟის შექმნა?

გაუცაით

კომპიუტერის, ელექტრონულ-ციფრული ტექნოლოგიების გამოჩენამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ფოტოსურათის გადაღებისა და დამუშავების შესაძლებლობები, თუმცა მუშაობაში კომპიუტერული პროგრამების გამოყენებისათვის მხოლოდ ტექნოლოგიური უნარების ფლობა საკმარისია არ არის. არანაკლებ მნიშვნელოვნანია ასევე მათი მხატვრული შესაძლებლობების გაცნობიერება. ახალი ტექნოლოგიები აადვილებს გამოსახულების მიღებას, აუმჯობესებს მის ხარისხს, მაგრამ ამავე დროს გვაიძულებს, ახლებურად შევხედოთ ფოტოგრაფიის, როგორც ხელოვნებისა და საინფორმაციო შეტყობინების, არსს.

კომპიუტერი ფოტოგრაფიის დამუშავების სხვადასხვა საშუალებას გვთავაზობს. კორექციისა და რედაქტირების პარალელურად, შესაძლებელია სურათის სტილის შეცვლაც.

გრაფიკაზე სამუშაო პროგრამების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპია **გრაფიკული რედაქტორები**¹. ზოგიერთი გრაფიკული რედაქტორი ფოტორეალისტური გამოსახულებების რედაქტირებაზეა სპეციალიზებული, სხვები კი უპირატესად ნახატების შექმნისა და რედაქტირებისთვისაა გამიზნული.

კომპიუტერული რევოლუციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ინტერნეტიდან ფოტოსურათების გადმოქაჩვის შესაძლებლობა. დღესდღეობით საკუთარი კომპიუტერის მონიტორზე ისეთი ობიექტების გამოსახულებების ნახვა შეგვიძლია, რომლებიც ჩენ არ გადაგვიღია და არც მათ გადაღებას დავსწრებივართ. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ფოტოხე-



¹ **გრაფიკული რედაქტორი** – კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მოხსმარებელს საშუალებას აძლევს, კომპიუტერის ეკრანზე შექმნას და გაარედაქტიროს გამოსახულებები. მათ სხვადასხვა ფორმატით, მაგ., JPEG, PNG, PIF და სხვ., ინახავენ.

ლოვანისგან ფოტოარქივების შექმნისა და მათზე მუშაობის ცოდნას მოითხოვს.

ციფრული ფოტოსურათების გამოჩენამ მათი შემდგომი დამუშავების აუცილებლობა წარმოშვა. დამუშავებაზე არც ერთი ფოტოგრაფი არ ამბობს უარს, ვინაიდან გრაფიკული რედაქტორის გამოყენება პორტრეტულ ფოტოსურათზე კანის დეფექტების მოშროებისა და სინათლის ეფექტების დამატების საშუალებას იძლევა. თანამედროვე პროგრამებს ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია, რის მეშვეობითაც ზოგჯერ ისე იცვლება პორტრეტი, რომ მისი ცნობაც კი გვიჩირს. პორტრეტული ფოტოსურათის დამუშავება ყველაზე ხშირად პროგრამა Adobe Photoshop-ში ან მის გამარტივებულ ვერსიაში, Photoshop Lightroom-ში, მიმდინარეობს.



პროგრამა ფოტოხელოვანს ნებისმიერი სურათის გარდაქმნაში ეხმარება. ფოტოზე აღბეჭდილ გამოსახულებაში შეიძლება შეიცვალოს ფერი, განათება, ფონი, ტანსაცმელი, გაიზარდოს სურათის სიმკვეთრე, გაერთიანდეს სხვადასხვა ფოტოზე არსებული გამოსახულებები და ა.შ.

ყველა ეს გარდაქმნა სურათის შინაარსის მთლიანად შეცვლის შესაძლებლობას იძლევა. კომპიუტერი ფოტოსაქმეს მხატვრული შემოქმედების ახალ შტრიხებს ამატებს. ამის ერთ-ერთი მაგალითია კოლაჟის ტექნიკით მუშაობა. კოლაჟში ხდება სხვადასხვა გამოსახულების – ფოტოსურათების, ნახატების, ტექსტების – კომპოზიციური და შინაარსობრივი გაერთიანება ერთიან კომპოზიციად და ამის შედეგად ახალი მხატვრული სახის დაბადება.

კოლაჟში, ისევე როგორც ნებისმიერ სურათში, უნდა გამოიკვეთოს არსობრივი ცენტრი და მიღწეულ იქნეს კომპოზიციური ბალანსი მეორე და მესამე პლანის ელემენტებთან.



ფოტოგრაფიის დაბადებამ მხატვრებს კოლაჟში მანამდე მიუღწეველი მხატვრული ამოცანების გადაწყვეტის საშუალება მისცა. ფოტოგრაფიის საფუძველზე, სხვადასხვა პროგრამის დახმარებით, ნებისმიერ თემაზე სრულფასოვანი მხატვრული ნამუშევრის შექმნა შეიძლება. მისი კომპიუტერული ფორმა სრულიად სხვადასხვაგვარია – კოლაჟიდან და ინსტალაციიდან სლაიდფილმამდე.

კომპიუტერი ნებისმიერ მოხმარებელს აძლევს საშუალებას, იყოს გრაფიკოს-დიზაინერი და შექმნას ფოტო-მისალოცი ბარათები, სადღესასწაულო ორიგინალური ლია ბარათები და ა.შ. მათში ფოტოსურა-თების, ნახატების, წარწერებისა და ტექსტების გამოყენება შეიძლება.



სამყარო განუწყვეტლივ იცვლება. დღეს, ტექნოლოგიების დაჩქარებული ტემპით განვითარების პირობებში, უმსხვილესი სტ-კომპანიების სპეციალისტებს ციფრული კამერის ჩვეულებრივ სათვალეზე მორგებაც კი შეუძლიათ. ამის წყალობით ადამიანი ყველაფრის გადაღებას შეძლებს, რაც კი მის ყურადღებას მიიპყრობს.

თანამედროვე მსოფლიოში ფოტოგრაფიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ფოტოსურათების გარეშე ერთი ნაბეჭდი და ელექტრონული გამოცემაც კი ვერ გავა ფონს. ვერც საიტის ორგანიზებას შეძლებს ვინმე ფოტოგრაფის გარეშე. ფოტოსურათს აპარატი იღებს, მაგრამ მხოლოდ ადამიანის მხატვრულ ნიჭს შეუძლია მისი ხელოვნების ნიმუშად ქცივა.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ვებ-კამერა, პროგრამები, „Microsoft Paint“ და „Adobe Photoshop“, ინტერნეტი.

განსაზღვრეთ

1. თანამედროვე ციფრული ფოტოგრაფია ყველაზე მეტად სმარტფონებისა და პლანშეტების ფართოდ გავრცელებამ შეცვალა. ამ მოწყობილობების დახმარებით სურათების გადაღება და დამუშავება შეიძლება. გვიამბეთ ყველაფერი, რაც მათ შესახებ იცით.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. შეასრულეთ შემოქმედებითი პროექტი:

ა) 5-7 სახვითი ელემენტის (ფოტოსურათების, ნახატების, ტექსტის და ა.შ.) გამოყენებით შექმნით კოლაჟური კომპოზიცია თავისუფალ თემაზე (მაგალითად, „გმირები – ქვეყნის დამცველები“, „ჩემი მეგობრები“, „ჩემი ოჯახი“, „ჩემი ქალაქი“, „საყვარელი მხატვარი“, „თანამედროვე სტილები სახვით ხელოვნებაში“).

ბ) შექმნით მისალოცი ბარათი საკუთარი ფოტოსურათისა და სხვა სახვითი ელემენტების გამოყენებით.

გ) შექმნით ფოტოგრაფიკა ფოტოსურათის კომპიუტერული დამუშავების დახმარებით.

ოსტატის რჩევები

- ჩაერთოთ ინტერნეტში და იპოვეთ ერთ-ერთი საძიებო საშუალება (მაგალითად, Google);
- მოძებნეთ თანამედროვე არქიტექტურის ღირსშესანიშნაობების 1-2 ფოტოსურათი და შეინახეთ ისინი თქვენს საქალალდები;

- 3.** გახსენით პროგრამა **Adobe Photoshop** მის პიქტოგრამაზე დაწკაპუნებით;
- 4.** ინტერნეტიდან გადმოქაჩული ფოტოსურათების გასახსნელად დააწკაპუნეთ ფაილზე (**File**) და აირჩიეთ ბრძანება გახსენი (**Open**);



დააკოპირეთ თქვენი ფოტოსურათი და ჩასვით იგი რომელიმე ღირსშესანიშნაობის ფოტოსურათში.

- 6.** თქვენი ფოტოს ღირსშესანიშნაობის ფოტოსურათში ჩასმის შემდეგ, ინსტრუმენტ გადაადგილების (**Move tool**) დახმარებით გადაიტანეთ იგი საჭირო ადგილას;



- 7.** ინსტრუმენტ საშლელის (**Eraser tool**) გამოყენებით ნაშალეთ სურათის ფონი; სანამ ფონის ნაშლას შეუდგებოდეთ, როდესაც ინსტრუმენტ საშლელზე (**Eraser tool**) დააწკაპუნებთ, დააწკაპუნეთ ასევე პიქტოგრამა **Soft Cliner**-ზე საშლელის მენიუში (ეკრანის ზედა ნაწილში);

ბრძანება ფაილის (**File**) და გამოსახუ-

ლებიანი ფაილის დახმარებით ნამუშევარი თქვენს საქალალდეში შეინახეთ. ფოტოგრაფიის ყველა სახეობაში შეიძლება საკუთარი ინდივიდუალობის, სამყაროს თქვენული ხედვის, საკუთარი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა.

- 3.** გააანალიზეთ ფოტოხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი შესაძლებლობები (კოლაჟი, ვიდეოპრეზენტაცია -სლაიდფოილები), რომლებიც კომპიუტერული პროგრამების გამოყენებამ განაპირობა. სამუშაოს შესრულება შეიძლება კვლევითი რეფერატების ან ზეპირი ინფორმაციის ფორმით, უურნალებიდან, გაზეთებიდან, ღია ბართებიდან, ინტერნეტიდან სპეციალურად შერჩეული საილუსტრაციო მასალის თანხლებით, რომელიც თემის გაგებას ემსახურება.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ ფოტოსურათის დამუშავების რა ტექნოლოგიური შესაძლებლობები შემოგვთავაზა კომპიუტერმა?
- ✓ რა პერსპექტივა იხსნება ფოტოხელოვანთა წინაშე კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის მეშვეობით?

დიალოგი ხელოვნებაზე


რა აღმოჩენამდე მივიღნენ მხატვრები ფოტოაპარატისა და ფოტოგრაფიის გამოგონების შემდეგ?

გაიხსენეთ

რას მოგვაგონებდნენ პირველი ფოტოსურათები?

გაეცანით

საუკუნეების განმავლობაში მხატვრებს ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული გამოსახულების გაცოცხლება, მისი ამოძრავება. ფოტოგრაფიის გამოგონების შემდეგ ამისათვის მხოლოდ ერთი პატარა ნაბიჯის გადადგმა რჩებოდა: კინოფირის დამზადება, გადასასაღები და საპროექციო პატარატურის შექმნა და კედელზე ეკრანის ან, უბრალოდ, თეთრი ზენრის ჩამოყიდება. და ეს მოხდა. კინოს დაბადების თარიღად 1895 წლის 28 დეკემბერი ითვლება, როდესაც პარიზში ძმებმა ლუმიერებმა თავიაზოთ პირველი მოკლე კინოლენტა „მატარებლის შემოსვლა ლა სიოტას სადგურში“ აჩვენეს.



ძმები ოგიუსტ და ლუი ლუმიერები

კადრი ფილმიდან „მატარებლის შემოსვლა ლა სიოტას სადგურში“

დასაწყისში კინო შავ-ტერირი და უხმო იყო, მის მთავარ გამომსახველობით საშუალებას კი თავად გამოსახულება, მისი სასწაულებრივი მოძრაობა წარმოადგენდა. კინემატოგრაფის განვითარების ამ ეტაპს „დიადი მუნჯი“ ეწოდა. მუნჯი კინოს დიდება ლეგენდარული ჩარლი ჩაპლინი გახდა.

ფოტოგრაფიის მსგავსად, კინოც თანდათანობით ეძიებდა საკუთარ ენასა და მხატვრულ სპეციფიკას. ფოტოგრაფიის მსგავსად, კინოც დასაწყისში ფერწერას ჰპაძავდა, რათა თავისი, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგის, მნიშვნელოვნება დაემტკიცებინა.

თავიდან ფილმებს ყველგან აჩვენებდნენ: სამუსიკო დარბაზებში, კლუბებში და თვით მაღაზიებშიც. 1908 წლს კინოს საჩვენებლად პირველი თეატრები



აშენდა. ფილმს ცალკეულ ფრაგმენტებად – პლანებად იღებენ. პლანების თანამიმდევრობით შეერთებას მონტაჟი ეწოდება. პლანების მონესრიგებული თანამიმდევრობა ანიჭებს აზრს იმას, რასაც ეკრანზე ვხედავთ. სწორედ პლანების შერჩევითა და მონტაჟით ესხმება ხორცი ფილმის შემქმნელთა ხედვასა და ჩანაფიქრს. მონტაჟია კინემატოგრაფიის¹ მხატვრულ-გამომსახველობითი განუმეორებლივის საფუძველი.

სმამ კინოში რევოლუცია მოახდინა. სიტყვამ და მუსიკამ კინოში განაპირობა ის, რომ დღესდღეობით ფილმებში სიუჟეტის განვითარება და მსახიობის შესრულების მისამართი განვითარება. კინოს ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტია ასევე ფერადი კინოს დაბადება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ფერმა კინოში ისეთი გადატრიალება ვერ მოახდინა, როგორიც ხმამ, რადგან ფერი კინოგამოსახულების მხოლოდ ერთ-ერთი ახალი წახნაგი იყო. ფერის მხატვრული ბუნება ფერწერასა და კინოში ერთნაირი არ არის. ფერწერაში ფერი მხატვრის ქმნილება, მხატვრული სახის შექმნის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, კინოში კი ფერი მისი ავტორის ნებით არ ჩნდება ეკრანზე – ის ბუნებრივი რეალობის ასლია.

ეკრანზე მოქმედება დროში ვითარდება. კინოკომპოზიციის ხელოვნება გამოსახულების, მეტყველებისა და მუსიკის მწყობრ მხატვრულ სახედ გაერთიანების უნარია.



კადრი ფილმიდან „ვაზაზში მხოლოდ ქალიშვილებია“



კადრი ფილმიდან „რომაული არდადეგები“


¹ კინემატოგრაფი (ბერძნ. „მოძრაობა“ და „გამოსახულება“) ხელოვნების სინთეზური სახეობაა, რომელიც მოძრავი გამოსახულების შექმნაში მდგომარეობს. ზოგჯერ ამ სიტყვის ნაცვლად გამოიყენება „სინემატოგრაფი“ და „კინემატოგრაფია“.



კადრი ფილმიდან „ქარნალებულინი“

თეატრის მხატვრისგან განსხავებით, კინოში მხატვარი რეალური სამყაროს ხატს რეალური ობიექტებისა და ცხოვრებაში არსებული ნამდვილი საგნებისგან ქმნის. კოსტიუმისა და გრძის შექმნაში კი კინოს მხატვარის როლიც ისევე შეუცვლელია, როგორც თეატრისა. ის, რასაც ჩვენ ეკრანზე ვხედავთ, კოლექტიური მხატვრული შემოქმედებაა და მხოლოდ მხატვრის სამუშაოთი არ შემოიფარგლება. ამ პროცესში, პირველ რიგში, რეჟისორი და ოპერატორი არიან ჩართული.

კინოს გარემოს შექმნა ესკიზებითა და ნახაზებით იწყება. ამ შემოქმედებითი სამუშაოს შედეგი ფილმის მხატვრული სახის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.



ტექნოლოგიების შემდგომ განვითარებას – წრიული პანორამიდან სტერეოგამოსახულებამდე – პრინციპულად არ შეუცვლია კინოხელოვნება, მაგრამ მერე დაიწყო ახალი ეტაპი – კომპიუტერული სპეცეფექტები, სტერეოგამოსახულება (3D ეფექტი).



კადრი ფილმიდან „მატრიცა“



კადრი ფილმიდან „ავატარი“



კადრი ფილმიდან „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“



კადრი ფილმიდან „იურული პერიოდის პარკი“

აზერბაიჯანში, ისევე, როგორც ყველგან, ჯერ შავ-თეთრი და მუნჯი კინო გაჩნდა, შემდეგ კი – ხმოვანი და ფერადი. 1924 წელს ეკრანებზე გამოვიდა ორსერიიანი მხატვრული ფილმი „ლეგენდა ქალწულის კოშქზე“. 1935 წლიდან კი, როდესაც ფილმი „ლურჯი ზღვის სანაპიროზე“ გადაიღეს, რესპუბლიკაში ხმოვანი კინოს ეპოქა დაიწყო.

კინოხელოვნება აზერბაიჯანში 1898 წელს, კინოს დაბადებიდან სამიოდე წლის შემდეგ ჩაისახა.



„ნავთობის შადრევნები ბალახანაში“. კადრი 1898 წელს გადაღებული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმიდან



უზეირ პაჯიბეკოვის ოპერეტა „არშინ მალ ალანის“ საფუძველზე გადაღებულ იქნა პირველი აზერბაიჯანული კინოკომედია

დაფიქრდით და ახსენით


რაში სჭირდებათ ადამიანებს კინო? რა შეცვალა მან მათ ცხოვრებაში?

კინო XX საუკუნის ნამყვან ხელოვნებად იქცა. მაში ერთდროულად გვხვდება მაღალი ხელოვნების ნიმუშები და მარტივისიუჟეტიანი სურათები. სეანსის დროს მაყურებელი ხშირად თავს ფილმის გმირად შეიგრძნობს. კინო გახდა დიდი ნუეშისმცემელი, ოცნებებისა და ილუზიებისა სამყარო, რომელსაც ყოველ-დღიურობის ტვირთითა და სანუსარით დაღლილი მაყურებელი ბედნიერების, სიმდიდრისა და სიყვარულის მიუწვდომელ ეკრანულ ფანტაზიაში გადაჰყავს.

არსობრივად კინო ნამდვილი ცხოვრების ილუზიაა, მაგრამ ზოგჯერ ფილმი ჩვენს ცხოვრებას იმაზე უფრო ღრმად სწვდება, ვიდრე ჩვენ სინამდვილეში ვხედავთ. სწორედ ასეთი კინოა ნამდვილი ხელოვნება. არსებობს ფილმები, რომლებიც სიმართლეს ამბობს ცხოვრებაზე.

ეს ჭეშმარიტად დიდი ხელოვანების დიდი ფილმებია, რომლებიც ადამიანს საკუთარი თავის შეცნობაში ეხმარება.

კინო თავისი წარმოშობის დღიდანვე კაცობრიობის უდიდესი მონაპოვრია. მოიცავს რა ცხოვრების ყოველ ასექტს, კინო აყალიბებს ადამიანთა მსოფლიმებელელობას, აცოცხლებს თითოეული ერის ისტორიას, მის ტრადიციებს. კინო ხელოვნების ერთადერთი დარგია, რომელშიც კულტურის რამდენიმე დარგია შერწყმული. მისი კიდევ ერთი უპირატესობაა სანახაობრიობა და დამაჯერებლობა. აზერბაიჯანულმა კინომ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საზო-



კადრი ფილმიდან „ნასიმი“



კადრი ფილმიდან „უკანასკნელი ულელტეხილი“



კადრი ფილმიდან „გაჩაგ ნაბი“



კადრი ფილმიდან „შორეულ ნაპირებზე“



კადრი ფილმიდან „დედინაცვალი“



კადრი ფილმიდან „ჩვენი ჯაბიშ მუალიმი“



კადრი ფილმიდან „ადამიანი-ამფიბია“



კადრი ფილმიდან „ბრილიანტის ხელი“

გადოების ესთეტიკური გემოვნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, ხელი შეუწყო ჩვენი ხალხის ეროვნული სულის შენარჩუნებას.

ინტერესი კინოხელოვნებისადმი, ფილმებისადმი დღესაც უჩვეულოდ მაღალია, ვინაიდან ყოველი ფილმი, ეკრანის ყოველი ნაწარმოები თავის თავში ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და კულტურას ატარებს და მომავალ თაობებს ერის სულიერებას გადასცემს. არაფერი ისე სწრაფად არ ბერდება, როგორც კინო, მაგრამ ჩვენს აზრებსა და ჩვენს სამყაროს ინარჩუნებს რამე ისე, როგორც კინო.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები, ფერადი კალმები.

განსაზღვრეთ

1. შეადგინეთ კროსვორდი სიტყვა ფილმით.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. ა) შექმნით ფილმი თქვენს კლასზე, რომლის სცენარის გმირები თქვენი თანაკლასელები და მასწავლებლები იქნებიან. ამ ფილმში გვიამბობთ თქვენი გაკვეთილების, დასვენებისა და ა.შ. შესახებ.
ბ) დახატეთ სურათი ან შექმნით ემბლემის ესკიზი თემაზე „კინემატოგრაფია“.
3. შეასრულეთ ანალიზური სამუშაო თემაზე: „რა საჭიროა სცენარი კინოში და მისი როლი საოჯახო ვიდეოს გადაღებაში“.




შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რა როლს ასრულებს მხატვარი კინოში?
- ✓ რომელი ფილმის გადაღებას ისურვებდით? რომელ მსახიობებსა და რეჟისორებს მოიწვევდით?

დიალოგი ხელოვნებაზე

როგორ ფიქრობთ, რა ქმნის კომპიუტერის ეკრანზე განმეორებად ციკლს?

**გაიხსენეთ**

რა როლს ასრულებს სცენარი ფილმის შექმნაში?

გაეცაით

კინო ყოველთვის იმისკენ ილტვის, რომ ჩვენთვის საინტერესო და მომხიბლავი მოსაუბრე იყოს. მაგრამ ყველა ასაკის მაყურებლის საყვარელი მოსაუბრე უდავოდ ანიმაცია¹.

გამოსახულებით მოძრაობის გადმოცემის პირველი მცდელობა პალეოლითის პერიოდის გამოქვაბულების მოხატულობაა, სადაც ცხოველებს მრავალი ერთმანეთის გადამფარავი ფეხით გამოსახავდნენ.



პირველ ნამდვილ მულტიპლიკატორად ფრანგი ემილ რეინო ითვლება. მან შექმნა აპარატი პრაქსინოსკოპი – ოპტიკური ხელსაწყო მოძრავი ნახატების სადემონსტრაციო, რომელიც მბრუნავი ბარაბნის, სარკეების სისტემისა და ფანტასიური შედეგებოდა. 1892 წელს რეინომ გახსნა თავისებური ატრაქციონი – ოპტიკური თეატრი, სადაც მაყურებლებს 15-20-წუთიან კომიკურ სიუჟეტებს უჩვენებდა. ეს ძმები ლუმიერების ცნობილ პრემიერაზე სულ რამდენიმე წლით

¹ ანიმაცია (ფრ. animation – „გაცოცხლება“, „გასულიერება“) – მულტიპლიკაციის დასავლური სახელწოდება: კინოხელოვნების სახეობა და მისი ნაწარმოები (მულტფილმი), აგრეთვე შესაბამისი ტექნოლოგია, რომელიც უსულო და უძრავი ობიექტების დახმარებით მოძრაობის ილუზიას ქმნის. მხატვარს, რომელიც ანიმაციის შექმნითაა დაკავებული, ანიმატორს ან მულტიპლიკატორს უწოდებენ.

ადრე მოხდა, ანუ მულტიპლიკაციას ფრანგები უფრო ადრე გაეცნენ, ვიდრე კინოფილმებს.



ემილ რეინოს პრაქსინოსკოპი

პირველი მულტფილმები თხუთმეტ წელით განვითარებაში, ხელით დახატული და გაფერადებილი პანტომიმები² იყო. რეინომ ისეთი მულტფილმებიც შექმნა, რომლებშიც ნახატებთან ერთად ფოტოსურათებიც გამოიყენებოდა. შემდგომში კინოს ამ სახეობის განვითარებაში დიდი ღვაწლი გაიღეს სხვა მულტიპლიკატორებმა, რომლებიც სხვადასხვა უანრში სხვადასხვა ტექნიკით ქმნიდნენ სურთებს. საბოლოოდ მულტიპლიკაცია კინემატოგრაფის ნაწილი გახდა და მისი ერთ-ერთი უანრის ადგილი დაიმკიდრა. ანიმაციების შესაქმნელად კინოგადასალები აპარატურა გამოიყენებოდა.

ანიმაციის განსაკუთრებული ტემპით განვითარება XX საუკუნის გარიურაუზე დაიწყო. დაახლოებით ერთსა და იმავე დროს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ერთბაშად რამდენიმე ადამიანმა დაიწყო ანიმაციური ფილმების შექმნაზე მუშაობა.

იცით თუ არა?

კატა ფელიქსი მუნჯი კინოს ეპოქაში შექმნილი მულტფილმების გმირია. შავმა სხეულმა, დიდმა თეთრმა თვალებმა, ფართო ლიმილმა და იმ სიტუაციებმა, რომლებშიც ის სიუჟეტის თანახმად ხვდებოდა, ფელიქსი მულტიპლიკაციის ისტორიაში ყველაზე ცნობად პერსონაჟდ აქცია. კატა ფელიქსი იყო პირველი პოპულარული ანიმაციური პერსონაჟი, რომელსაც ნებისმიერი ასაკის მაყურებლის ყურადღების დაპყრობა შეეძლო.

ანიმაციის განვითარების ისტორიას მრავალი დიდებული სახელი შემორჩა. პირველი ანიმაციური მულტფილმი 1906 წელს ამერიკელმა კარიკატურისტმა და ანიმატორმა, უინძორ მაკეიმ,



შექმნა. ანიმაციის სამყაროში ნამდვილი რევოლუცია ამერიკელმა რეჟისორმა, მხატვარმა და პროდიუსერმა, უოლტ დისნეიმ, მოახდინა. ის იყო პირველი, ვინც ანიმაციაში ხმა და ფერი გამოიყენა. მისმა ფილმებმა და მათმა გმირებმა, განსაკუთრებით, მიკი მაუსმა, არა მარტო ყველა ასაკის მაყურებლის გული დაპყრო, არამედ მისი გამომსახველობით სტილის მიბაძვის მთელი ტალღა ააგორა. დასწენის სტუდიამ თავისი ნამუშევრებისთვის თორმეტი „ოსკარი“ დაიმსახურა.


² პანტომიმა – სასკენო ხელოვნების სახეობა, რომელშიც სიტყვები არ გამოიყენება და მხატვრული სახის შექმნის ძირითადი საშუალება ადამიანის სხეულის პლასტიკა.

ანიმაცია კინოხელოვნების სახეა, რომელიც სპეციალური ტექნოლოგიით კადრებად იქმნება. აქ ყოველი კადრი ცალ-ცალკე იხატება. არსებობს ანიმაციის რამდენიმე სახე:

ანიმაციის სახეები:		
გრაფიკული ანიმაცია	მოცულობითი ანიმაცია	კომპიუტერული ანიმაცია
ანიმციის კლასიკური სახეობა, სადაც ობიექტებს ხელით ხატავენ და ხშირად კომპიუტერში გადააქვთ.	მოცულობითი ობიექტები სხვადასხვა მასალის გამოყენებით (თოჯინები, პლასტილინის ფიგურები, ბარელიეფები, მაკეტები და სხვ.).	ობიექტები კომპიუტერის დახმარებით იქმნება. განარჩევენ 3D და 2D-ს (flash-ანიმაციის ჩათვლით).

იცით თუ არა?

ანიმაციურ ფილმში ცხენის, როგორც პერსონაჟის, მოძრაობა შემდეგნარად იქმნება: ბლოკონტში იხატება ცხენი, თან ყოველ მომდევნო გვერდზე მისი ფეხების მდებარეობა ოდნავ იცვლება. გვერდების ძალიან სწრაფად გადაფურცვლისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ცხენი მოძრაობს.



მოძენალი ცხენის მოძრაობათა ფიკლი. 8-კადრიანი ანიმაცია.

საბჭოთა მულტიპლიკაციამ, უამრავი შესანიშნავი მულტფილმის შექმნით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანიმაციის მხატვრულ განვითარებაში.



„კატა ლეოპოლდის თავგადასავალი“

„აპა, დამაცადე!“

„ვინი პუჟი და მისი მეგობრები“

აზერბაიჯანში ანიმაცია XX საუკუნის 30-იან წლებში წარმოიშვა. „ტიგ-ტიგ ჰანუმი“, „ცეროდენა“, „მელაკუდას მოგზაურობა“, „ქეთეგიოზი“ და სხვა მულტფილმები ჩვენი მაყურებლების მრავალი თაობის ცხოვრებაში დამკვიდრდა, როგორც ბავშვობის საუკეთესო მოგონება და კეთილი ღიმილი.



„მელაკუდას მოგზაურობა“



„ტიგ-ტიგ ჰანუმი“



„ცეროდენა“

ანიმაციური ფილმების შექმნა ადვილი არ არის: სურათებს ხატავენ, ნომრავენ და სათითაოდ იღებენ კამერით. 10-წუთიან ფილმს დაახლოებით 30-40 ათასი ნახატი სჭირდება.



ცნობილი აზერბაიჯანელი ანიმატორი ელჩინ გამი აზუნდოვი

ფოტოგრაფიის მსგავსად, კომპიუტერი კინოპროცესშიც მრავალმხრივად ერთვება. სამამულო ანიმაციის ოსტატები მუშაობაში სრულიად სხვადასხაგვარ ტექნოლოგიებს იყენებენ – როგორც ტრადიციულს, ისე კომპიუტერულს.



„გამყინვარების პერიოდი“



„საზიდორები“



„შრეკი“

პროფესიულ კინოწარმოებაში კომპიუტერმა მნიშვნელოვნად გაამარტივა ხატვისა და გამოსახულების ტირაჟირების პროცესი. დღეს ანიმაციის ოსტატები მუშაობაში ტრადიციულთან ერთად, კომპიუტერულ ტექნოლოგიებსაც იყენებენ.

ბოლო ხანებში ძალზე პოპულარული გახდა და ფართოდ გავრცელდა (განსაკუთრებით, ინტერნეტში) Flash-ანიმაცია.

დაფიქრდით და ახსენით

რატომ ენიჭება ანიმაციაში უდიდესი როლი მხატვარს?

ეს საინტერესოა

მულტიპლიკაციის შექმნა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. პროდიუსერი აყალიბებს საერთო ჩანაფიქრს, სცენარისტები კი სიუჟეტზე მუშაობენ და სცენარს წერენ. შემდეგ ეს ყველაფერი რეჟისორ-ანიმატორს გადაეცემა, რომელიც სცენებს მხატვრებს უნანილებს. თითოეული მათგანი პასუხს აგებს სცენაზე პერსონაჟების ძირითად მდებარეობაზე, შუალედურ ეპიზოდებს კი უმცროსი მულტიპლიკატორები ამთავრებენ. სხვა მხატვრები ქმნიან ფონს, რომელზეც მოქმედება ვითარდება. შემდეგ ოპერატორი სპეციალური კამერით კადრებად იღებს ნახატებს. სულ ბოლოს კი გამოსახულებასთან ხმა სანქრონიზდება.

დღესდღეობით ანიმაცია, ისევე როგორც მთელი კინოხელოვნება, კულტურისა და ანტიკულტურის საპარეზად იქცა (განსაკუთრებით, უცხოეთში). ამიტომ, კეთილი და ნათელი პერსონაჟების ნაცვლად, ხშირად ეკრანებზე სხვადასხვა სახის მახინჯებისა და მონსტრების მოზღვავებას ვხედავთ. მით უფრო საჭიროა ერთგვარი შინაგანი „ფილტრის“ გამომუშავება გამოიყენელი მაყურებლისთვის ზოგჯერ ძალზე მიმზიდველი ეკრანული სპამის წინააღმდეგ. თქვენ მშობელი ქვეყნის ისტორიას, მის სულიერ ტრადიციებს სწავლობთ და შეეცადეთ, ნახატებში ეს ფასეულობანი გამოიყენოთ, როგორც უსიამოვნო ანიმე³ ალტერნატივა. სამურაის კოსტიუმის მაგივრად შეიძლება აზერბაიჯანული ეროვნული კოსტიუმი შესთავაზოთ, მონსტრების ნაცვლად კი – ეროვნული გმირები.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

ალფურვილობა: პლასტილინი ან თიხა, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები, ფერადი ავტოკალმები, გუაში, აკვარელი, ფერადი ქაღალდი, ბუყაო.

განსაზღვრეთ

1. რით განსხვავდება ერთმანეთისგან უცხოელი და აზერბაიჯანელი ანიმატორების ნახატები, რომლებიც სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი?


შემოქმედებითი საქმიანობა

2. შეასრულეთ შემოქმედებითი პროექტი „სცენარიდან ანიმაციამდე“. დაწვრილებით მომავალი მულტფილმის სცენარი. სიუჟეტი შეიძ-

³ ანიმე (იაპონურად – anime) – იაპონური ანიმაცია ანუ მულტიპლიკაცია. ანიმე ყველა ასაკის ადმიანებისთვის იქმნება.

ლება ნებისმიერი იყოს: მოფარფატე შემოდგომის ფოთოლი, ორი პერსონაჟის დიალოგი ან რაიმე საინტერესი ისტორია ბევრი სცენით. ცხადია, უმჯობესია, კველაზე მარტივი სცენარით დაიწყოთ, რომელშიც მთავარი პერსონაჟი (ის, შეიძლება, უსულო საგანიც იყოს) ერთ რომელიღაც მარტივ ქმედებას ასრულებს.

მაგალითისთვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ მულტიპლიკაციური ფილმის პერსონაჟის მოძრაობა: ბლოკნოტის თითო ფურცელზე დახატეთ ცხენი ან ძალლი ისე, რომ ყოველ მომდევნო გვერდზე მისი ფეხების მდებარეობა ოდნავ შეიცვალოს. ბლოკნოტის სწრაფად გადაფურცვლისას შეგექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ფიგურა მოძრაობს.



3. შეასრულეთ ანალიზური სამუშაო თემაზე: „ანიმაციის ხელოვნება“, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ანიმაციური ფილმების მაგალითზე განიხილავთ ფილმების შექმნის ტექნიკას და მათ მხატვრულ ღირსებებს. შეგიძლიათ, სამუშაო შეასრულოთ რეფერატის ან ზეპირი ინფორმაციის ფორმით სპეციალურად შერჩეული (ჟურნალებიდან, გაზეთებიდან, ინტერნეტიდან, ღია ბარათებიდან) საილუსტრაციო მასალის თანხლებით.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რისგან შეიძლება შევქმნათ ანიმაციური პერსონაჟები და როგორ უნდა გამოვიყენოთ კომპიუტერი ანიმაციაში?
- ✓ რა შეცვალა ანიმაციამ კინემატოგრაფში?

დიალოგი ხელოვნებაზე

ყოველ თქვენგანს უნასავს უურნალებსა და გაზიეთებში პატარ-პატარა ნახატები, რომლებსაც მოკლე ტექსტები ახლავს თან. რა შეგიძლიათ, გვითხრათ ასეთი ნახატების შესახებ?



გაიხსენეთ

როგორ იქმნება სცენარი ფილმისთვის?

გაეცანით

გამოსახულებათა სერიას, რომელიც რაიმე ისტორიას მოგვითხრობს და მულტიპლიკაციას მოგვაგონებს, **კომიქსი**¹ ეწოდება.

ნახატი ისტორიები, ანუ მოთხოვები ნახატებში, ხელოვნების ისეთი სახეების ნიშნებს აერთიანებს, როგორებიც ლიტერატურა და სახვითი ხელოვნებაა.

პირველი კომიქსები XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა ევროპულ და ამერიკულ გაზიეთებში, შემდეგ კი მათგან ყველაზე პოპულარულების ცალკე პატარა უურნალებად გამოცემა დაიწყეს. XX საუკუნის შუახანებში კომიქსი მასობრივი კულტურის ყველაზე პოპულარული ჟანრი იყო.

იცით თუ არა?

კომიქსის ისტორია საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო და ეს აშშ-ში მოხდა. 1892 წელს ამერიკულ უურნალ The San Francisco Examiner-ში გამოქვეყნდა პირველი ამერიკული კომიქსი „დათუნია და ვეფხვი“. მოგვანებით თავისი კომიქსები წარმოადგინა რიჩარდ აუტკოლტმა, რომელიც ამ უანრის ფუძემდებლად მიიჩნევა. უანრის განვითარებაში თავისი წელილი რუდოლფ დერქსმაც შეიტანა. სწორედ მან მოიგონ „ბუშტები“, ჩარჩოები, ღრუბლები, რომლებშიც პერსონაჟის სიტყვები იწერება.



კომიქსი, სულ ცოტა, ორ სურათს მაინც უნდა შეიცავდეს. შესაბამისად, ილუსტრაციას ან სურათს, რომელიც მხოლოდ ერთი გამოსახულებისაგან შედგება, კომიქსს ვერ დავარქმევთ. ხშირად კომიქსს თან ახლავს ტექსტი, რომელიც თანამიმდევრობით გვიამბობს რაღაც ამბავს. ნახატი პერსონაჟები მათში ლაპარაკობენ, რაზეც მათი ბაგებიდან გამომავალ ღრუბელში ჩანერილი ტექ-

¹ კომიქსი (ინგლ. comic – „სასაცილო“) – ნახატების სერია მოკლე ტექსტების თანხლებით, რომლებიც რაღაც ამბავს მოგვითხრობს. არსებობს იუმორისტული, სათვალეადასავლო, ფანტასტიკური, ისტორიული და სხვა კომიქსები.

სტი მიუთითებს. ეს ტექსტი ზუსტად უნდა ეხამებოდეს გამოსახულებას. ჭეშმარიტად კარგი კომიქსის შესაქმნელად მხოლოდ სახალისო ისტორია საკმარისი არ არის. არანაკლებ მნიშვნელოვანია საინტერესო სტილის გრაფიკა.

XX საუკუნის შუახანებში კომიქსები განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდებოდა, მათი გმირები კი, მაგალითად, სუპერმენი, ბეტმენი, ადამიანი-ობობა, იხვი დონალდი, მიკი მაუსი და სხვები, დღესაც პოპულარულები არიან.



XXI საუკუნის დასაწყისში კომიქსებს ახლებურად შეესხა ხორცი. ეს მათ გასაფერადებლად გამოყენებულმა ახალმა კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა და ნიჭიერი მხატვრების მთელი პლეადის მოსვლამ განაპირობა. შესაძლებელი გახდა არა მარტო ფანქრით, არამედ ზეთის საღებავებით ხატვა, ასევე ამ ორის ერთმანეთთან და გრაფიკულ ციფრულ ტექნოლოგიებთან კომბინირება. კომიქსი მჭიდროდ უკავშირდება კინოს, განსაკუთრებით – მულტიპლიკაციას. კომიქსების უმრავლესობის ეკრანიზაცია ჰოლივუდში განხორციელდა და ასეთი ფილმები მთელ მსოფლიოში უდიდესი წარმატებით სარგებლობდა.

იცით თუ არა?

ბრიუსელის ერთ-ერთი ღირსეულისანიშნაობაა უნიკალური ქუჩის პროექტი, რომელიც აგერ უკვე 25 წელია, რაც გრძელდება. 1991 წელს ქუჩის მხატვრებმა ბრიუსელის ქუჩებზე სახლების, შენობებისა და ნაგებობების კომიქსებიდან აღებული სასაცილო ისტორიებით მოხატვა დაიწყეს, ეს წენარი და უღიმდამო ქუჩები უფრო ნათელი და დასამახსოვრებელი რომ გაეხადათ. ბელგიაში კომიქსები ძალიან პოპუ-



ლარულია და ეროვნული სიამაყის საგნადაა ქცეული. ზოგიერთი გრაფიტი² უკვე ქვეყნის ნამდვილი სიამაყეა და ქუჩის ხელოვნების შედევრად ითვლება.

ისტორიულად ისე აეწყო, რომ კომიქსის ყველაზე გავრცელებული ჟანრია კარიკატურა³. ეს ჟანრი იუმორის გრძნობამ, სიცილის უნარმა დაბადა. საჭირო მომენტში ნათქვამ მოსწრებულ სიტყვას შეუძლია, ადამიანი თავის საქციელზე დააფიქროს და ის სულ სხვა თვალით დაანახოს. ჭკვიანური ხუმრობა ხშირად ბევრად უფრო შთამბეჭდავი და დამაჯერებელია, ვიდრე ვრცელი, მართებული, მაგრამ მოსაწყენი დარიგება. სიცილი, ერთი მხრივ, ამხიარულებს, ართობს, ამხნევებს ადამიანს, თავდაჯერებას მატებს მას, მეორე მხრივ, ის ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფით მოვლენებთან ბრძოლაში ეხმარება. დაცინვის სწორედ ამ ძლიერ მხარეებს იყენებს მხატვარი-კარიკატურისტი თავის შემოქმედებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც გარკვეულ ტიპაჟს გარკვეულ ვითარებაში ხატავს, მხატვარი მის ნატურალურ, რეალურ სახეს კი არ გვიჩვენებს, არამედ მას კიდევ კომიკურ შტრიხებს ამატებს.

კარიკატურა, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ჟანრია, რომელსაც შეუძლია, დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს საჭირბოროტო საკითხებს. მასში ყველაზე უცნაური და თამამი ფორმით შეიძლება ურთიერთგამომრიცხავი საგნებისა და მოვლენების – რეალურისა და ფანტასტიკურის, ჭეშმარიტისა და ნარმუდგენლის – შეთავსება.

კარიკატურა საზოგადოების პილიტიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, სო-



² გრაფიტი (იტალ. *graffito*) – მიმართულება XX საუკუნის დასასრულის ავანგარდიზმში. ეს არის გამოსახულებები, ნახატები, წარწერები, რომლებიც კედლებზე ან სხვა ვერტიკალურ ზედაპირებზე მეღნით ან საღებავითაა ამოკანრული, დაწერილი ან დახატული. გრაფიტის შეიძლება მიგაკუთვნით კედლების მოხატვის ნებისმიერი სახე, რომლებზეც გვხვდება ყველაფრი: უბრალოდ, სიტყვებიდან დახვეწილ ნახატებამდე. როგორც ყველა სხვა ხელოვნებას, გრაფიტსაც აქვს თავისი სტილები და მიმდინარეობები.

³ კარიკატურა (იტალ. *caricatura* – „დატვირთვა“, „გაზევიდება“) – სახვითი ხელოვნების (უპირატესად, გრაფიტის) განსაკუთრებული ჟანრი (სატირულ ფორმის). აერთიანებს გამოსასულებებს, რომლებშიც, ადამიანის ფიგურის, სახის, კოსტიუმის, ქცევის მანერის დამახასითებელი ნიშნების განვეხმარება. მათი გამოაშეარავების ან დაცინვის მიზნით), კომიკური ეფექტი იქმნება.

ციიალურ პრობლემებს ეხება და მათ იუმორისტულ სიტუაციად გარდასახავს.

აზერბაიჯანული სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვანმა დარგმა, მდიდარი ტრადიციების მქონე კარიკატურის უანრმა განვითარების მრავალსახოვანი გზა გაიარა.

კარიკატურის უანრის წარმოშობა აზერბაიჯანში ყოველკირეული სატირული უურნალის, „მოლა ნასრედინის“, გამოცემასთანაა დაკავშირებული, რაც 1906 წლის აპრილიდან დაიწყო. ამ გამოცემის მთავარი რედაქტორი და პროზაიკოსი ჯალილ მამედყულიზადე იყო. თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე ეს უურნალი უშიშრად ასახავდა საზოგადოების ყველა სიმახინჯეს და თავგამოდებით ცდილობდა მუსლიმთა გამოფხიზლებას უმეცრების ძილიდან, რომელსაც ისინი მოეცვა.

პირველი კარიკატურისტი აზერბაიჯანული სატირული გრაფიკის ფუძემდებელი, უურნალის მთავარი მხატვარი, ალიმ ალიმზადე იყო. არ შეიძლება, არ დავასახელოთ ასევე მხატვარი-კარიკატურისტები ს. შარიფზადე, ს. სალიმზადე, მ. ვლასოვი და სხვები.



ა. ალიმზადე. „მამლების ბრძოლა“. 1915

კარიკატურის უანრის განვითარებაში ახალი ტრადიციების ჩასახვას აზერბაიჯანში ხელი შეუწყო 1952 წლიდან ახალი სატირული უურნალის, „კირპის“ („ზღარბის“), გამოცემამ. მხატვრები ი. ნაჯაფგულუ, ხ. ალიევი, ზ. ქარიმბეილი, ა. ზეინალოვი, ა. ალესქეროვი და ა. ყულიევი კარიკატურის დახმარებით უურნალის გვერდებზე ამხელდნენ საზოგადოების პრობლემებსა და ნაკლოვანებებს.

უურნალმა განსაკუთრებული პოპულარობა მასში პროფესიონალ ფერმწერთა სატირული ნახატების გამოქვეყნების შემდეგ მოიპოვა. 1950-1960-იან წლებში გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა მხატვრებმა: მ. აბდულაევმა, ტ. სალახოვმა, ო. სადიხზადემ, ქ. ქაზიმზადემ, ა. გაჯიევმა, გ. მუსტაფაევმა და სხვებმა ამ უანრში შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნეს.



მიქაელ აბდულაევი.

- ასე სწრაფად რატომ კითხულობს?
- უკვე ზეპირად იცის. ეს შარშანდელი მოხსენებაა.

მიქაელ აბდულაევი.

- ასე რატომ ბორბიკობს?
- იმიტომ, რომ ეს მოხსენება სხვამ დაუწერა.

1960-1970-იან წლებში რ. გაჯიმოვის, ა. ალესქეროვის, ე. აბდულაევის, ფ. ალიევის, მ. ისმაილოვის, ე. ავალოვის, მ. მამედოვისა და სხვათა პროფესიულ-მა ნამუშევრებმა ამ უანრში ხელი შეუწყო აზერბაიჯანში კარიკატურის ხელოვ-ნების შემდგომ გამდიდრებას.

კარიკატურაც ინფორმაციის მიწოდების ფორმაა და იგი, გადმოცემის სხვა ფორმებთან შედარებით, უფრო ადვილად აღქმადი და გასაგებია. კარიკატუ-რა წარმოდგენას გვიქმნის საზოგადოების პრობლემების, მისი ნაკლოვანებების შესახებ. როგორც სატირული უანრი, კარიკატურა გავლენას ახდენს საზოგა-დოებრივი აზრის ფორმირებაზე, ეხმარება მკითხველს გარკვეული მსოფლმხედ-ველობრივი პოზიციის დაკავებაში. გონებამახვილური სიტუაციები, რომლებიც მნახველს სიცილს ჰქონის, კარიკატურის წარმატების საწინდარია.

კარიკატურისტი თვალყურს უნდა ადევნებდეს საზოგადოებაში მიმდინარე ყველა ცვლილებას. სატირული ნახატი დაგვიანებული კომენტარი კი არა, მოქ-მედების ნანილი უნდა იყოს. ძალიან მნიშვნელოვანია კარიკატურის სიცხადე, სიმარტივე და ადვილად აღქმადობა. მას შეუძლია, არა მარტო გააცინოს, არა-მედ აგრეთვე პუბლიცისტური სამუშაოც შეასრულოს – გააკრიტიკოს, ამხი-ლოს, აგიტაცია გაუწიოს.

დაფიქრდით და ახსენით

თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად შეჯახებიხართ ისეთ სიტუა-ციებს, რომლებზეც კომიქსის შედგენა, კარიკატურის დახატვა შეიძლება?

განსაკუთრებით მწვავე კარიკატურებს ზოგჯერ შარჟი⁴ უწოდებენ.

⁴ შარჟი (ფრანგ. *charger* – „გაზვიადება“, „დატვირთვა“) – კარიკატურის ნაირსახეობა, იუმორისტული ან სატირული გამოსახულება, რომელშიც ადამიანის დამახასიათებელი ნაკვეთები შეცვლილი და ხას-გასმულია. შარჟს საფუძვლად პორტრეტი უდევს და ის გავრცობილ სიუჟეტს არ მოითხოვს. ამ ტერ-მინით ხელოვების ყველს სახეობაში სარგებლობენ, თუმცა მაქსიმალური გამოყენება მან სახვითი ხელოვნების სფეროში პოვა.

ერთი შეხედვით გვეჩვენება, რომ შარჟი უბრალო სურათია, მაგრამ სინამდვილეში მას ძლიან დიდი ოსტატობა და გამოცდილება სჭირდება. შარჟი იმის ვიზუალიზაციაა, რასაც მხატვარი ხედავს. შარჟი ისე უნდა შეიქმნას, რომ მასზე გამოსახული ადამიანი არ შურაცხყოს. უფრო ხშირად ის კი არ დასცინის, არამედ კეთილი ღიმილით ანათებს პერსონაჟს, ცნობილ ადამიანს უბრალო ხალხთან აახლოებს.



შარჟის შექმნისას აუცილებლად გასათვალისწინებელი მომენტია კომპოზიცია. გამოცდილი მხატვარი შარჟის ხატვისას სურათზე მარტო თვალსაჩინო მომენტის ასახვას კია არა, ადამიანის ზოგადი ფიგურლოგიური განწყობის, მისი შინაგანი სამყაროს გადმოცემას უნდა ცდილობდეს.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

ალექსურვილობა: ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები, ფერადი ავტოკალმები.

განსაზღვრეთ

1. რა აქვს საერთო კომიქსს, კარიკატურასა და შარჟს და რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან?


შემოქმედებითი საქმიანობა

2. ა) შექმნით პატარა კომიქსი თქვენი ყოველდღიური ცხოვრების თემაზე. შეადგინეთ ტექსტი, რომელიც თანამიმდევრობით მოგვითხრობს თქვენ მიერ მოფიქრებულ სიუჟეტს. მისი პერსონაჟები ერთმანეთს უნდა ელაპარაკებოდნენ, რაც მათი ბაგეებიდან გამომავალ ტექსტიან ლრუბლებში აისახება. ტექსტი ნახატს უნდა შეესაბამებოდეს. გაითვალისწინეთ, რომ კარგი კომიქსის შესაქმნელად სახალისო ისტორია საკმარისი არ არის. არანაკლებ მნიშვნელოვანია გრაფიკის მიმზიდველი სტილი.

ბ) დასატეთ კარიკატურა თემაზე: „ბავშვის თვალით დანახული თანამედროვე ტექნოლოგიები“. შეეცადეთ, რაც შეიძლება კომიკურად ნარმოაჩინოთ თქვენი პერსონაჟების სახსიათო ნიშნები, რისთვისაც შეგიძლიათ, განვებ გააზვიადოთ ისინი.

გახსოვდეთ, რომ კარიკატურა სახალისო პორტრეტია, რომელშიც ადამიანის ზოგიერთი გარეგნული ნიშანი საგანგებოდაა უტრირებული იმგვარად, რომ ის სასაცილოდ გამოიყურებოდეს და გვართობდეს. კარგი კარიკატურა ადა-


მიანის ხასიათის თავისებურებებსაც გამოკვეთს. დასაწყისისთვის შეეცადეთ, წარმოიდგინოთ ის პერსონაჟი, რომელზეც კარიკატურის დახატვა გსურთ. ყვე-



ლაზე მეტად რამ მიიქცია მის გარეგნობაში თქვენი ყურადღება? ეს ნაკვთები კარიკატურაზე განსაკუთრებით ხაზგასმული და თვალშისაცემი უნდა იყოს.

გ) დახატეთ თქვენი საყვარელი ადამიანის შარჟი. შეეცადეთ, წარმოაჩინოთ მისი განწყობა, მისი შინაგანი სამყარო.

3. ჩაიფიქრეთ სიტყვა (ან თქვენი სახელი), რომელიც უნდა გამოსახოთ. დაწერეთ იგი ნებისმიერი სტილით, გრაფიტის ტექნიკით. შრიფტი შეგიძლიათ, ქვემოთ მოცემული ნიმუშებიდან აირჩიოთ, ან თვითონ მოიფიქროთ. განსაზღვრეთ, რომელ ფერებს აირჩივთ კონტურისათვის და ასოების გასაფერადებლად. გაითვალისწინეთ, რომ ყველაზე მარტივ სტილში მუშაობა ორი ფერის გამოყენებას გულისხმობს: ერთის – შტრიხისთვის, ხოლო მეორისა – ფერის ჩასასხმელად.



შეამონეთ თქვენი თავი

- ✓ რას ასახავს კომიქსი?
- ✓ რა ძირითადი ფუნქცია აქვს კარიკატურას?
- ✓ რისთვის ხატავენ შარჟებს?

დიალოგი ხელოვნებაზე

როგორ ფიქრობთ, რა არის გამოსახული ამ ფოტოსურათებზე? სად მიმდინარეობს მათზე აღბეჭდილი მოქმედება?



გაიხსენეთ

მასობრივი ინფორმაციის რა საშუალებებს იცნობთ?

გაეცაით

ტელევიზიის მეშვეობით გამოსახულება კინოთეტრების ეკრანებიდან ყოველ სახლში მოვიდა. ტელევიზორში ადამიანები უყურებენ არა მარტო ფილმებს, არამედ კონცერტების, ფეხბურთის მატჩების ტრანსლაციებს, რომლებიც ახლა თითქოს მათ თვალწინ იმართება და ამ მოვლენების რეალურ მონაწილეებად აქცევს მათ.

დღეს ჩვენი ცხოვრება ტელევიზიის გარეშე წარმოუდგენელია. თუ კინემატოგრაფის წარმოშობამ ხელოვნების ყველა სფეროზე იქმნია გავლენა, ტელევიზიამ ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო შეცვალა. მან ადამიანთა ფიქროლოგია, სამყაროს აღქმა და თანამედროვე საზოგადოების კულტურა გარდაქმნა. ტელევიზია ჩვენ რეალურ დროში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მიმდინარე მოვლენების მოწმედ გვაქცევს.



ყოველი ნახატი, ფოტოსურათი მასზე აღბეჭდილ გარკვეულ ინფორმაციას ატარებს. მაგრამ მათზე შეუდარებლად შთამბეჭდავი და ინფორმაციულია სატელევიზიო სურათი, რომელშიც ცოცხალი გამოსახულება ცოცხალ სიტყვას-თანაა შერწყმული.

იცით თუ არა?

აზერბაიჯანის ტელევიზიამ მოღვაწეობა რადიოს ამუშავებიდან ზუსტად 30 წლის შემდეგ, 1956 წლის 14 თებერვალს დაიწყო. ბაქოს სტუდია ეთერში ორსაათიანი პროგრამით ჯერ კვირაში ირჯერ გადიოდა, მოგვიანებით კი – კვირაში სამჯერ.

1957 წლიდან აზერბაიჯანის ტელევიზია ეთერში კვირაში ხუთჯერ გავიდა და ყოველდღიური გადაცემების მოცულობამ 2 საათსა და 20 წუთს მიაღწია.

1962 წლიდან ყოველდღიური გადაცემების მოცულობა 7 საათამდე გაიზარდა.

2005 წლის იანვრიდან აზერბაიჯანის ტელევიზია ყოველდღიური გადაცემებისა და პროგრამების 24-საათიან უწყვეტ ტრანსლაციაზე გადავიდა.

მხატვრის მოღვაწეობა ტელევიზიაში ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდება. ერთი მათგანია **სცენოგრაფიული დიზაინი** – სტუდიის გაფორმება სხვადასხვა გადაცემისათვის (დისპუტების, თოქ-შოუების, კონცერტებისათვის), მეორე კი – **კომპიუტერული გრაფიკა** (ეკრანის დიზაინი, ეკრანის დამცავები და სხვ.). ტელეგადაცემების მომზადებაში განათების, კოსტუმების, გრიმისა და სხვ. მხატვრებიც მონაწილეობენ.



სცენოგრაფიული დიზაინი



კომპიუტერული გრაფიკა

იცით თუ არა?

ტელემაუწყებლობა სხვადასხვა მიზნით წარმოებს და სხვადასხვა აუდიტორიაზეა ორიენტირებული. ამჟამად ტელევიზიის ისეთი ფორმაცია არსებობს, როგორიცაა სასკოლო ტელევიზია. უფროსკლასელები აყალიბებენ მაუწყებლობის ქსელს, ტელერეაბილუბებს, იღებენ ვიდეოგაკვეთილებს, სიუჟეტებს, რეპორტაჟებს (შეტყობინებას შემთხვევის ადილიდან) და მსჯელობის საფუძველზე აგებენ სასკოლო ტელევიზიის ყველა სიუჟეტს.

თუ კინემატოგრაფმა ეკრანულ სანახაობას კოლექტიური განხილვისა და თანაგანცდის ხასიათი მიანიჭა, ტელევიზიამ ეკრანთან პირისპირ დაგვტოვა. ის თანამოსაუბრედ, სტუმრად, ზოგჯერ კი მასპინძლადაც გვევლინება საკუთარ სახლში.

ნებისმიერი საქმიანობა ხელოვნებად იქცევა, როდესაც მას მხატვარი ასრულებს. არც ტელეგადაცემაა გამონაკლისი. ტელევიზია, ისევე როგორც ფანქარი ან ფოტოაპარატი, მხოლოდ საშუალებაა, ხელოვნებად კი მას მხატვრის ნიჭი, მისი შემოქმედება აქცევს. ასე ხდება ტელემაუწყებლობის ნებისმიერი სახის შემთხვევაში, ამინდის პროგნოზი იქნება ეს თუ სპორტული თამაშების, კონცერტებისა და სადღესასწაულო აღლუმების ტრანსლაცა.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აღჭურვილობა: ვიდეოკამერა, სმარტფონი ან პლანშეტი, ინტერნეტი, კომპიუტერი.

განსაზღვრეთ

1. კონკრეტული ტელეგადაცემების, ტელერეპორტაჟების ან ინტერვიუების მაგალითზე გააანალიზეთ მხატვრის როლი ტელევიზიაში.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. ა) შექმენით ტელესიუჟეტი თქვენი ქალაქის (სოფლის) შესახებ, გადასაღებად აირჩიეთ სულ ცოტა, სამი ობიექტი (ლირსშესანიშნაობები, არქიტექტურული ძეგლები და ა.შ.). კადრს მიღმა შეგიძლიათ, წაიკითხოთ ამ ობიექტების შესახებ წინასწარ მომზადებული ტექსტი;

ბ) შექმენით ტელერეპორტაჟი რომელიმე მუზეუმის შესახებ. ამისათვის საჭიროა მუზეუმში ექსპურსიის მოწყობა და ინფორმაციის შეკრება მისი ფუნქციების, ექსპოზიციის, უკანასკნელი გამოფენების გასაცნობად. სამუშაო გაინარჩილეთ;

3. ინდივიდუალურ და კოლექტიურ ანალიზურ სამუშაოში თემაზე: „ტელევიზია ჩემს ცხოვრებაში“ („ჩემი საყვარელი ტელეგადაცემა“ და ა.შ.) განიხილეთ ტელევიზიის საინფორმაციო-ეკრანული სპეციფიკისა და მაყურებელზე (პირადად თქვენზეც) მისი გავლენის არსი;

შეეცადეთ, შექმნათ სასკოლო ტელევიზია. ეს არის მშვენიერი შანსი იმისათვის, რომ სასკოლო თემაზე სიუჟეტის შექმნის პროცესში თავი სცენარისტის, რეჟისორის, დამდგმელის, მხატვრის, წამყვანის ან მსახიობის როლში წარმოაჩინოთ. სატელევიზიო პროგრამების შექმნაზე მუშაობა საშუალებას მოგცემთ, წარმოჩნდეთ ინდივიდუალურად ან ჯგუფში, საჯაროდ წარმოადგინოთ თქვენი მუშაობის შედეგები. ამჟამად უკვე ბევრი მოსწავლე იღებს აქტიურ მონაწილეობას ასეთ პროექტებზე მუშაობაში. წარმოგიდგენთ სასკოლო ტელევიზიის ზოგიერთი გადაცემის რუბრიკებს: „კლასის ცხოვრებიდან“, „ეს საინტერესოა“, „სკოლის ცხოვრებიდან“, „სამახსოვრო თარიღები“. პროგრამებში შეიძლება ასევე დღესასწაულების, ღია გაკვეთილების ტელეჩანაწერის ჩართვა.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რითი განსხვავდება კინოფილმი ტელესერიალის ან თოქ-შოუსაგან?
- ✓ რატომა ტელევიზია და ინტერნეტი ასე მნიშვნელოვანი თანამედროვე ადამიანისათვის?

შემაჯამარებელი დავალებები

შეამოწმეთ თქვენი თავი

გაარკვიეთ, ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება მოცემული ნაწარმოებები.



ძვირფასო მეგობარო!

სახელმძღვანელოს ფურცლებზე თქვენ ახალ ცნებებს გაეცანით და სახვით ხელოვნებასაც სხვა თვალით შეხედეთ. თქვენ პირველი ნაბიჯები გადადგით ამ უკიდეგანო სამყაროს შესამეცნებლად. ამ წიგნიდან შეძენილი ცოდნა შეგიქმნით საფუძველს მომავალში ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესასწავლად.

გაითვალისწინეთ, რომ XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის სახვითი ხელოვნება ყველაზე რთული შესასწავლია. მანამდე არც ერთი საუკუნეს არ მოსწრებია ასეთი ტრაგიკული სოციალური ძვრები, ასეთი საშინელი მსოფლიო ომები, ასეთი გამაოგნებელი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ასეთი ფართო მასშტაბის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ ყველაფერმა განაპირობა ღრმა და სერიოზული ცვლილებები ხელოვნებაში, განსაზღვრა მისი განვითარების ახალი, უჩვეულო გზები.

იმ დროის მხატვრული სიტუაციის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ, წინა ეპოქებისაგან განსხვავებით, პრატიკულად, რელიზმის პარალელურად ისახება და ყალიბდება ახალი სტილები, მიმდინარეობები და მიმართულებები, რომლებიც ზოგჯერ უპირისპირდება კიდეც მას. XX საუკუნის ხელოვნება, ერთი მხრივ, ძველი მხატვრული ტრადიციების უარყოფა, წარსულის კლასიკური მემკვიდრეობის ახლებურად მოაზრებაა, ხოლო, მეორე მხრივ, – ყოველგვარ შეზღუდვებს, ჩარჩოებსა და პირობითობებს მოკლებული თამამი ნოვაციები და ექსპერიმენტები.

XX საუკუნის მხატვრები ცდილობდნენ, ხელოვნებაში საკუთარი სტილი, საკუთარი მანერა მოეტანათ, საკუთარი ხელწერა დაემკვიდრებინათ. მათ პირველად მიეცათ შესაძლებლობა, დაყრდნობოდნენ თავიანთ გემოვნებასა და მისწრაფებებს. მანამდე არასოდეს ჰქონიათ მათ ასეთი თავისუფლება შემოქმედებაში.

XX საუკუნის ხელოვნებისთვის ძალზე ახლობელი აღმოჩნდა მისი სხვადასხვა სახეობის სინთეზის იდეა და იგი ახალი სახეობებით გამდიდრდა: ფოტოგრაფია, კინემატოგრაფი, ტელევიზია, ვიდეო, კომპიუტერული გრაფიკა ამ დროის დამასასიათებელი ნიშნები გახდა. რეალისტური ფერწერა და ქანდაკება კოლაჟმა, არტობიექტმა, ინსტალაციამ ჩაანაცვლა. საუკუნების მანძილზე მხატვრები მხოლოდ ფუნჯითა და საღებავებით ქმნიდნენ, XX საუკუნეში კი მათ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება დაიწყეს. ამასთან, ისტორიამ დაამტკიცა, რომ გამოსახულების ნებისმიერი სახე არათუ არ აუქმებს მანამდე არსებულს, არამედ პირიქით – უფრო მეტად აფართოებს მხატვრის გამომსახველობით შესაძლებლობებს.

ყოველ თქვენგანს, ვინც არ უნდა გახდეთ მომავალში, სჭირდება ხელოვნების მხატვრული ენის ცოდნა. ხელოვნების ნაწარმოებთან შეხებისას ეს ცოდნა დაგეხმარებათ ფერწერული სურათის, ქანდაკების, სპექტაკლისა თუ ფილმის შემქმნელთა მხატვრული ჩანაფიქრის უკეთესად გაგებაში. უფრო მეტად კი ეს ცოდნა გამოგადგებათ საკუთარი ვიდეოს, ფოტოსურათისა და ინტერნეტშეტყობინებების შექმნისას. კულტურა და ხელოვნება შემოქმედების საფუძველია ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში.

ამით მთავრდება სახვითი ხელოვნების შესწავლა სკოლაში, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია ხელოვნების მწვერვალებისკენ მიმავალი უსუსრულო გზისა.

ხელოვნება თქვენი მუდმივი მეგზური და მეგობარია!

ლექსიკონი

სუფთა ფერები კუბიზმი	- ფერების პორტლის ყველა ძირითადი ფერი და მათი ელფერები. (ფრ. <i>cubisme</i> , სიტყვა <i>cube</i> -დან – „კუბი“) – XX საუკუნის დასაწყისის პირველი მსხვილი ფორმალისტური მიმდინარეობა. კუბიზმის წარმოშობა დიდად განაპირობაში იმან, რომ კლასიკური ხელოვნება კრიზისს განიცდიდა. მხატვრები ეყრდნობოდნენ იდეას, რომლის თანახმად ნატურის საფუძველი მარტივი გეომეტრიული ფორმებია. (ბერძ. „ერთფერი“) – ერთი ფერით ესრულებული; ერთი ფერის გამომსხვებელი.
მონერომული კოლაჟი	(ფრ. <i>collage</i>) – სახეითი ხელოვნების ხერხი და ტექნიკა: რაიმე საფუძველზე ანგებენ ქსოვილებს, რომლებიც მისგან ფერითა და ფაქტურით განსხვავდება. (ფრანგ. სიტყვა <i>surrealisme</i> -დან – „ზერეალიზმი“) – მხატვრული მიმდინარეობა XX საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო ხელოვნებაში. სიურრეალიზმისთვის დამახასიათებელია სწრაფა ყოველივე უცნაურის, უჩვეულოს, ირაციონალურის, საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებთან შეუსაბამოსადმი. თავად მოძრაობა ნაირგვარი იყო, თუმცა საერთო მიზანს ქვეცნიპიერის შემოქმედებითი ძალების გათავისუფლება და გორებაზე მისი ბატონობის დემონსტრირება წარმოადგენდა.
აბსტრაქტული ხელოვნება (აბსტრაქციონიზმი) უსაგონ ხელოვნება	(ლათ. სიტყვა <i>abstraction</i> -დან) – ფორმალისტური მიმდინარეობა XX საუკუნის სახვით ხელოვნებაში. მხატვრობმა უარყვეს რეალობის გამოსახვის ყველანარი ნიშანი. მათ გადაჭრით აქციეს ზურგი მხატვრული შემოქმედების საზოგადოებრივ და შემცნებით ამოცანების განვითარების სახადასხვაგარი სიბრტყების, ფერადოვანი ლაქებისა და საზებისგან შემდგარ კომისიუნიციებს.
მოდერნიზმი	(ლათ. სიტყვა <i>modernismo</i> – „თანამედროვე მიმდინარეობა“) – მხატვრული მიმართულებების ერთობლიობა ხელოვნებაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდნ XX საუკუნის შუა პერიოდამდე. ყველაზე მნიშვნელოვანი მოდერნისტული ტენდენციები იყო იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი, კუბიზმი, აბსტრაქციონიზმი. მოდერნიზმი განიხილება, როგორც კლასიკური ტრადიციების გადასინჯვა. (ფრანგ. სიტყვა <i>avantgarde</i> -დან – „წინ“ და „დაცვა“) – მსოფლიო, და პირველ რიგში, ევროპულ, ხელოვნებაში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე წარმოშობილი მიმდინარეობების საერთო სახელწოდება.
ავანგარდი (ავანგარდიზმი)	(ფრანგ. სიტყვა <i>expressionisme</i> -დან – „გამოხატვა“) – მხატვრული მიმდინარეობა XX საუკუნის ევროპულ ხელოვნებაში. მსოფლიო ომის სასაქლაოთი სულიერად ტრავმირებული მხატვრები შეგნებულად ყდილობდნენ ნაწარმოქებებში თავიათი გრძნობებისა და შეგრძნებების გადმოცმას. ექსპრესიონიზმი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოშვა, უპირატესად, გერმანიასა და ავსტრიაში, როგორც მწვავე, მტკიცეული რეაცია იმის საზინელებაზე. ნაწარმოებთა ძირითადი მოტივები იყო სანგრევები ქალაქის პეზიაჟის ფონზე, სიკვდილი, სწეულება, შფოთვა და იმედგაცრუება.
კონსტრუქტივიზმი	(ფრანგ. <i>constructivisme</i> , ლათ. სიტყვა <i>construction</i> -დან) – ავანგარდისტული მიმართულება, რომელიც XX საუკუნის 20-30-იან წლებში განვითარდა. ამ სტილის მხატვრული სახის საფუძველი კომპოზიცია კი არა, კონსტრუქციაა. სასიათედება სიმუციოთ, გეომეტრიულობით, ფორმების ლაკონიურობითა და მონოლიტურობით. (ბერძ. სიტყვა <i>kinetikos</i> -იდან – „მოძრაობაში მოქმედი“) – მიმდინარეობა თანამედროვე ხელოვნებაში, რომელიც მოძრავი ბიბიექტების ფართოდ გამოყენებასთანაა დაკავშირებული. მას საფუძვლად ფორმის მოძრაობის იდეა უდევს. კინეტიზმი ეფუძნება შეხედულებას, რომლის თანახმად, სინათლისა და მოძრაობის მეშვეობით ხელოვნების ნაწარმოების შექმნა შეიძლება.
კინეტიკური ხელოვნება ანუ კინეტიზმი	(ინგლ. სიტყვებიდან <i>non</i> – „არა“, <i>conformis</i> – „მსგავს“, <i>non-conformism</i> – არამსგავსი, განსხვავებული) – საყოველთაოდ მიღებული წესების, ტრადიციების, ღირებულებებისა და კანონების უარყოფა. სიტყვის სინონიმია „ნეგატივიზმი“.
ნონკონფორმიზმი	- ეფუძნება სიუკურურ ნაწარმოებების მრავალფრთხოებას. მოიცავს ისტორიულ, ყოფილ, ბატალიურ, ანიმალისტურ და სხვა უარყებს.
თემატური ჟანრი	- ერთ-ერთი მიმდინარეობა სამამულო ფერწერაში, რომელიც 1950-1960-იანი წლების მიჯნაზე წარმოშვა.
მკაცრი სტილი	

- ბიენალე** – სამხატვრო გამოფენა, ფესტივალი ან შემოქმედებითი კონკურსი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება.
- დაზგური გრაფიკა** – სახვითი ხელოვნების გრაფიკული დარგის სახეობა, რომლის ნანარმოებები მოლიტრტბზე ტუშის, შავი გუაშის, ფანჯრის, ნახშირის გამოყენებით იქმნება. (თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება) – მხატვრული შემოქმედების სახე, რომელიც სპექტაკლის გაფორმებასა და მისი პლასტიკურ-გამომსახველობით ხატის შექმნას ემსახურება.
- ფოტოგრაფია** (ბერძ. *photos* – „სინათლე“ და *grapho* – „გრძერ“) – სახვითი ხელოვნების შედარებით ახალი სახე. ფოტოგრაფიის გამომასხველობითი საშუალებებია სინათლე, ფერი, ფორმატი, კომპოზიცია, პლანი, გადაღების რაკურსი.
- კამერა-ობსკურა** (ლათ. *camera obscura* – „პნეული თაბაზი“) – უმარტივესი მოწყობილისა (ჭუთი), რომელიც ობიექტის ოპტიკური გამოსახულების მიღების საშუალებას იძლევა. ხერხლში გამაგლი სინათლის სხივები კერანზე ბიუქების გადაბრუნებულ გამოსახულებას ქმნის.
- გრაფიკული რედაქტორი** – კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მომზარებელს საშუალებას აძლევს, კომპიუტერის ეკრანზე შექმნას და გაარედატიროს გამოსახულებები. მათ სხვა-დასხვა ფორმატით, მაგ., JPEG, PNG, PIF და სხვ., ინახვენ.
- კინემატოგრაფია** (ბერძნ. „μόντεრαοბა“ და „გამოსახულება“) ადამიანის საქმიანობის დარგი, რომელიც მოძრავი გამოსახულების შექმნაში მდგრადრეობს. ზოგჯერ ამ სიტყვის ნაცვლად გამოიყენება სინემატოგრაფი და „კინემატოგრაფია“.
- ანიმაცია** (ფრ. *animation* – „გაცოცხლება“, „გასულიერება“) – მულტიპლიკაციის დასავლური სახელწოდება: კინოხელოვნების სახეობა და მისი ნანარმები (მულტფილმი), აგრეთვე შესაბამისი ტექნოლოგია, რომელიც უსულო და უძრავი ბიუქების დახმარებით მოძრაობის ილუზიის ქმნის მხატვარს, რომელიც ანიმაციის შექმნითაა დაკავებული, ანიმატორს ან მულტიპლიკატორს უწოდებს.
- პანტომიმა** – სასცენო ხელოვნების სახეობა, რომელშიც მხატვრული სახის შექმნის ძირითადი საშუალება ადამიანის სხეულის პლასტიკა (სიტყვების გამოყენების გარეშე).
- ანიმე** (იაპონურად – *anime*) – იაპონური ანიმაცია ანუ მულტიპლიკაცია. ანიმე ყველა ასაკის ადმინებისთვის იქმნება.
- კომიქსი** (ინგლ. *comic* – „სასაცილო“) – ნახატების სერია მოკლე ტექსტების თანხლებით, რომელიც რაღაც ამბავს მოგვითხრობს. არსებობს იუმორისტული, სათავგადა-საკლო, ფანტასტიკური, ისტორიული და სხვა კატეგორიები.
- გრაფიტი** (იტალ. *graffito*) – მიმართულება XX საუკუნის დასასრულის ავანგარდიზმში. ეს არის გამოსახულებები, ნახატები, წარწერები, რომელიც კედლებზე ან სხვა ვერტიკალურ ზედაპირებზე მელნით ან სალებავითაა ამოკანრული, დაწერილი ან დახატული. გრაფიტს შეიძლება მივაუთვროთ კედლებს მოხატვის ნებისმიერი სახე, რომლებზეც გვხვდება ყველაფერი: უბრალოდ, სიტყვებიდან დახვეწილ ნახატებამდე. როგორც ყველა სხვა ხელოვნებას, გრაფიტსაც აქვთ თავისი სტილები და მიმდინარეობები.
- იტალ. caricatura** – „დატვირთვა“, „გაზრიადება“) – სახვითი ხელოვნების (უპირატე-სად, გრაფიკის) განსაკუთრებული ჭრი (სატირული ფორმის). აერთინებს გამოსახულებებს, რომლებმც, ადამიანის ფიგურის, სახის, კოსტიუმის, ქცევის მანერის დამასასათხებლი ნიშნების განგებ გაზრიადებით ან ხაზებასმით (მათი გამოაშკარავების ან დაცინების მიზნით), კომიკური ეფექტი იქმნება.
- შარჟი** (ფრანგ. *charger* – „გაზვიადება“, „დატვირთვა“) – კარიკატურის ნაირსახეობა, უმორისტული ან სატირული გამოსახულება, რომელშიც ადამიანის დამხასიათებელი ნაკვთები შეცვლილი და საზღამულია. შარჟს საფუძვლად პორტრეტი უდევს და ის გაფრინდილ სიუჟეტს არ მოითხოვს. ამ ტერმინით ხელოვნების ყველს სახეობაში სარგებლობენ, თუმცა მაქსიმალური გამოყენება მან სახვითი ხელოვნების სფეროში პოვა.

Təsviri incəsənət – 9
*Ümumtəhsil məktəblərinin 9-cu sinfi üçün
“Təsviri incəsənət” fənni üzrə dərslik
Gürcü dilində*

Tərtibçi heyət:

Müəllif	Kəmalə Əhməd qızı Cəfərzadə
Elmi redaktoru	Z.Əliyev , Azərbaycanın əməkdar incəsənət xadimi
Tərcüməçi	L.Bakradze
Redaktor	S.Nozadze
Bədii redaktor	N.Novruzov
Texniki redaktor	Z.İsayev
Dizayner	N.Quruli
Rəssam	A.Dadaşov
Korrektor	L.Umikaşvili

Dərsliyin gürcü dilində nəşri “Deogene” nəşriyyatı ilə birgə həyata keçirilmişdir.

*Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin 03.06.2016-ci il tarixli 369 №-li
əmri ilə təsdiq olunmuşdur.*

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri
və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq,
elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 7,4. Fiziki çap vərəqi 8,5. Səhifə sayı 136.
Kağız formatı $70 \times 100^1/16$. Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017.

“YAZ” nəşriyyatı
Bakı, AZ 1001, H.Seyidbəyli küç. 30

